

როზაქიძის საქმის გამოძიების ახალი და გადამწყვეტი ეტაპი

A2



პრესომბუდსმენი

A5



"თქვენი აფხაზეთი"

A6

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 30 აგვისტო, 2006 წელი. №191 (1343)

ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

# ტურისტებს მთავრობა უფრო მომზადებული შეხვდა

### მაისში ჩადებულმა უცხოურმა 17 ათასმა დოლარმა 100 ათასზე მეტი შემოსავალი მოუტანა ინვესტორს



ბათუმი

თინა შავაძე

აჭარაში ხავერდოვანი სეზონი დაიწყო. ტურისტების ნაკადი არ კლებულობს. შავი ზღვის სანაპირო ზოლში ყველა სასტუმრო და დასასვენებელი სახლი დაკავებულია. დაჯავშნის გარეშე სასტუმროში ნომრის აღება შეუძლებელია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის დეპარტამენტის მონაცემებით, დამსვენებელთა რაოდენობა, გასულ წელთან შედარებით, 2-ჯერ მეტი - 400 ათასი ადამიანია. როგორც ადგილობრივები ამბობენ, ასეთი მზიანი აგვისტო, 2 ათეული წელია, არ ყოფილა. ბუნებრივია, ამ ფაქტორმა დიდი გავლენა მოახდინა დამსვენებელთა განწყობაზე. საოცარი ამინდების გარდა, რეგიონმა ტურისტებს გართობისა და დასვენების ბევრი სიურპრიზიც შესთავაზა. ადგილობრივმა მთავრობამ ინფრასტრუქტურა მოაწესრიგა, კერძო სექტორმა კი სასტუმროები და კაფე-ბარები გახსნა.

სეზონის მანძილზე ნათელი გახდა, რომ მთავრობის მიერ სეზონის წარმატებულად წარმართვისთვის გადადგმულ ნაბიჯებს კერძო სექტორი ბევრად ჩამორჩა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# "პოლიტიკური ავანტიურა"

### ოპოზიციის მტკიცებით, არჩევნები კვლავ ყალბი სიებით ჩატარდება

*"ოქტომბრის არჩევნები ამომრჩეველთა ყალბი სიებით და ცესკო-ს მხრიდან დაშვებული უამრავი დარღვევის ფონზე ჩატარდება" ,- ასეთია "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერის თინა ხიდაშელის პროგნოზი. მან იმ დარღვევებზეც ისაუბრა, რომელიც პარტიამ ამ დროისთვის გამოავლინა.*

ნათია მსხილაძე

როგორც უკვე ცნობილია, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 5 ოქტომბერს ჩატარდება. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შესაბამის განკარგულებას ხელი 26 აგვისტოს მოაწერა. **"საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან კონსულტაციების შემდეგ და სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების პოზიციების გათვალისწინებით, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდეს 2006 წლის 5 ოქტომბერს. ეს იქნება საქართველოს ისტორიაში პირველი არჩევნები, როდესაც ყველა რაიონის და ქალაქის მოსახლეობა თავად აირჩევს ადგილობრივ ხელისუფლებას,"** - ნათქვამია პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ პრესრელიზში.

გაგრძელება A3 გვერდზე




# ტოპმიოლერის რეცეპტი




## ცაიტნოტი

### ოპოზიციისა და ხელისუფლების შიშები

*ხელისუფლების გადაწყვეტილება არჩევნების ოქტომბერში დანიშვნის შესახებ არა მხოლოდ ოპოზიციურ ძალებში იმსახურებს უარყოფით შეფასებას. პოლიტოლოგი გია ნოდია არჩევნების თარიღის დეკემბრის თვის ნაცვლად ოქტომბერში მოულოდნელ გადმოწევას "არაკორექტულ ნაბიჯს" უწოდებს. ოპოზიცია ხელისუფლების ამგვარ საქციელს "შიშებით" - რეიტინგის ვარდნის საფრთხით ხსნის. ნოდია ამ ვერსიას არ იზიარებს. მისი აზრით, ეს, უბრალოდ, არათანამიმდევრული პოლიტიკის შედეგია. მაშინ, როცა "24 საათთან" საუბრისას ოპოზიციონერი გიორგი ცაგარეიშვილი ხელისუფლების საქციელს "პოლიტიკურ მაზოხიზმს" უწოდებდა, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი მასმედიასთან კომენტარისას ამტკიცებდა, რომ ხელისუფლებამ არჩევნების თარიღი ოპოზიციური პარტიების და საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნათა გათვალისწინებით განსაზღვრა.*

ვერიკო თევზაძე

უკმაყოფილო ოპოზიცია საუბრობს როგორც პოლიტიკურ, ასევე სამართლებრივ ცაიტნოტზე. "რესპუბლიკელი" დავით უსუფაშვილის აზრით, ხელისუფლებამ ოპოზიცია და საზოგადოება შეგნებულად შეიყვანა შეცდომაში, როცა, თავდაპირველად, გიორგი არველაძის საშუალებით, განაცხადა, რომ არჩევნები დეკემბერში ჩატარდება. ამის შემდეგ არჩევნების ჩატარების თარიღი ყველასთვის მოულოდნელად გამოაცხადა აგვისტოს მიწურულში, როცა ადამიანები არათუ დედაქალაქიდან, ქვეყნიდანაც კი არიან გასულები.

რაც შეეხება სამართლებრივ ცაიტნოტს, რესპუბლიკური პარტიის ლიდერის აზრით, იგი გამოიწვია **"საქართველოს პრეზიდენტის და პარლამენტის თავმჯდომარის უპრეცედენტო ვერაგობამ, როდესაც მიღებული გადაწყვეტილება ორი დღის განმავლობაში დამალეს."**

**"იმ 40 დღიდან, რომელიც არჩევნებისთვის არის განკუთვნილი, კიდევ ორი დღე მოპარეს ოპოზიციას. ეს ორი დღე 40-დღიან გრაფიკში მნიშვნელოვანია,"** - შენიშნავს უსუფაშვილი.

მითქმა-მოთქმის და სერიოზული პოლემიკის საგნად იქცა საკანონმდებლო შეზღუდვა, რომელსაც საარჩევნო კანონი საკრებულოს წევრობის კანდიდატებს "თანამდებობრივი შეუთავსებლობის" სახით უწესებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## საქართველოში ათ დღეში რთველი დაიწყება

### ღვინის ქარხნები მოსავლის მესამედს ჩაიბარებენ

ნინო ნატროშვილი

რუსეთის ბაზრის დაკარგვის შემდეგ, მეღვინეობა-მევენახეობის თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა. ღვინოს საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქტებში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. რუსულ ბაზარზე განხორციელებულმა ემბარგომ ღვინის ქარხნებს და ექსპორტიორ კომპანიებს ფინანსური ზარალი აჩვენა. ბუნებრივია, ქარხნები იმავე რაოდენობის ყურძენს ვერ იყიდიან, რადგან პროდუქტის გასაღების ბაზარი დაკარგეს, ახალი ბაზრების ათვისებას კი დრო სჭირდება.

დღეს საქართველოში ყურძნის ჭარბი მოსავალია და, ფაქტობრივად, კახელმა გლეხმა არ იცის, მიღებული მოსავალი სად წაიღოს. გასულ წელს ეს პრობლემა ღვინის ქარხნებმა მოხსნეს. თუმცა ზოგიერთმა ქარხანამ გლეხებისაგან ნახევრად დაჩამიჩებული ყურძენი იყიდა და წონაშიც მოიგო. გლეხებმა გასული წლის რთველზე ნაკლები შემოსავალი მიიღეს და იყო საუბრები იმაზეც, რომ კახეთში ვაზის კულტურას საზამთრო, თხილი და ატამი ჩაენაცვლებოდა. თუმცა ხელისუფლებამ გლეხების უკმაყოფილების თავიდან აცილების და პრობლემის დარეგულირების მიზნით ამ სფეროში ჩარევა გადაწყვიტა. ამიტომ რთველი 2006 ხელისუფლებისთვის აქტუალურია.

50 ათას ტონა ყურძენს სახელმწიფო ჩაიბარებს. სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი კი დროებით კახეთში გადაბარგდება და რთველის მიმდინარეობას ადგილზე გააკონტროლებს. ეს განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ღვინის ქარხნის მეპატრონეებთან გამართული დახურული შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## რეზოლუციის განხორციელება

### კოფი ანანი მსოფლიოს ლიბან-ისრაელის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრისაკენ მოუწოდებს

თეა მაისურაძე

გაერო ლიბანსა და ისრაელს მიმდინარე წლის 11 აგვისტოს უშიშროების საბჭოს რიგით 5511-ე სხდომაზე მიღებული რეზოლუციის იმპლემენტაციისაკენ მოუწოდებს. სწორედ ამ მიზნით, ლიბანში გაეროს გენერალური მდივანი, კოფი ანანი იმყოფება. ბეირუთში ვიზიტის შემდეგ კოფი ანანი ირანსა და სირიას ეწვევა, თუმცა, მანამდე დაგეგმილია შეხვედრა ისრაელის პრემიერ მინისტრთან, ეუდ ოლმერტთან. გაერო-ს სურს სირიისა და ირანის ჩართვა მოლაპარაკებებში და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხში.

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ისრაელს სახმელეთო და საზღვაო ბლოკადის მოხსნის, ხოლო "ჰეზბოლა"-ს დატყვევებული ისრაელელი ჯარისკაცების გათავისუფლებისაკენ მოუწოდა. კოფი ანანის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ გამოიჩენენ ძალისხმევას და არ გადადგამენ კონკრეტულ ნაბიჯებს იმისათვის, რომ მოხდეს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის იმპლემენტაცია, რომელიც ცეცხლის შეწყვეტასა და გრძელვადიან მშვიდობას ითვალისწინებს, ძალიან გაიზრდება საომარი მოქმედებების განახლების რისკი.

კოფი ანანი გუშინ ნაგუორას პორტს ეწვია, სადაც ჯერ კიდევ იმყოფებიან ისრაელის სამხედროები. გენერალურმა მდივანმა სამხრეთ ლიბანში ის ადგილებიც მოინახულა, რომლებიც 34-დღიანი ომის შემდგომ ძალიან დაზარალდა. საყურადღებოა, რომ სამხრეთ ლიბანის მშვიდობიანმა მოსახლეობამ გაერო-ს გენერალურ მდივანს მრავალეროვნული სამშვიდობო მისიის კონტინგენტის გაზრდა მოსთხოვა, ხოლო "ჰეზბოლა"-ს დაჯგუფების მომხრეებმა კი, კოფი ანანის ვიზიტთან დაკავშირებით საპროტესტო აქცია გამართეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ამბები

### ორი წლის ბავშვის მკვლელობა და სანქციები პოლიციელების წინააღმდეგ

სამეგრელო-ზემო სვანეთის კრიმინალური პოლიციის თანამშრომელმა რამაზ ფარცხიამ ცეცხლსასროლი იარაღიდან შემთხვევით მოახდინა გასროლა, რის შედეგადაც მცირეწლოვანი ბავშვი დავით სორდია დაიღუპა.

A2

## ამბები

### "ახალი ეკონომიკური ინიციატივის" განხორციელება დაიწყო

სპეციალისტთა გათვლებით, პრეზიდენტის "ახალი ეკონომიკური ინიციატივა" 2009 წლისთვის უმუშევრობის დონეს ორჯერ შეამცირებს.

A3

## სპორტი

### მოტივაცია, ზიდანი, ფიქრები იტალიაზე...

ამ ერთი თვის განმავლობაში თბილისი მსოფლიო ფეხბურთის ეპიცენტრში იქნება - ჯერ ვიცე-ჩემპიონს ვეთამაშებით და მერე ჩემპიონს. ორივე მოქმედია. მოქმედი კი არა, ბერლინის ფინალი სულ რაღაც ორი თვის წინ გაგორდა. ასეთ მოკლე პერიოდში ორი ასეთი სოლიდური სტუმარი, მგონი, არც ერთ ქალაქს არ ღირსებია არასდროს.

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 30/08 | 31/08 |
|---|---|---|
| თბილისი | 42 | 40 |
| ბათუმი | 38 | 43 |
| სოხუმი | 35 | 43 |
| ქუთაისი | 40 | 45 |
| გორი | 34 | 36 |
| ონი | 30 | 30 |
| ზუგდიდი | 40 | 50 |
| ახმეტა | 40 | 38 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7420 |
| ევრო | 2.2343 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3101 |
| რუბლი | 0.0651 |

ამბები A 2
ამბები A 3
ბიზნესი A 4
ომბუდსმენი A 5
პროექტი A 6
რევიუ A 7
სპორტი A 8

## საქართველოში ათ დღეში რთველი დაიწყება

პირველი გვერდიდან

პრემიერის თქმით, საქართველოს მთავრობა მობილიზებულია იმ მიზნით, რომ მიმდინარე წელს რთველმა წარმატებით ჩაიაროს. როგორც ნოღაიდელი აღნიშნავს, კახეთში რთველი დაახლოებით ათ დღეში დაიწყება და ეს პროცესი წარმატებით უნდა დასრულდეს..

"რთველის წარმატებით ჩატარება საწინდარია იმისა, რომ ამ სექტორში არსებული ბევრი პრობლემა მოგვარდეს. რთვლის წარმატებით ჩატარების შემდეგ გავაგრძელებთ ქართული ღვინის პოზიციების განმტკიცებას სხვა ბაზრებზე," - განაცხადა ნოღაიდელმა.

საქართველოს მთავრობას რთვლის წარმატებით ჩატარებისთვის სპეციალური სქემა აქვს შემუშავებული.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა დღეს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" მეღვინეებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, მიმდინარე წელს, ცხელი ამინდის გამო, რთველი ორი კვირით ადრე იწყება.

უხვი მოსავლის ფონზე წელს 85 000 000 ტონა ყურძნის გადამუშავება იგეგმება, საიდანაც 35 000 000 ტონას ღვინის ქარხნები შეიძენენ და გადაამუშავებენ, 25 000 000 ტონა საბრენდე სპირტისთვის გადამუშავდება, ბოლო 25 000 000 ტონას კი ახლად გახსნილი, გურჯაანის წვენის ქარხანა ჩაიბარებს.

ხელისუფლების აქტიურობის მიუხედავად, კახელ გლეხებს ყურძნის ჩაბარებისას პრობლემები შესაძლოა მაინც შეექმნათ.

მეღვინეებმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ განაცხადეს, რომ მიმდინარე წელს დაახლოებით 85 000 000 ტონა ყურძნის მოსავლის აღება იგეგმება, თუმცა ღვინის ქარხნები რუსეთის ბაზარზე შექმნილი პრობლემების გამო მხოლოდ მესამედის ჩაბარებას აპირებენ.

"შექმნილი პრობლემის გამო ქარხნებს გასული წლიდან ბევრი ნაშთები გადმოჰყვათ, ამიტომ წელს ძალიან მცირე რაოდენობის ყურძნის ჩაბარება იგეგმება. არსებულ სოციალურ მდგომარეობას ვითვალისწინებთ, მაგრამ კერძო ინტერესებს გვერდს ვერ ავუვლით," - განუცხადა "24 საათს" "ქართული ღვინის მწარმოებელთა კავშირის" თავმჯდომარემ ლევან კობერიძემ.

მისი თქმით, გასულ წელს გლეხებისგან დაახლოებით 85 000 000 ტონა ყურძენი იყო ასათვისებელი, რაც მთლიანად ქარხნებმა შეისყიდეს.

"თუ მთავრობამ შემუშავებული სქემა არ აამოქმედა, შესაძლოა, ჩაბარების მხრივ სერიოზული პრობლემები შეიქმნას," - მიაჩნია კობერიძეს.

## რატომ გაუშვეს "რუსთავი 2"-დან ნიკა ტაბატაძე

### (ვიდრე პრეზიდენტი ზღაპარს ჰყვებოდა...)

ია ანთაძე

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორი ნიკა ტაბატაძე სამსახურიდან გაათავისუფლეს. ამ მოვლენას აშკარად პოლიტიკური საფუძველი აქვს, თუმცა, რეალური მიზეზის ამოცნობა არც ისე ადვილია. ერთი კი ცხადია: მაღალი რეიტინგის მქონე ტელეკომპანიებში სერიოზულ შემოქმედებით და, მით უმეტეს, საკადრო გადაწყვეტილებებს სარჩულად ყოველთვის პოლიტიკა უდევს. ასეა ახლაც.

რევოლუციის შემდეგ, ვიდრე ხელისუფლება მეტ-ნაკლებად ერთიანი იყო, გამარჯვებული ხალხის ტელევიზიაც, ზოგადად, ხელისუფლებისთვის სასურველ ჩარჩოში მაუწყებლობდა. მოგვიანებით, როცა სახელისუფლო გუნდი ორ ბანაკად გაიხლიჩა, საქმე გართულდა. სწორედ მაშინ შესთავაზეს "რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორის პოსტი ნიკა ტაბატაძეს. სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის აქციების მფლობელი ქიბარ ხალვაში ირაკლი ოქრუაშვილის პირადი მეგობარია და, ქართული ტრადიციის თანახმად, აქ სწორედ ოქრუაშვილის ინტერესების დაცვაზე უნდა ეზრუნათ. თუმცა, საზოგადოების მოლოდინი გაქარწყლდა, როცა სამაუწყებლო კომპანიის ეთერში გამოჩნდა გურამ დონაძის პროექტები - "პატრული" და "უბნის ინსპექტორი" - რომელთა ხილვა მხოლოდ "რუსთავი 2"-ის მაყურებელს შეეძლო. ამავდროულად, "კურიერის" გამხსნელ მასალად ჩამოყალიბდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოპოვებული ექსკლუზიური ინფორმაცია, რომელზეც ხელი მხოლოდ "რუსთავი 2"-ის მაყურებელს მიუწვდებოდა. ეს ფაქტები თვალნათლივ მეტყველებდა, რომ ვანო მერაბიშვილის ინტერესები ქიბარ ხალვაშის ტელევიზიაში სხვებზე მეტად თუ არა, ნაკლებად დაცული არ ყოფილა.

ერთი სიტყვით, ნიკა ტაბატაძემ "რუსთავი 2" სრული წონასწორობის რეჟიმში აამუშავა: აქ ჯარზეც და პოლიციაზეც ერთნაირად დადებითი ინფორმაცია გადიოდა; თუ პირდაპირი ეთერის სტუმარი ვანო მერაბიშვილი იყო, მის გამოსვლას აუცილებლად მოსდევდა ვრცელი რეპორტაჟი ჯარის შესახებ; ხოლო თუ პირდაპირ ეთერში ირაკლი ოქრუაშვილი საუბრობდა, მასთან ინტერვიუს უსათუოდ მოჰყვებოდა საგანგებო მასალა პოლიციის საქმიანობაზე. მაყურებელს არ ევალება, ანალიტიკოსის თვალით უცქიროს საინფორმაციო გადაცემებს, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ "რუსთავი 2" იყო ერთადერთი ტელეკომპანია, რომელიც მტკიცედ იცავდა ბალანსს ორ სახელისუფლო ბანაკს შორის.

სწორედ ამ ბალანსის შემოქმედი იყო ნიკა ტაბატაძე. ამბობდნენ, რომ მას ძალიან ხშირი და უშუალო კონტაქტი ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტთან. და პოლიტიკურად მოდუნებულ ცხელ ზაფხულში, ვიდრე პრეზიდენტი ბავშვებს ჯადოსნურ ზღაპარს უამბობდა, ნიკა ტაბატაძე გაათავისუფლეს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში მთავარი ამბები ისევ საიდუმლო ვითარებაში, ისევ დახშულ კაბინეტებში ხდება. მთავარი ამბავი კი ისაა, რომ ბალანსი საჭირო აღარ არის.

შესაბამისად, "რუსთავი 2"-ში ახალი ერა დაიწყო.

ახალი ერის ნიშნები ჯერ კიდევ მაშინ გამოჩნდა, როდესაც ეთერში საავტორო პროგრამით ეკა ხოფერია გავიდა. სწორედ მან, ძალიან ფრთხილი და რბილი აქცენტებით, ხავერდოვან ტელევიზიაში პირველმა შეიტანა მწვავე თემები, რაც, საბოლოოდ, ვანო მერაბიშვილის მიმართ საჯარო პროტესტით დასრულდა. ეს მოვლენა, რომლის ბოლომდე ახსნა შორიდან მაყურებელი თვალისთვის, ჯერჯერობით, შეუძლებელია, უკვე ნიშნავდა, რომ - ნიკა ტაბატაძის თანხმობით, ან მისი თანხმობის გარეშე - წონასწორობა დაირღვა, ცხადია, არა მერაბიშვილის სასარგებლოდ.

ნიკა ტაბატაძის წასვლა გამოიწვევს ვანო მერაბიშვილის საგანგებო ინტერესების ალმოფხვრას "რუსთავი 2"-დან. დღეს ეს ვარაუდია, რომელიც ხვალ, შესაძლოა, ფაქტებით დადასტურდეს. ახალი ხელმძღვანელის მოსვლის შემდეგ ტელევიზიას, ალბათ, დატოვებენ შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოტანილი ცხელი ამბების და ექსკლუზიური მასალების ავტორი ჟურნალისტები, პირველ რიგში, ნანუკა ჟორჟოლიანი. თუ ეს ასე მოხდება, ან თუ "კურიერის" ორიოდე ჟურნალისტი სამსახურს საკუთარი ნებით დატოვებს ახალი უფროსის მოსვლამდე, კიდევ ერთხელ დადასტურდება, რომ დღევანდელ საქართველოში ჟურნალისტიკა უფრო პოლიტიკის დამხმარე ხელობაა, ვიდრე საზოგადოების ინტერესების მოდარაჯეობა.

ქართული სატელევიზიო სივრცის ზოგადი პოლიტიკური სქემა, ალბათ, ასე დალაგდება: ირაკლი ოქრუაშვილის გუნდს მხარს დაუჭერს "იმედი" და "რუსთავი 2", ვანო მერაბიშვილის გუნდსაც ორი საყრდენი დარჩება - საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ტელეკომპანია "მზის" სახით.

შემოდგომის დადგომისთანავე ზოგიერთი რამ, რაც დღეს მხოლოდ ვარაუდად ითქვა, თავად ამ ტელევიზიების ეთერიდან წამოსული ინფორმაციით დადასტურდება ან უარიყოფა.

*მასალა გამოქვეყნებულია "რადიო თავისუფლების" ეთერით.*

## რობაქიძის საქმის გამოძიების ახალი და გადამწყვეტი ეტაპი

*პატრულის თანამშრომლის გრიგოლ ბაშალეიშვილის მიერ მოკლული ამირან რობაქიძის მშობლების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დანაშაულიდან ორი წლის თავზე პირველი ნაბიჯი გადაიდგა. თბილისის პროკურატურაში რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით ახალი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.*



*რობაქიძის ახლობლები საქმის ფალსიფიცირებისთვის მაღალჩინოსანი პოლიციელების დასჯას ითხოვენ.*

ინტერპრესის ფოტო

პროკურატურის და მართლმსაჯულების ამჟამინდელი გადაწყვეტილებით, რობაქიძის საქმეში მთავარი და ერთადერთი დამნაშავე პატრულის ყოფილი თანამშრომელი გრიგოლ ბაშალეიშვილია, რომელსაც გაუფრთხილებლობით მკვლელობისთვის ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ამირან რობაქიძის ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვის კვლავ აქტუალური რჩება კითხვა - ვინ მიიტანა შემთხვევის ადგილზე ცეცხლსასროლი იარაღის მთელი არსენალი და ვინ იყო ორგანიზატორი დანაშაულის ფალსიფიცირების, რომლის საფუძველზეც რობაქიძე და მისი მეგობრები ყაჩაღებად გამოცხადდნენ.

მიუხედავად დაზარალებული მხარის არაერთი შუამდგომლობისა, თბილისის პროკურატურას, რომელიც მკვლელობის საქმეს იძიებდა, თავდაპირველად ამ მიმართულებით ძიება არც დაუწყია. სამართალდამცველი ორგანო მიიჩნევდა, რომ რობაქიძის საქმეზე დასმულ ყველა კითხვას მართლმსაჯულება გასცემდა პასუხს. თუმცა, მოსამართლემ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას კატეგორიულად აარიდა თავი.

სამაგიეროდ, რობაქიძის საქმეში გაჩენილი საეჭვო კითხვებით სახალხო დამცველის აპარატი დაინტერესდა და სამართალდამცველი ორგანოებისგან პასუხი ოფიციალურად მოითხოვა.

გენერალურ პროკურატურაში რამდენიმე მიმართვის შემდეგ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში წინასწარი გამოძიება დაიწყო.

სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ამირან რობაქიძის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე. დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, რაც სამ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

**"ამჟამად საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება იმის დასადგენად, ხომ არ ჰქონდა ადგილი ამირან რობაქიძისა და მისი მეგობრების მიმართ პოლიციელთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენის, შენახვისა და ტარების მტკიცებულებათა ხელოვნურად შექმნისა და ფალსიფიკაციის ფაქტს,"** - აღნიშნულია გენპროკურატურის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

როგორც თბილისის პროკურატურაში აცხადებენ, გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს და მტკიცებულებებს ყველა მიმართულებით სწავლობენ, თუმცა ჯერჯერობით საქმეში არც ეჭვმიტანილი და არც ბრალდებული არ არსებობს.

როდის ან რა შედეგით დასრულდება რობაქიძის მკვლელობის საქმეზე აღძრული ახალი სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, თბილისის პროკურატურაში წინასწარ პროგნოზს ვერ აკეთებენ. თუმცა აცხადებენ, რომ ამ საქმეში დასახელებული პირებიდან იმუნიტეტი არავის გააჩნია და თუ დანაშაული გამოიკვეთება, ნებისმიერს აგებინებენ პასუხს.

სახალხო დამცველის და რობაქიძის ახლობლების მოთხოვნიდან გამომდინარე კი, პასუხისმგებლობა იმ პირებისგან უნდა დაიწყოს, ვისი მითითებითაც დანაშაულის ფალსიფიცირება მოხდა და რის საფუძველზეც რობაქიძის მკვლელობის საქმის გამოძიება პირველად სამართალდამცველთათვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით აღიძრა.

დაზარალებულ მხარეს აინტერესებს, რატომ მისცეს შემთხვევის ადგილზე მყოფმა პატრულის თანამშრომლებმა - ბაშალეიშვილმა, აბუაშვილმა, ჭანტურიამ და ლობჟანიძემ გამოძიების სხვადასხვა ეტაპზე ორი ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები, რითაც გამოძიება შეგნებულად შეიყვანეს შეცდომაში და რატომ არ დაისვა მათი პასუხისმგებლობის საკითხი?

პასუხგაუცემელია მთავარი კითხვაც - როგორ გაჩნდა შემთხვევის ადგილზე იარაღი, რომელიც რობაქიძის მეგობრების მტკიცებით, მათი არ იყო და პოლიციამ მიიტანა. სხვათა შორის, ვერც ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ იარაღი რობაქიძის მეგობრებს ეკუთვნოდა. და კიდევ ერთი - რატომ გაქრა ფირი, რომელიც გადაცემა "პატრულის" ჟურნალისტებმა გადაიღეს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, შინაგან საქმეთა სამინისტრო ამტკიცებს, რომ აღნიშნული ვიდეომასალა, რომელიც ამავდროულად საქმის ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულებაა (მტკიცებულების განადგურებაც სისხლის სამართლის დანაშაულია) აღარ არსებობს. არადა, ტელევიზიებში გავრცელებულ მასალებში, რომელიც სტუდია "რეპორტიორმა" მოიპოვა, აშკარად ისმის პოლიციელების დიალოგი იმის თაობაზე, რომ დაკავებულებს იარაღი არ ჰქონდათ.

*24 საათი*

## ორი წლის ბავშვის მკვლელობა და სანქციები პოლიციელების წინააღმდეგ

შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის ბრძანებით, თანამდებობიდან გათავისუფლებულია ორი დღის წინ, დაბა ანაკლიაში მომხდარ ინციდენტში ეჭვმიტანილის, სამეგრელო-ზემო სვანეთის შს სამხარეო პოლიციის თანამშრომლის რამაზ ფარცხიას უშუალო უფროსი. ორი წლის დავით სორდიას გაუფრთხილებლობით მკვლელობაში ეჭვმიტანილი პოლიციელი რამაზ ფარცხია კი, როგორც ცნობილია, დაკავებულია.

შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, სამეგრელო-ზემო სვანეთის კრიმინალური პოლიციის თანამშრომელმა რამაზ ფარცხიამ ცეცხლსასროლი იარაღიდან შემთხვევით მოახდინა გასროლა, რის შედეგადაც მცირეწლოვანი ბავშვი დავით სორდია დაიღუპა.

ბავშვი მამასთან ერთად სეირნობდა ზღვის სანაპიროზე. მას ტყვია თავში მაშინ მოხვდა, როცა მამას ხელში ეჭირა. ექიმებმა მძიმედ დაჭრილი ბავშვის გადარჩენა ვერ შეძლეს. დავით სორდია საავადმყოფოში მიყვანიდან ორ საათში გარდაიცვალა.

შემთხვევიდან რამდენიმე საათში, ტაბელური იარაღით სამხარეო სამმართველოს თანამშრომელი კობა ფარცხია კოლეგებს თავად ჩაბარდა. პოლიციელმა, რომლის ტაბელური იარაღიდან გასროლით ორი წლის დავით სორდია დაიღუპა, სამართალდამცველებს განუცხადა, რომ მომხდარი უბედური შემთხვევა იყო.

როგორც მომხდარის თვითმხილველები ირწმუნებოდნენ, პოლიციელი რამაზ ფარცხია ზღვის სანაპიროზე, მანდილოსანთან ერთად, BMW-ს მარკის ავტომობილში იჯდა, რომელსაც იარაღიდან სროლაში ავარჯიშებდა. დაღუპული ბავშვის ნათესავების განმარტებებით, ეს "მეცადინეობა" რეგულარულად ტარდებოდა ხოლმე.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზუგდიდელმა სამართალდამცველებმა, ინციდენტის დროს კრიმინალური პოლიციის თანამშრომელთან ერთად ავტომანქანაში მყოფი, ორი წლის ბავშვის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ქალი, მარიუზა ქარჩავა დააკავეს.

გარდაცვლილი ბავშვის ნათესავებმა ეჭვმიტანილების სახლების დარბევა სცადეს. თუმცა, ეჭვმიტანილების საცხოვრებელ სახლებთან მობილიზებულმა პოლიციის სპეცრაზმის წევრებმა სიტუაციის განმუხტვა შეძლეს.

*24 საათი*

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10 % - დან 30 % - მდე

აირჩიეთ **ორი** ნომერი და დაარეგისტრირეთ "საქართველოს ტელეკომში"
**ერთი ნომერი** - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქ.თბილისის ტელეფონი)
**მეორე ნომერი** - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისათვის:
დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მობრძანდით "საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია!!! ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია

მხოლოდ **8-10**-ით

www.telecom.ge

### მოკლედ

#### სადახლოს პოლიციის უფროსი მოკლეს

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ორი დღის წინ, სადახლოს პოლიციის უფროსი მოკლეს. ჩვენი ინფორმაციით, სადახლოს პოლიციის უფროსის უჩა ჯანელიძის მკვლელობა თბილისში, თემქის მესამე მიკრორაიონში, მის საცხოვრებელ სახლში მოხდა.

სამართალდამცველები მკვლელობის მოტივსა და ვერსიაზე არ საუბრობენ და კომენტარებისგან თავს იკავებენ. გავრცელებული ინფორმაციით, სადახლოს პოლიციის უფროსს მისივე ტაბელური იარაღიდან გასროლილი რამდენიმე ტყვია აქვს მოხვედრილი. არაოფიციალურად გავრცელებული ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, უჩა ჯანელიძის საცხოვრებელ სახლში მკვლელებმა ძარცვის იმიტაცია შექმნეს. სადახლოს პოლიციის უფროსის სახლიდან წაღებულია ფული.

როგორც გუშინ ჩვენთვის გახდა ცნობილი, პოლიციამ წინასწარი დაკავების იზოლატორში მოკლულის მეუღლე და სიმამრი წაიყვანა. ოჯახის ახლობლები ცოლ-ქმარს შორის არსებულ კონფლიქტზე საუბრობენ. **24 საათი**

#### ყაჩაღობა ლოკომოტივის სტადიონზე

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გუშინ ყაჩაღობა მოხდა. თვითმხილველთა განცხადებით, ერთ-ერთ სალაროში სამი შეიარაღებული ნიღბიანი პირი შეიჭრა და მოლარეს იარაღის მუქარით 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩზე ბილეთების რეალიზაციით შემოსული თანხის ნაწილი, რამდენიმე ათასი ლარი გასტაცეს.

თავდამსხმელთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. შინაგან სამქეთა სამინისტროს ინფორმაციით, სტადიონიდან გატაცებულია 20 ათასი ლარი. **24 საათი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# "პოლიტიკური ავანტიურა"

პირველი გვერდიდან

"რესპუბლიკურმა" პარტიამ პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებას "პოლიტიკური ავანტიურა" და "სამართლებრივი ძალადობა" უწოდა. **"პრეზიდენტის მიერ არჩევნების დანიშნვისა და ყველასაგან დამალვის ფაქტს შეშინებული ხელისუფალის მორიგი პოლიტიკური ავანტურისა და სამართლებრივი ძალადობის შეფასება უნდა მიეცეს, რასაც უკვე კანონის მრავალჯერადი დარღვევა მოჰყვა. სახეზეა, რომ არჩევნები კვლავ ყალბი სიებით ჩატარდება. ახლახან, თავად პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა აღიარა, რომ სიებში პრობლემებია. ამის შემდეგ შეიქმნა სპეცჯგუფები, რომლებსაც სიები კარდაკარ უნდა შეემოწმებინათ. თუმცა, ფორსმაჟორულად დანიშნული არჩევნების გამო, ამ ჯგუფების მუშაობა ვადამდე შეწყდება. პარალელურად დაიწყო არსებული სიების ბეჭდვა. პრეზიდენტმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ არჩევნები ყალბი სიებით ჩატარდეს,"** - აცხადებს თინა ხიდაშელი.

"რესპუბლიკელები" ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უკანონობაში ადანაშაულებენ, რადგან, საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა მიუხედავად, ცესკო-ს ჯერაც არ აქვს განსაზღვრული მაჟორიტარული ოლქების ტერიტორია. ასევე, საარჩევნო კომისიამ არ გამოაქვეყნა ცნობა საარჩევნო ოლქების საზღვრების მითითებით და კვლავ უცნობია, რა პრინციპით, რომელ ოლქში გაიხსნება დამატებით 100 უბანი.

სიების გადამოწმების მიზნით შექმნილ სპეციალურ ჯგუფებს, რომლებსაც 12 სექტემბრამდე უნდა ემუშავათ, ცესკო-ს გადაწყვეტილებით, უფლებამოსილება 1 სექტემბერს, ანუ კომისიების პირველი შეკრებისთანავე შეუწყდებათ.

როგორც "რესპუბლიკელებმა" განმარტეს, ცესკო-ს ევალებოდა, არჩევნებამდე 39 დღით ადრე, ანუ 27 აგვისტოს, პრესით თბილისის, ხოლო 28 აგვისტოს მთელი ქვეყნის საარჩევნო უბნების ზუსტი ჩამონათვალი და მათი საზღვრები გამოექვეყნებინა. თუმცა, ეს ცნობა არ გამოქვეყნებულა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ამომრჩეველმა არ იცის, რომელ უბანში უნდა მისცეს ხმა, ხოლო კანდიდატებმა არ იციან, რომელ უბანში იყრიან კენჭს.

თინა ხიდაშელი ასევე უკანონოს უწოდებს საუბნო კომისიების დაკომპლექტებისთვის გამოცხადებულ ხელახალ კონკურსს, რადგან, მისი თქმით, ცესკო-ს მიღებული არ აქვს კონკურსის დებულება.

დღის მეორე ნახევარში, რესპუბლიკური პარტიის ბრალდებებს ცესკოს თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი გამოეხმაურა. მისი განმარტებით, დღეისათვის ცესკო-ს ამომრჩეველთა "საკმაოდ დახვეწილი" და "მაქსიმალურად გაწმენდილი" ერთიანი სიები აქვს. მისი თქმით, ასეთი სიები საქართველოში არასოდეს ყოფილა. **"სიების გამო ცესკო-ს მიმართ პრეტენზიები არავის ჰქონია და ვერც ვერავის ექნება, მით უმეტეს - არჩევნების დღეს. არა მხოლოდ ოპოზიციური პარტიები, არამედ სრულიად საქართველო ხედავს ცესკო-ს საქმიანობას სიების დახვეწასთან დაკავშირებით. სიებს დამაკმაყოფილებლად აფასებენ საერთაშორისო ორგანიზაციები. მათ დასახვეწად მუშაობა ყოველდღიურად გაგრძელდება. არჩევნებამდე 10 დღით ადრე კი მათი საბოლოო ვერსიები ყველა საარჩევნო უბანზე გამოიკვრება. მათში არ იქნება ამომრჩეველთა გაორებები და ე.წ. "მკვდარი სულები,"** - პირობას იძლევა ჩალაგაშვილი.

# ცაიტნოტი

პირველი გვერდიდან

საქმე ეხებოდათ მერობის სავარაუდო კანდიდატებს კობა დავითაშვილს და დავით ბერძენიშვილს, რომლებიც თეორიულადაც კი ვერ ასწრებდნენ ცესკოში კანდიდატად წარდგენას, ვინაიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საბუთების შეტანის ბოლო ვადა 11 სექტემბერია, ხოლო პარლამენტის სხდომა, რომელმაც შეიძლება მათ დეპუტატის უფლებამოსილება მოუხსნას, 12 სექტემბრისთვის არის დანიშნული.

ასეთ ვითარებაში ცეცხლზე ნავთის დასხმის ტოლფასი იყო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის გიგა ბოკერიას განცხადება იმის თაობაზე, რომ ცესკო-ში რეგიტრაციისთვის დეპუტატის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებაც საკმარისია.

დავით უსუფაშვილის შეფასებით, ბოკერიამ თავისი "ქურდულ-პოლიტიკური სიტყვით" თავი კონსტიტუციაზე მაღლა დააყენა.

ვახტანგ ხმალაძის აზრით, დავით ბერძენიშვილისა და კობა დავითაშვილისათვის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტა, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტის სხომაზეა შესაძლებელი.

**"თეორიულად ძნელი საპოვნელია იურისტი, რომელიც ერთსა და იმავე საკანონმდებლო ნორმას ერთნაირად კითხულობს. ჩვენ ვიმოქმედებთ კანონის მიხედვით, ისე, როგორც ჩვენ გვესმის კანონი. თუ კი ვინმეს პრეტენზია ექნება, შეუძლია, სასამართლოს მიმართოს,"** - ამგვარი კომენტარი მისცა "24 საათს" პროფესიით იურისტმა და თანამდებობით ცენტრალური საარჩევნო კომიის თავმჯდომარემ გურამ ჩალაგაშვილმა. თუმცა, რამდენიმე წუთის შემდეგ ხელისუფლების პოზიციის არსებითი ცვლილების მომსწრენი გავხდით, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ხათუნა გოგორიშვილმა ტელევიზიით გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ პარლამენტის თავმჯდომარე მზად არის, რიგგარეშე სხდომა მოიწვიოს.

მზად არის თუ არა "კონსერვატორების" სასურველი კანდიდატი კობა დავითაშვილი, რომ რიგგარეშე სხომით ისარგებლოს? **"თუკი ოპოზიცია საერთო კანდიდატად დამასახელებს, მზად ვარ, უარი ვთქვა დეპუტატობაზე,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბრისას დავითაშვილმა.

საერთო კანდიდატის თაობაზე ოპოზიციაში სჯა-ბაასი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. გუშინ "მემარჯვენეებმა" საჯაროდ დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია - ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას, თუკი ოპოზიცია საერთო კანდიდატად ბადრი პატარკაციშვილს აღიარებს. ოპოზიციის სოლიდურ ნაწილს კი, არა მარტო პატარკაციშვილის კანდიდატურა, არამედ ამგვარი ულტიმატუმის ენაზე საუბარიც არ სიამოვნებს.

"ლეიბორისტების" ინიციატივამ კი, ბოიკოტი გამოუცხადონ ადგილობრივ არჩევნებს, ჯერჯერობით სერიოზული მარდაჭერა ვერ მოიპოვა. **"ამ ეტაპზე ჩვენ ვიღებთ არჩევნებში მონაწილეობას,"** - აცხადებს რესპუბლიკელი დავით უსუფაშვილი. იგივე პოზიციაზე არიან კონსერვატორებიც. "მრეწველი" გიორგი ცაგარეიშვილის აზრით, ბოიკოტი პარტიის თვითლიკვიდაციას ნიშნავს და მათთვის პროტესტის ეს ფორმა კატეგორიულად მიუღებელია.

სერიოზულად იმოქმედებს თუ არა თარიღის გადმოწევა არჩევნების შედეგებზე? - ამ კითხვაზე ოპოზიცია, რა თქმა უნდა, ცალსახად პასუხობს - იმოქმედებს! "პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც არჩევებში მონაწილეობის და გამარჯვების ამბიცია აქვს, ყოველთვის მზად უნდა იყოს," - აცხადებს "ნაციონალი" კირკიტაძე. პოლიტოლოგების დავით დარჩიაშვილის და გია ნოდიას აზრით, თარიღის ცვლილება არჩევნების შედეგების პირდაპირპროპორციულ ცვლილებას არ გამოიწვევს. მათი აზრით, ხელისუფლების შანსები დიდია. თუმცა, ნოდიას შეფასებით, გამორიცხული არ არის, რომელიმე პარტიამ ამა თუ იმ რეგიონში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიოს.

# "ახალი ეკონომიკური ინიციატივის" განხორციელება დაიწყო

ეკა ჭანაშია

**"რა არის ჩვენი ამოცანა? ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი მხრივ, ადამიანებს ძალიან აწუხებთ დასაქმების პრობლემა, მეორე მხრივ კი, მეწარმეები კვალიფიციური კადრების დეფიციტს განიცდიან. ჩვენი ამოცანაა, ეს ორი იმპულსი ერთმანეთს შევახვედროთ,"** - განაცხადა განათლების მინისტრმა კახა ლომაიამ გუშინ პროფესიული ცენტრების მასწავლებლებთან და დირექტორებთან შეხვედრაზე. პროფესიული ცენტრების გახსნის გეგმა პრეზიდენტის "ახალი ეკონომიკური ინაციატივის" პროგრამის ფარგლებში შეიქმნა.

სპეციალისტთა გათვლებით, პრეზიდენტის "ახალი ეკონომიკური ინიაციატივა" 2009 წლისთვის უმუშევრობის დონეს ორჯერ შეამცირებს. ამ პროექტის ფარგლებში შექმნილი დასაქმების პროგრამა ორი კომპონენტისგან შედგება. პირველი - ეს არის პროფესიული გადამზადების ცენტრები, რომელთა გახსნა უახლოეს პერიოდში იგეგმება. მიმდინარე წელს 11 ასეთი გადამზადების ცენტრი გაიხსნება. მეორე ადგილზე უმუშევარი ადამიანების პროფესიული მომზადებაა. პროფესიული სასწავლო ცენტრების ჩამოყალიბებას ამერიკელი ექსპერტები კურირებენ. ამ ცენტრებში ახალი პროგრამით მოამზადებენ პროფესიულ კადრებს. განათლების სამინისტროსა და მეწარმეებს შორის დადებული სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე სწავლების მეთოდიკის შემუშავებაში ამერიკელებმა ქართველი მეწარმეებიც ჩართეს.

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და განათლების მინისტრი ალექსანდრე ლომაია ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, პროფესიული განათლების ცენტრების მასწავლებლებსა და დირექტორებსა და ბიზნესმენებს შეხვდნენ.




როგორც ცნობილია, წელს 10 პროფესიული განათლების ცენტრის სრული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა დასრულდება. მომდევნო წელსაც ამდენივე ცენტრი ამოქმედდება და განახლებულ ცენტრებში ყოველწლიურად განათლებას 4-დან 8 ათასამდე ახალგაზრდა თუ ზრდასრული ადამიანი მიიღებს. აშშ მთავრობის ხელშეწყობით, ოკლაჰომის შტატის ტექნოლოგიური განათლების დეპარტამენტის ექსპერტები ტრენინგებს ზეინკლის, შემდუღებლის და ელექტროშემკეთებლის სპეციალობებით ატარებენ.

პრეზიდენტმა მოუწოდა ბიზნესმენებს, ხელი შეუწყონ ამ ცენტრების მუშაობას, აქტიურად ითანამშრომლონ მათთან მომავალი კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად, რომელთაც სწავლის დასრულების შემდეგ საკუთარ საწარმოებში დაასაქმებენ. **"თუ გავერთიანდებით და ერთად ვიმოქმედებთ ჩვენ შევძლებთ დავამარცხოთ უმუშევრობა. ჩვენ შევძლებთ უახლოეს მომვალში გვყავდეს პროფესიული, კვალიფიციური კადრები, რაც საშუალებას მისცემს მეწარმეებს, სამუშაოდ ადგილობრივი სპეციალისტები დაიქირაონ და არა უცხოელები"**- განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

იმ დროს, როდესაც პრეზიდენტი ტექნიკურ უნივერსიტეტში შეხვედრას ატარებდა, პრემიერ-მინისტრი ნოღაიდელი სასტუმრო "თბილისი მერიოტში" დასაქმების პროგრამასთან დაკავშირებით რესტორნებისა და სასტუმროების მეპატრონეებს ხვდებოდა.

"ახალი ეკონომიკური ინიციატივის" მეორე მიმართულება - კადრების გადამზადების პროგრამა 18 სექტემბრიდან იწყება. მთავრობამ ბიზნესმენებსაც შესთავაზა, ადამიანების სტაჟირების 3 თვიან პროგრამაში ჩართვა, რომელსაც მთლიანად სახელმწიფო დააფინანსებს. ნოღაიდელმა სასტუმრო "თბილისი მერიოტში " გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ კერძო სექტორს უფლება აქვს ნებაყოფლობით მიიღოს ამ პროექტში მონაწილეობა, აიყვანოს უმუშევარი ადამიანი, სამი თვის განმავლობაში გადაამზადოს და ამისათვის სახელმწიფო თითოეულ გადამზადებულ ადამიანს 450 ლარს გადაუხდის, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება ბიზნესმენებს სთავაზობს უფასო მუშახელს სამი თვის განმავლობაში, შემდგომი დასაქმების ვალდებულების გარეშე.

ნოღაიდელმა მომსახურების სექტორის წარმომადგენლებს მოუწოდა აქტიურად ჩაერთონ დასაქმების ახალ პროგრამაში - **"მოგიწოდებთ ყველას, გადაამზადოთ უმუშევარი ადამიანები, შეარჩიეთ კადრები, გააფართოეთ საქმიანობა, მიიღეთ ამ ყველაფერში მონაწილეობა, თორემ სხვა გააკეთებს ამ ყველაფერს"**. შეხვედრას ბიზნესმენებთან ესწრებოდნენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ვლადიმერ ჭიპაშვილი და სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი ლევან ფერაძე.

პრემიერ-მინისტრმა ჭიპაშვილს დაავალა კიდევ ერთხელ შეხვდეს სამომხმარებლო სექტორის წარმომადგენლებს და უფრო დეტალურად განიხილონ ორგანიზაციული საკითხები.

ცნობილია, რომ პროექტი საქართველოს ათ დიდ ქალაქში ამოქმედდება. შექმნილია ცენტრები, სადაც მსურველები შესაფერის თანამდებობას, ანუ სტაჟირების ადგილს მოძებნიან. თავის მხრივ, სხვადასხვა კომპანიები მოიწვევენ მათთვის საჭირო პროფესიის ადამიანებს, ჩაუტარებენ სტაჟირებას და შემდეგ ადგილზევე შეარჩევენ სასურველ და მისაღებ კადრებს.

შეხვედრაზე ასევე დარიგდა განაცხადის ფორმები, რომლებიც უნდა შეივსოს 15 სექტემბრამდე. უშუალოდ უმუშევარი ადამიანების დასაქმება 18 სექტემბრიდან დაიწყება. წელს 50 ათასი უმუშევრის გადამზადება იგეგმება, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 24 მილიონი ლარია გამოყოფილი. მომსახურების სექტორის წარმომადგენლები პრეზიდენტის ამ ინიციატივას დადებითად შეხვდნენ და განაცხადეს, რომ ისინი ამ პროექტში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებენ.

# "რეფერენდუმს არანაირი კანონიერი ძალა არ ექნება"

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს შეშფოთებას, თვითაღიარებული დნესტრისპირეთისა და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული ხელისუფლებების მიერ დამოუკიდებლობის თაობაზე რეფერენდუმების ჩატარების განზრახვასთან დაკავშირებით.

ტირასპოლისა და ცხინვალის თვითგამოცხადებული რეჟიმების მხრიდან დაგეგმილი ეს ღონისძიებები პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკის კონსტიტუციებს ისევე, როგორც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. შესაბამისად, მომავალი რეფერენდუმების შედეგებს არანაირი კანონიერი და იურიდიული ძალა არ ექნება და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან სათანადოდ იქნება შეფასებული.

სავსებით ნათელია, რომ ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების ეს "ინიციატივა" ემსახურება რეგიონში დაძაბულობის გამიზნულ ესკალაციასა და დესტაბილიზაციას, რაც, საბოლოო ჯამში, მიმართულია სამშვიდობო პროცესის ჩაშლისკენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ ადასტურებს ერთგულებას კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი გზებით მოგვარებისადმი, რაც შესაძლებელია რეგიონის დემილიტარიზაციისა და ეკონომიკური რეაბილიტაციის საკითხების მოგვარებასთან ერთად, საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში. სწორედ ასეთი მიდგომები დაედო საფუძვლად საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო გეგმას, რომელიც ერთხმად იქნა მოწონებული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ 2005 წლის 6 დეკემბერს, ეუთოს ლუბლიანას მინისტერიალზე. სამინისტრო ასევე მხარს უჭერს ეუთო-ს დონორთა კონფერენციის გადაწყვეტილებათა დროულად შესრულებას და ამ კუთხით კვლავაც გააგრძელებს აქტიურ მუშაობას დონორ ქვეყნებთან.

საგარეო საქმეთა სამინისტროს აღშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელმძღვანელობა, ნაცვლად იმისა, რომ მთელი ძალისხმევა ქართულ მხარესთან ერთად მოახმაროს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მხარდაჭერილ სამშვიდობო გეგმისა და 2006 წლის 14 ივნისის ეუთო-ს დონორთა კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებების იმპლემენტაციას, მსგავსი უპერსპექტივო ნაბიჯებით სერიოზულ საფრთხეს უქმნის სამშვიდობო პროცესს და მიზნად ისახავს რეგიონში ვითარების გამწვავებას.

*24 საათი*

# რეზოლუციის განხორციელება

პირველი გვერდიდან

შეგახსენებთ, რომ უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის მიხედვით, მრავალეროვნული არმიის რაოდენობა 15 000 ჯარისკაცით განისაზღვრა, თუმცა, ჯერ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი, თუ რა რაოდენობის სამხედრო ძალით შეუერთდებიან ქვეყნები გაეროს სამშვიდობო მისიას. ბოლო მონაცემებით, საფრანგეთი - 2000, ნორვეგია - 100, ბელგია - 392, ფინეთი - 250, პოლონეთი - 500, ხოლო ბანგლადეშში კი - 2000-ზე მეტი სამხედროს გამოიყვანს. რაც შეეხება მალაიზიას, ესპანეთს, ინდონეზიასა და ნეპალს, თვითოეული მათგანი ერთ ბატალიონს გაგზავნის სამხრეთ ლიბანში. გერმანია მონაწილეობას მიიღებს საზღვაო და სახმელეთო საზღვრის პატრულირებაში.



საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ისრაელის პროტესტის მიუხედავად სამშვიდობო მისიაში ის ქვეყნებიც მიიღებენ მონაწილეობას, რომელთაც ოფიციალურ იერუსალიმთან დიპლომატიური ურთიერთობები არ გააჩნიათ. (ინდონეზია, ბანგლადეში, მალაიზია.)

ევროპის ზოგიერთი ქვეყანა თავს იკავებს მრავალეროვნულ სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის მიღებისაგან, რასაც, მათი განცხადებით, მანდატის ძალზედ ბუნდოვნად განსაზღვრული პირობები იწვევს. ისინი აცხადებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მრავალეროვნული არმია ლიბან-ისრაელის საზღვრის გარდა სირია-ლიბანის საზღვარზეც განლაგდება, ისინი სამხედრო კონტინგენტის გამოყვანაზე უარს იტყვიან.

ყველაზე დიდ სამხედრო კონტინგენტს, 3000 ჯარისკაცს, კონფლიქტის ზონაში იტალია გაგზავნის. სამხედრო შენაერთების ტრანსპორტირებას ლიბანის ტერიტორიაზე იტალია ოთხშაბათს, 31 აგვისტოს დაიწყებს.

საყურადღებოა, რომ სამშვიდობო კონტინგენტს, რომელიც მანდატის მიხედვით, 2007 წლის 31 აგვისტომდე დარჩება ლიბანის ტერიტორიაზე, თებერვლამდე საფრანგეთი, ხოლო შემდგომ იტალია უხელმძღვანელებს.

ცესკო

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით, 2006 წლის 29 აგვისტოს, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა:

1. საქართველოს რესპუბლიკური პარტია და მისი წარმომადგენლები - ირინა იმერლიშვილი და ზურაბ მარაქველიძე (ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება N22).
2. საქართველოს კონსერვატიული პარტია და მისი წარმომადგენელი როინ ხიჯაკაძე (ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება N23).

ცესკო

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

სრულიად საქართველოს მასშტაბით საარჩევნო უბნების საზღვრები გამოკრულია შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების ადმინისტრაციულ შენობებში.

## ინფორმაცია

**საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ 2006 წლის 18 აგვისტოს გაზეთ 24 საათში, მსუბუქი ავტომობილების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერის შესახებ განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შენაარსის "გ" პუნქტი

გ) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

**საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისია**

# "საქართველოს ბანკის" მორიგი საჩუქარი სტუდენტებს

"საქართველოს ბანკმა" გუშინ განაცხადა იმის შესახებ, პირველი სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით ყველა მეორეკურსელ სტუდენტს, ხოლო 10 სექტემბრიდან ყველა პირველკურსელს დაასაჩუქრებს MasterCard Standart-ი პლასტიკური ბარათით. MasterCard Standart-ის გამოყენება შესაძლებელია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. აღნიშნული ბარათით შესაძლებელია შენაძენის თუ ჯავშნის გაკეთება ინტერნეტით და ტელეფონით. აღსანიშნავია, რომ ყველა პირველკურსელი ბარათთან ერთად "საქართველოს ბანკისგან" საჩუქრად მიიღებს 10 ლარს.

ხსენებული ბარათის ყველა მფლობელს ექნება შანსი, მოხვდეს 10 გამარჯვებულს შორის და გაემგზავროს ატენში, 2007 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩზე დასასწრებად.

ბარათთან ერთად სტუდენტები მიიღებენ "საქართველოს ბანკის" ფასდაკლების ვაუჩერს, რომელიც გულისხმობს ფასდაკლებას ისეთ ობიექტებში და მომსახურებაზე, როგორიცაა: პარფიუმერიის ქსელი "ვულე-ვუ", სადაზღვევო პროგრამა "ჩემები", მაღაზია "სპორტტაიმი", "სტუდიო დემეტრე", მაღაზია "მაქსტოპი", კინოთეატრი "ამირანი", "კუს ტბა", "თეატრალური სარდაფი", "ნოკია", მაღაზია "სვოჩი", მაღაზია "ჯინსის გალერეა", "ფოტო ცენტრი", "პროფოტო ცენტრი", "ტომი ჰილფიგერი", "ფოტო სამყარო", ფეხსაცმლის მაღაზია "ენცო დონინი", მაღაზია "რონიკო".

**"პროექტის მიზანია, საბანკო მომსახურება უფრო ხელმისაწვდომი გავხადოთ სტუდენტებისთვის და მივცეთ მათ საშუალება, ისარგებლონ პლასტიკური ბარათის იმ უპირატესობებით, რომელთაც MasterCard Standart-ი იძლევა. "საქართველოს ბანკმა" ასევე იზრუნა სტუდენტებისთვის დამატებითი კომფორტის შექმნაზე და სთავაზობს მათ ფასდაკლებას იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელსაც ისინი ყველაზე ხშირად მოიხმარენ,"** - აღნიშნა "საქართველოს ბანკის" პროდუქტების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბესო აბულაძემ.

ბარათები სტუდენტების სახელზე უკვე დაბეჭდილია. მეორეკურსელებმა პირველი სექტემბრიდან, ხოლო პირველკურსელებმა 10 სექტემბრიდან, უბრალოდ, უნდა მიაკითხონ სტუდენტური მომსახურების ცენტრს, მისამართზე: წერეთლის გამზირი, N 118, "ექსპო ჯორჯიას" საგამოფენო კომპლექსი, პავილიონი N 11.

აღსანიშნავია, რომ ერთი კვირის წინ "საქართველოს ბანკმა" უკვე წარუდგინა მომხმარებელს ახალი პროდუქტი - "მომენტალური სტუდენტური სესხი", რომლის საშუალებითაც ნებისმიერი კურსის სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, მომენტალურად მიიღოს სესხი, სამი ათას ლარამდე, სწავლის დასაფინანსებლად. "მომენტალური სტუდენტური სესხის" მისაღებად არ მოითხოვება უზრუნველყოფა ან მესამე პირის თავდებობა. სესხის გაცემა ხდება მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე. სესხის მისაღებად საკმარისია, რომ სტუდენტის ოჯახის რომელიმე წევრის შემოსავალი თვეში მინიმუმ 150 ლარს შეადგენდეს.

*24 საათი*

# "ჯიპიაი ჰოლდინგი" სახელმწიფო პროგრამის მხარდასაჭერად 500 მოქალაქეს დაასაქმებს

გუშინ სადაზღვევო კომპანია "ჯიპიაი ჰოლდინგმა" ოფიციალურად დაადასტურა მონაწილეობა "სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის" განხორციელების საქმეში და ამით მხარდაჭერა გამოუცხადა სახელმწიფოს.

კომპანია თავის თავზე იღებს ამ პროგრამის ფარგლებში 500 ადამიანის დასაქმებას სადაზღვევო აგენტების თანამდებობაზე. პროგრამის დასრულების შემდეგ "ჯიპიაი ჰოლდინგი" მზად არის, შერჩევის საფუძველზე საკუთარ კომპანიაში მუდმივად დაასაქმოს პროგრამაში მონაწილე ყველა შესაბამისი კანდიდატი. კანდიდატების შერჩევა ა.წ. 15 სექტემბრიდან დაიწყება. შერჩეულ კადრებს კომპანია შესაბამის ტრენინგებს ჩაუტარებს, მუშაობას კი ისინი ა.წ. ოქტომბრიდან შეუდგებიან. კომპანია დაასაქმებს უმაღლესი განათლების მქონე ენერგიულ და შედეგზე ორიენტირებულ მოქალაქეებს, რომლებსაც ექნებათ სადაზღვევო სფეროში მუშაობის ინტერესი, ხოლო მუდმივ სამუშაოს აგენტებს კონკრეტული წარმატებისა და შედეგების საფუძველზე შესთავაზებს.

როგორც კომპანიის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კვირიკაძემ განაცხადა: **"მიმაჩნია, რომ ამ პროგრამაში ჩვენი კომპანიის ჩართვა სასარგებლო იქნება როგორც ქვეყნისათვის, ისე ჩვენი საქმიანობისათვის. ეს პროგრამა, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ჩვენი სადაზღვევო პროდუქტების ფართო შეთავაზებას ბაზარზე, ხოლო, მეორე მხრივ, მოქალაქეების დასაქმებასა და სადაზღვევო სფეროში გათვითცნობიერებას."** მისივე შეფასებით, "ჯიპიაი ჰოლდინგის მიერ" აღნიშნული სახელმწიფო პროგრამის მხარდაჭერა ხელს შეუწყობს უმუშევარი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებასა და ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას. კომპანია დასაქმების მსგავსი პროგრამების რეგულარულად განხორციელებას აპირებს.

შეგახსენებთ, რომ "ჯიპიაი ჰოლდინგი" საქართველოს სადაზღვევო სივრცის ლიდერი კომპანიაა, რომლის დამფუძნებლები სოლიდური უცხოური და ქართული კომპანიები არიან, მათ შორის, TBIH და საქართველოს საბანკო სისტემის ლიდერი "თი-ბი-სი ბანკი". 2006 წ. 9 ივნისიდან "ჯიპიაი ჰოლდინგი" "ვენის სადაზღვევო ჯგუფის" წევრია. მიმდინარე წლის განმავლობაში "ჯიპიაი ჰოლდინგს" ანაზღაურებული აქვს 4,000,000 ლარის ოდენობით ზარალი. 2005 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ მოზიდულმა პრემიამ 8,200,000 ლარი შეადგინა.

*24 საათი*

ცესკო

# საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებები:

2006 წლის 5 ოქტომბრის ქალაქ თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებისათვის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შექმნისა და ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ (N158/2006),

2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების თაობაზე (განკN159/2006),

2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებისათვის თვითმმართველი ქალაქების ქუთაისის, რუსთავის, ფოთისა და ბათუმის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ (161/2006),

2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებისთვის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ (162/2006).

განკარგულებების სრული ტექსტი იხილეთ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე: www.cec.gov.ge

# ტურისტებს მთავრობა უფრო მომზადებული შეხვდა

პირველი გვერდიდან

მაღალ დონეზე გაკეთდა თბილისი-ბათუმი-სარფის მაგისტრალური გზა, განათდა და შეკეთდა ქუჩები, სახლები გადაიღება ცისარტყელას ფერებში, ბევრი შადრევანი ამოქმედდა. და ამ ყველაფერმა ტურისტებში ამაღლებულ განწყობა შექმნა, რასაც ვერ ვიტყვით კერძო სტრუქტურაზე, რომელიც დამსვენებელს მოუმზადებელი შეხვდა. სასტუმროებში, რესტორნებში, კაფე-ბარებში მომსახურების დონე მაინც დაბალი იყო. ბათუმის ბულვარში, საღამოს საათებში, როცა კაფე-ბარებში შეკვეთების რაოდენობა გაორმაგებულია, გაირკვა, რომ მაგიდის ალაგებას ტურისტი 25 წუთი, ხოლო პიცის გამოცხობას ერთი საათი ელოდა.

გასულ სეზონთან შედარებით, ტურისტული ნაკადის ორჯერ გაზრდამ ბიზნესჯგუფების შემოსავლებიც შესაბამისად გაზარდა. სამ ძირითად ცენტრში - ქობულეთი, ბათუმი, გონიო-კვარიათი - დამსვენებლები სოციალური ფენის მიხედვით გადანაწილდნენ.

დღემდე რეგიონში მაღალი კლასის (ხუთი ვარსკვლავი) მხოლოდ ერთადერთი სასტუმრო მოქმედებს. მიმდინარე წლის ივლისში ამოქმედებულ "ინტურისტ-პალასს", ძირითადად, ქართული პოლიტიკური ელიტა, ცნობილი ადამიანები და უცხოელი მნიშვნელოვანი პერსონები სტუმრობენ. 81 დოლარია ყველაზე დაბალი კლასის ნომრის ფასი, რომელშიც მხოლოდ დილის საუზმე შედის. ე.წ პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის აპარტამენტები კი 600 დოლარი ღირს. ამის გარდა, ბათუმში კიდევ 20 ახალი სასტუმრო აშენდა, სადაც, ძირითადად, საშუალო ფენა ისვენებს. მსგავს სასტუმროებში ერთი ნომრის ფასი 30 დოლარია. ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლების განმარტებით, ბათუმში დაბალი ფასების გამო განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა კომუნალურ და იზოლირებულ ბინებზე. კერძო ბინებში, შეთავაზებული კომფორტის შესაბამისად, ერთი ადამიანი ღამეში, ქირის სახით, 10-20 ლარს იხდის.

როგორ ისვენებენ და ერთობიან დამსვენებლები?

კაფე-ბარები საკმაოდ ძვირია. თუ გასულ წელს ბულვარში პიცა 5 ლარი ღირდა, ახლა მისი ფასი 15 ლარია. სამჯერ გაძვირებული კვების მსგავსად, გართობაც "ფანტასტიკური ფასები" ჯდება. ერთი საათით სკუტერით გასეირნება 300 ლარი ღირს. ამ ეტაპზე ყველა დამსვენებლისთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ ბათუმის ბულვარში გასეირნებაა.

ტურისტების ყველაზე დიდი ნაკადი მეზობელირესპუბლიკებიდან ქობულეთსა და გონიოში ისვენებს. როგორც ირკვევა, ქობულეთში სომხურმა ბიზნესჯგუფებმა სტარტი გაზაფხულზე აიღეს. მათ ადგილობრივი სასტუმროების, დასასვენებელი სახლების, კაფე-ბარების მეპატრონეებთან იჯარის ხელშეკრულება გააფორმეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სომხებმა მიღწეული გარიგებით ადგილობრივებს სეზონის დასაწყისშივე გადაუხადეს თანხა. გარიგება სარფიანი გამოდგა - სომეხმა ბიზნესმენებმა ადგილობრივ მეპატრონეს ერთ ნომერში თუ 20 დოლარი გადაუხადეს, ახლა ისინი დამსვენებელზე იგივე ნომერს ორმაგ ფასში აქირავებენ. ბუნებრივია, სომხები ამ სეზონიდან მიღებულ მოგებას კაპიტალის სახით ქვეყნიდან გაიტანენ, ან კიდევ აჭარაში დააბანდებენ და ახლა ისინი გახდებიან სასტუმროების მესაკუთრეები. "24 საათთან" საუბარში ბათუმის პლაჟზე მდებარე ერთ-ერთი ბარის მესაკუთრე (მან ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა) ამბობს, რომ სეზონის დასაწყისში ობიექტი სომეხ ბიზნესმენს საკურორტო სეზონის დასრულებამდე 17 ათას დოლარად მიაქირავა, მაშინ, როცა ახლა დღე-ღამეში ამ ობიექტის შემოსავალი 3000 დოლარია. ადგილობრივი მესაკუთრე ობიექტის გაქირავებას იმ უბრალო მიზეზით ხსნის, რომ ის გასულ წელს იძულებული იყო, ყველა ნაცნობსა თუ მეგობარს ბარში უფასოდ გამასპინძლებოდა, რამაც მისი საქმე წამგებიანი გახადა.

დამსვენებელთა ბუმია გონიო-კვარიათში. აქ, სუფთა ზღვის გარდა, დამსვენებელს სიმყუდროვე და რომანტიკული შეხვედრების ადგილები იზიდავს. ფასებიც ხელმისაწვდომია. ერთი ღამე, სამჯერადი კვებით, ერთ ადამიანზე საშუალოდ 20-30 ლარი ღირს. გონიოს მცხოვრები, ე. წ. გესტჰაუზის ერთ-ერთი მესაკუთრე ისაკ ბარამიძე "24 საათთან" საუბარში ამბობს: **"ჩემს სასტუმროში ახლა ყოველდღიურად 40 ადამიანი ისვენებს. ორი წლის განმავლობაში მიღებული მოგებით საცურაო აუზი გავაკეთე, სახლზე მეორე სართული დავაშენე და ნომრები კომფორტულად მოვაწყვე. ეს ჩემი ოჯახის სეზონური ბიზნესია. მართალია, ჯერ არ გავმდიდრებულვარ, მაგრამ იმედია, ეს დროც დადგება."**

ერთი შეხედვით ჩანს, რომ აჭარა აღმშენებლობის გზაზეა დამდგარი, რაც ადგილობრივ მცხოვრებთ საკუთარი საქმის დაწყების სტიმულს აძლევს. მაგრამ, რეალურად, მათ სერიოზული წინააღმდეგობების გადალახვა უწევთ. ბიზნესისთვის მიმზიდველი ადგილის ხელში ჩასაგდებად საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაა საჭირო. თუ გასულ წელს ბულვარში ჯიხურის ჩადგმა ადგილობრივებისთვის მოსახერხებელი იყო, ახლა ეს ტერიტორია მონოპოლიზებულია და მათზე ხელი მხოლოდ გავლენიან პირებს მიუწვდებათ. ქობულეთში, ზღვის სანაპიროზე ერთი კვადრატული მიწის ფასმა 1000 დოლარს მიაღწია. მაგრამ ისიც ირკვევა, რომ მიწის დიდი პრივატიზაცია აჭარაში ჯერ არ დაწყებულა. მართალია, ამის გაკეთებას ევროსაბჭო საქართველოს მთავრობისგან, დიდი ხანია, მოითხოვს, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებას ხელისუფლებაში არსებული დაპირისპირება ამუხრუჭებს. როგორც ჩანს, ჯერ ისევ შესათანხმებელია, პრივატიზაციის დროს სანაპირო ზოლში ვის რა ფართი შეხვდება.

# სს "პოპულიმ" 2006 წლის პირველი ნახევრის ფინანსური შედეგები გამოაცხადა

გუშინ, ერთადერთმა საკუთარი სავაჭრო მარკის მქონე ქართულმა სუპერმარკეტების ქსელმა სს "პოპულიმ" 2006 წლის პირველი ნახევრის ფინანსური შედეგები გამოაცხადა.

[illegible]

ათასი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული

| | 2005 | 2006 პირველი ნახევარი |
|---|---|---|
| შემოსავალი | 9,882 | 7,029 |
| გაყიდული საქონლის საფასური | 7,248 | 5,105 |
| მთლიანი საოპერაციო შემოსავლები | 2,634 | 1,924 |
| სავაჭრო, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 1,918 | 1,529 |
| EBITDA | 716 | 395 |
| *EBITDA* ზღვარი, % | *7.2%* | *5.6%* |
| მთლიანი აქტივები | 7,245 | 8,725 |
| მთლიანი ვალდებულებები | 4,573 | 4,297 |
| საკუთარი კაპიტალი | 2,672 | 4,428 |
| სავაჭრო ფართი, კვადრატული მეტრი | 2,073 | 2,730 |
| მაღაზიათა რაოდენობა | 13 | 15 |

გუშინვე კომპანიამ არჩილ მელიქაძის აღმასრულებელ დირექტორად დანიშვნის შესახებ განაცხადა. აღნიშნული პოზიციის დაკავებამდე, კერძოდ, 2005 წლის იანვრამდე ის საქართველოს ელექტროკავშირის (GSE: UTC) ფინანსურ დირექტორად მუშაობდა, მისი უშუალო პასუხისმგებლობის სფეროში შედიოდა კომპანიის რესტრუქტურიზაცია მის სრულ პრივატიზაციამდე, რომელიც საბოლოოდ 2006 წლის მაისში განხორციელდა. საქართველოს ელექტროკავშირში მოღვაწეობის დაწყებამდე იგი ექვსი წლის განმავლობაში იკავებდა აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის თანამდებობას საქართველოს ერთ-ერთ წამყვან საკონსულტაციო კომპანია CERMA-ში. იგი CERMA-ს საკონსულტაციო ჯგუფებს მართავდა, რომლებიც დახმარებას კლიენტ კომპანიებს რესტრუქტურიზაციის სწორ წარმართვასა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში უწევდნენ. CERMA-ში მოღვაწეობის დაწყებამდე არჩილ მელიქაძე მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ექსპერტის თანამდებობას იკავებდა საწარმოთა რესტრუქტურიზაციის სფეროში, სხვადასხვა რეგიონებში მოკლევადიანი ხელშეკრულებების საფუძველზე. მას გააჩნია კოლუმბიის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი ეკონომიკაში და არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებათა კანდიდატი (PHD) ფიზიკაში.

**"მოხარული ვარ, რომ "პოპულიმ" შეძლო ამგვარი გამოცდილი ადამიანის მოზიდვა მისი განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპზე. ბატონი მელიქაძე მჭიდროდ ითანამშრომლებს სამეთვალყურეო საბჭოსა და ბ-ნ ევგენი ფიჩხაიასთან ("პოპულის" გენერალური დირექტორი და დამფუძნებელი) თბილისსა და სხვა რეგიონებში "პოპულის" მაღაზიათა ქსელის დაგეგმილი გაფართოების პროცესის დროს,"** - აღნიშნა "პოპულის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა და "საქართველოს ბანკის" კორპორაციული და საინვესტიციო საბანკო საქმიანობის თანახელმძღვანელმა ლექსო ლიპარტელიანმა. თავად ახალმა აღმასრულებელმა დირექტორმა არჩილ მელიქაძემ აღნიშნა: **"მოხარული ვარ, რომ ასეთ დინამიურად მზარდ კომპანიას შევუერთდი და ვიმედოვნებ, რომ სწრაფი ზრდის ტემპი შენარჩუნებული იქნება. 2006 წლის მეორე ნახევარში ჩვენი პრიორიტეტები მოიცავს ლოჯისტიკური სისტემის დახვეწას, "პოპულის" ბარათების გამოშვებას, საუკეთესო ჰიპერმარკეტის ფუნქციონირებას ცენტრში და დისკონტური მაღაზიის გახსნას თბილისის მჭიდროდ დასახლებულ რაიონში.**

*"24 საათი*






ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 202424 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

თბილისში, საპატრიარქოს წინ არის ერთი ბაღი თუ მცირე რამ სკვერი, ძალიან მოუვლელი და მივარდნილი. ამ ღვთის, მერიისა და სპონსორებისგან მივიწყებულ ნიადაგზე ბუნებამ ისე ძალუმად და თავისუფლად აღმოაცენა სხვადასხვა ჯურის მცენარე, რომ ზაფხულობით იქ შესულს გგონია, თითქოს რომელიღაც სხვა სამყაროში შეაბიჯე. რტოების, ღეროებისა და ფოთლების ცოცხალი მასა ყოველი მხრიდან აბრკოლებს სინათლისა და ხმაურის შემოსვლას, ამიტომაც იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეპოქათა შორის გაჩენილ შემთხვევით ბზარში ჩავარდი... თუმცა ამ შთაბეჭდილებას კიდევ ერთი საფუძველი მოეპოვება - ბაღის შუაგულში გარს შემოჯარული ტევრის ფონზე თითქმის შეუმჩნეველი დგას პატარა შადრევანი, უკვე დიდი ხნის წინათ გამომშრალი და ნახევრად ჩამონგრეული, რატომღაც მწვანედ შეღებილი და საქმეში ჩახედული კაცისთვის ერთი მოულოდნელობის შემცველი: ეს მოულოდნელობა კი შადრევნის შეუცდომლად ევროპული, უფრო მეტიც, პარიზული იერია. კარგად გამიგეთ — ეს არაა რუსეთის იმპერიის ნაწლავებში გამოტარებული თბილისური მოდერნი, არამედ სწორედ რომ პარიზული შადრევანია, რომლის მსგავსს უკვე ველარ შეხვდებით საფრანგეთის დედაქალაქის ქუჩებში, სადაც აკრძალული აბსენტის არომატი ქაბაბისა და შაურმას პოლიტკორექტულმა სუნმა შეცვალა.

დავაკვირდეთ ამ პატარა თბილისურ კურიოზს: კვეთში შადრევანი ოთხკუთხა ფორმისაა და ოთხივე მხარეს ქალების სკულპტურული გამოსახულებებია ჩაყოლებული. ქანდაკებებს მოჩუქურთმებული ფანჩატური ადგას თავზე და ამ ფანჩატურის ზედა მხარეს, ოთხივე კედელზე ფრანგული წარწერებია. სამი მათგანი ასე ჟღერს: **"თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა"**. აი, მეოთხე წარწერა კი მართლაც საინტერესოა: **"პარიზი, 1789 წლის 14 ივლისი — თბილისი, 1918 წლის 26 მაისი"**.

1789 წლის 14 ივლისს საფრანგეთის მოქალაქეებმა შტურმით აიღეს ბასტილია — ძველი რეჟიმის ხილული, ხელშესახები და, რაც მთავარია, საძულველი სიმბოლო. 1918 წლის 26 მაისს კი ქართველებმა... მაინც რა გააკეთეს ქართველებმა 1918 წლის 26 მაისს? მას, ვინც ამ თარიღს საზეიმო აღლუმებით, ჩოხებზე დაკერებული ეპოლეტებითა და მერაბ კოსტავას ხმაურიანი რითმებით იცნობს, ალბათ გაუკვირდება, რომ მეოცე საუკუნის პირველი ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფო სულ სხვა იდეალების საფუძველზე იქმნებოდა. ამ იდეალების მდგომარეობას დღეს მართლაც რომ ზედმიწევნით ზუსტად ასახავს ზემოთ აღწერილი ღვთის, მერიისა და სპონსორებისაგან მივიწყებული პატარა შადრევანი არა მარტო გაცრეცილი საღებავითა და ჩამონგრეული ბათქაშით, არამედ ადგილმდებარეობითაც...

ახლა კი საქართველოში გავრცელებული ერთი ცნობის ტექსტი წავიკითხოთ:



"2006.08.23 — ივერიის ღვთისმშობლის ხატი ამჟამად რაჭის სოფლებში მოგზაურობს. ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი ონში **შვეულმფრენით** სამაჩაბლოდან ჩააბრძანეს. სამაჩაბლოში ხატმა ქართული სოფლები მოიარა. ივერიის ღვთისმშობლის ხატს დახვდა სამღვდელოება, **რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორი ოთარ სირაძე სხვა ოფიციალურ პირებთან და მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად** ... 12 ივლისს პეტრე-პავლობის დღესასწაულზე საზეიმო წირვის შემდეგ, ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძრიდან ივერიის ღვთისმშობლის ხატი ფეხით სვეტიცხოვლის ტაძარში წააბრძანეს. მსვლელობაში მონაწილეობა მიიღო სამღვდელოებამ და მრევლმა. **მსვლელობას ეროვნული დროშებით კოჯრის ბატალიონი შეუერთდა**".

ერთი მხრივ, თითქოს არაფერია. მაგრამ დავუკვირდეთ გამოყოფილ ადგილებს: ხატი ონში შვეულმფრენით ჩააბრძანეს. ესე იგი ეკლესიის კი არა, სახელმწიფოს ხარჯზე, სახელმწიფოს ხარჯი კი გადასახადის გადამხდელთა ჯიბიდან ივსება, ანუ იმათ ჯიბიდან, ვინც, შესაძლოა, სულაც არ ეკუთვნის მართლმადიდებელ ეკლესიას. ამასვე აღნიშნავს ისიც, რომ ხატს დახვდა გუბერნატორი სხვა ოფიციალურ პირებთან (იცანით მედიაჟარგონი?) და მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად. საინტერესოა, ეს მრევლი ვისია — გუბერნატორის? არა, მრევლი, რა თქმა უნდა ეკლესიისა. მაშინ რატომაა ასე გამოყოფილი გუბერნატორი და ის ყბადაღებული "ოფიციალური პირები"? რა განხორციელდა რაჭაში — მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთ ღონისძიება, თუ სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპი? თუ პირველია, მაშინ ამასთან ხელი არა გვაქვს — ღმერთს მადლობა შევწიროთ და ჩვენს საქმეს მივხედოთ. მაგრამ თუ ეს სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპია, ვითარება უაღრესად მძიმეა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამგვარ პოლიტიკას პირდაპირ მოეძებნება პირველადი ნიმუში: ცნობილია, რომ პუტინის ჩინოვნიკები ასე განმარტავენ მათ განსხვავებას ძველი პარტნომენკლატურისაგან: ადრე მარტო უნდა მჯდარიყავი ხოლმე ბიუროს სხდომებზე, ახლა კი ოჯახთან ერთად უნდა იდგე წირვებზე და პარაკლისებზე. განა იმავეს არ მიგვანიშნებს ხატის უკან მიმავალი კოჯრის ბატალიონი ეროვნული დროშების ფრიალით? სხვათა შორის, იმ რუსეთის იმპერიაში საეკლესიო გემოვნება იმდენად მაინც იყო განვითარებული, რომ საეკლესიო სიწმინდეები ასე ჰაიჰარად არ გამოესვენებინათ ყოველ ცისმარე დღეს. გავიხსენოთ **ლევ ტოლსტოის** "ომსა და მშვიდობაში" აღწერილი გამოსვლა ივერიის ღვთისმშობლის ხატისა ბოროდინოს ველზე — **ნაპოლეონთან** გადამწყვეტი ბრძოლა თუ იქნებოდა ასეთი მოვლენის ღირსეული საბაბი. ბოლოს და ბოლოს, **ალექსანდრე პირველიც** განათლებული მონარქი იყო და მმართველ სინოდშიც არ ისხდნენ ხისთავიანები — ღვთისმსახურებისაც გაეგებოდათ და პოლიტიკისაც. მაგრამ მთავარი სხვაა: ისტორიული ეპოქა და, შესაბამისად, სახელმწიფო წყობა იყო სხვანაირი — თუმც იშვიათად, თუმც მხოლოდ განსაკუთრებულ და ერისათვის უმნიშვნელოვანეს წუთებში გამოაბრძანებდნენ ხოლმე მზის სინათლეზე სასწაულმოქმედ ხატებს, ეს სრულიად ბუნებრივად ერწყმოდა სახელმწიფოს მიზნებსა და შინაარსს, როცა ძირითადი ლოზუნგი ასეთი იყო: **თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლობა, ეროვნულობა**.

გუბერნატორ ოთარ სირაძის გამოსვლისა და დახვედრის შინაარსი კი რაღაა? - ალბათ ისევ "ძველი რუსული სიმღერა", რომელსაც 25 აგვისტოს სულ სხვა საბაბით მოიხსენიებდა "24 საათი". სიმღერა კი არა, ანდაზა, სახელდობრ, ცნობილი Тришкин кафтан - "ტრიფონის ქურთუკი", რომელიც მოკლეა და ვიწრო, ამიტომ ხან ზემოდან მოაჭრიან და ქვემოთ მიაკერებენ, ხანაც ქვემოდან მოაჭრიან და ზემოთ მიაკერებენ, მაგრამ მაინც ვერ უფარავს ტანს. ასეა ჩვენი პოლიტიკაც რუსეთის მიმართ: ბაზებს ვაგდებთ, იდეოლოგია კი შემოგვაქვს.

ერთხელ, ათიოდე წლის წინათ, ღამით მე და **გიგი თევზაძე** მოვდიოდით ქუჩაში რომელიღაც სუფრიდან. მაშინ მითხრა, რუსეთის ღერბი, ორთავიანი არწივი, ადრე ურჩხული იყო, ახლა კი მუტანტიაო. დღემდე ბრაზი მომდის, რომ ასეთი რამ მე არ მომაფიქრდა. რას იზამ, ამაზე მეტად დასანანიც ბევრია ცხოვრებაში. მაგალითად, ის, რომ ამ მუტანტს რატომღაც ყველაზე ცუდ რამეში ვბაძავთ, კარგს კი არ ვამჩნევთ. მაგალითად, მოსკოვის საპატრიარქომ მიუსამძიმრა თვითმფრინავის კატასტროფაში დაღუპულთა ჭირისუფლებს. იქნებ ვინმემ გაიხსენოს საქართველოს საპატრიარქოს თუ დასცდა რამე თურქეთში გადატრიალებულ ავტობუსში დაზარალებული ჩვენი თანამემამულეების მიმართ? სამაგიეროდ, იმის შეხსენება არ დაავიწყდათ, არიქა, **ემზარ კვიციანსა** და მის ყაჩაღებს რაც შეიძლება ფაქიზად მოეპყარითო.

არა, რაც გინდა თქვი, მართლაც მუტანტური პოლიტიკაა: ერთმანეთზე მიამყნო მართლმადიდებელი სამღვდელოება, სახელმწიფო ბიუროკრატია და შეიარაღებული ძალები — Доктор Моро отдыхает! რა თქმა უნდა, გუბერნატორი ოთარ სირაძე ამაზე არ ფიქრობს, ალბათ არც ის უფიქრია, რომ ხატის ჩამობრძანებამ მისდამი რწმუნებული მიწა-წყალი მაინც ვერ დაიცვა ტყის ხანძრისაგან. სამაგიეროდ, მის მაგიერ ფიქრობენ და მსჯელობენ, რას ნიშნავს ლოცვებში მოხსენიებული "მთავრობა და მხედრობა". ამბობენ, წმინდა სინოდის ერთ-ერთ სხდომაზე დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ როცა "მთავრობისა და მხედრობისათვის" ვლოცულობთ, მხედველობაში არ უნდა გვყავდეს **ბოკერია**, **არველაძე**, **კირკიტაძე**, **გვარამია** და კიდევ რამდენიმე კაცი — ესენი, რა თქმა უნდა, ლოცვის ღირსნი არ არიან. აი, ოთარ სირაძემ კი მოიპოვა მრევლის (ან, როგორც ახლა ამბობენ, "მორწმუნე მრევლის") და სამღვდელოების თვალში სათნოება, თუმცაღა არ ადარდებს, რომ ამგვარად ქრისტიანული ლოცვები ერთგვარად ბუდისტების საყვლარუნოებს ემსგავსება. ბუდისტებს საკრალური ტექსტები საყღარუნოზე აქვთ დაწერილი — შეიძლება არც იცოდე, რა წერია, ვისაც საჭიროა, მაინც მიუდის: ერთი დატრიალება ერთი წარმოთქმაა. დგანან და ატრიალებენ, საყღარუნო კი თავისას ჩხრიალებს. ასე ყოფილა ჩვენშიც: ლოცვაზე მდგარნი კი ვისმენთ, მთავრობა და მხედრობაო, მაგრამ ეს ის კი არაა, რასაც ვფიქრობთ, არამედ ის, რასაც ქვის გალავნის მიღმა გადაწყვეტენ.

ორთავიანი მუტანტის მიბაძვა ამით არ ამოიწურება. აი, ჩვეული სურათი რუსეთის გულიდან: **"ვოლგის ნაგვისაგან აყროლებულ ნაპირზე, ქალაქ ვოლსკის გარეუბანში ისხდნენ მთვრალი ბავშვები, კანისტრიდან ერთმანეთს რაღაც სითხეს უსხამდნენ და დიდებივით იგინებოდნენ. შორიახლოს ხის დაბრეცილ ქოხმახებთან ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ დიდები და იმავე ბავშვურ საქმეს მისდევდნენ. ასე აღნიშნავდა ქალაქი მშენებლის დღეს. თუმცა ვოლსკში სიღატაკისა და არეულობის გამო უკვე აღარაფერს აშენებენ... გარდა გრანდიოზული მართლმადიდებლური ტაძრისა, რომლის სიმაღლე 47 მეტრია, ღირებულება კი ერთი მილიონი დოლარი!"** — (www.credo.ru). იცანით სურათი? არა, მშენებლის დღეს, მადლობა ღმერთს, ჩვენში აღარ აღნიშნავენ — მუტანტური სული ასე ძლიერი არაა, რომ საბჭოთა მესამეხარისხოვანი დღესასწაულებიც შეითვისოს. სამაგიეროდ, დანარჩენი — იცოცხლეთ!

აბა, გაუყევით მტკვარს ბორჯომის ხეობამდე, გაისეირნეთ ჩვენს ელიტარულ კურორტებში: დააკვირდით ნაგვით ჩახერგილ კალაპოტს და შეადარეთ იქვე აღმართული ახალთახალი ეკლესიების ბრწყინვალებას. ალბათ იქაური გუბერნატორიც ამაყად შესცქერის, როგორ მშვენდება მისი ღვთივდაცული ადმინისტრაციული ერთეული საკრალური კონსტრუქციებით, რომელთაც ქვის თხელი პერანგი მორცხვად უფარავს პროზაული რკინა-ბეტონის სხეულებს. არც დამსვენებელია უმადური: ახედავს გუმბათს, საზამთროს ქერქს რიყეზე მოისვრის, "სელპაკის" ერთჯერადი ხელსახოცით შეიმშენდს ბაგეებს და დანდობილად გადაიწერს პირჯვარს — სხვა რა უნდა მამულიშვილობას!

საქართველომ კი რა ჰქნას, რომელსაც ვერც "თავისუფლების ინსტიტუტმა" ასწავლა რამე და, როგორც ვხედავთ, ვერც "თანასწორობის ინსტიტუტი" შველის? — ალბათ ისევ "ძმობის ინსტიტუტის" დაარსებას უნდა ველოდოთ, რათა ასე მაინც შესრულდეს დამშრალ შადრევანზე შთამომავლობისათვის ანდერძად დატოვებული წარწერა. შადრევნის ხმა სამუდამოდ დადუმდა, პირი ქვიშით ამოევსო — იქვე კი ახალი ლოზუნგი იკრებს ძალას: **"პირჯვარს ვიწერთ, კარგად ვართ და ხალხიც პატივს გვცემს!"** — სწორედ ასე იმართლებდნენ თავს ისინი, ვინც ზესტაფონის ტაძრის ეზოში საგანგებოდ გაჩაღებულ კოცონზე წვავდა ჟურნალ "არჩევანის" ნომრებს. ბუნებრივია, ბატონებო! — ჟურნალ "არჩევანში" ხომ კონსტანტინოპოლისა და მსოფლიო პატრიარქის **ბართლომეს**, მეოცე საუკუნის გამოჩენილი მართლმადიდებელი ღვთისმეტყველების — **კიპრიანე კერნის**, **ალექსანდრე შმემანის**, **იოანე მეიენდორფისა** და სხვათა ნაწერებია გამოქვეყნებული. ვაი, რომ ვინმემ წაიკითხოს და მიხვდეს, რომ პირჯვრისწერა და ხალხის პატივისცემა საკმარისი არაა...



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ქუჩებისა და შიდაკვარტალური გზების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 8 პოზიციად (ლოტად):**

**1.პოზიცია (ლოტი)** - კიკვიძის ქუჩა, როსტოვის ქუჩა ყირიმის ქუჩამდე, ლარეხის, საქარის, ფარავნის, მამარდაშვილის ართვინის ქუჩები, ნორიოს აღმართი, ჩეჩელაშვილის ქუჩა, ხევი და შესახვევები, მიჩურინის ქუჩა და შესახვევები, მნათობის ჩიხი და მისი მიმდებარე ქუჩები;

**2. პოზიცია (ლოტი)** - ჯაბაურის, მნათობის, დავითაშვილის, თამარაშენის, პ. ბაგრატიონის, სიღნაღის, ბერიაშვილის, პაატა საააკაძის, გუმათის, ახუთის, ახალარსენალის, ზეგანის, გედევანიშვილის, ნინო და კალისტრატე სალიების ქუჩები, დიღომბარის ქუჩა და შესახვევ. ლამის ქუჩა და შესახვ. ბოდავის I და II ქუჩები, ასპინძის ქუჩა და შესახვევები და მისი მიმდებარე ქუჩები;

**3. პოზიცია (ლოტი)** - ჩიტაიას, ჩიქობავას, ჩანჩიბაძის, სულუხიას, გ. ერისთავის, ახალციხის, ბენაშვილის, ტ. გრანელის, ვერხანის, გოცირიძის, ბოჭორიძის ქუჩები, მარჯანისვილის ქუჩა ჩიტაიას ქუჩიდან ბოლომდე, მამარდასვილის ქუჩა რკინიგზის ხიდამდე, კალანდარიშვილის ქუჩა და შესახვევი, ჩერქეზიშვილის ქუცა და შესახვევი, არაგვისპირელის ქუცა და შესახვევი, გორკის ქუჩა ბუხაიძის ქუჩამდე და მისი მიმდებარე ქუჩები;

**4. პოზიცია (ლოტი)** - ჩუბინიშვილის, ნინოშვილის, ჯავახიშვილის, წინამძღვრიშვილის, ტოვსტონოგოვის, კლდიაშვილის, ფიროსმანის, გოგოლის, გ. დოლიძის, ფოცხვერაშვილის, კონსტიტუციის, კ. აბაშიძის, კიევის, მაზნიაშვილის, ნადირაძის, ტურგენევის, ვარციხის, კანკავას, ტყვიავის ქუჩები, ზაქარია ქურდიანის ქუჩა დ. აღმაშენებლის გამზირიდან, მარჯანიშვილის ქუჩა ჩიტაიას გადაკვეთამდე, სუნდუკიანის ქუჩა და შესახვევი და მისი მიმდებარე ქუჩები;

**5. პოზიცია (ლოტი)** - საარბრიუკენის ხიდი და მოედანი, სანაპიროდან საარბრიუკენის მოედანზე ასასვლელი, ზ. ქურდიანის ქუჩა დ. აღმაშენებლის გამზირამდე, ვარციხის ქუჩა დ.აღმაშენებლის გამზირამდე, დ.აღმაშენებლის გამზირი, გორკის ქუჩის დასაწყისი, ბუხაიძის ქუჩა და შესახვევი, დოქის ქუჩა და შესახვევი, კუმისის ქუჩა და შესახვევი, ახვლედიანის აღმართი ნაწილობრივ, დ. უზნაძის, ხეთაგუროვის, ს. წერეთლის, ჭოროხის, დოდო აბაშიძის, სანქტ-პეტერბურგის, დიდხევის, ტოლსტოის, ვეძათხევის, ადიგენის, ჩაისუბნის, მ. თოიძის, ნ. ჩხეიძის, ციმაკურიძის, წმ. ნიკოლოზის, სულიაშვილის, გამცემლიძის, პეტრე იბერის ქუჩები და მისი მიმდებარე ქუჩები;

**6. პოზიცია (ლოტი)** - ზაზიაშვილის ქუჩა შესახვევებით, ცხრა ძმის ქუჩა სასაფლაომდე შესახვევებით, ქინქლაძის ქუჩა, ყირიმის ქუჩა შესახვევებით, როსტოვის ქუჩა ქინქლაძის ქუჩიდან ყირიმის ქუჩამდე, თეთნულდის ქუჩა, გროზნოს ქუჩა შესახვევებით, დადიანის შესახვევი, ლალიონის ქუჩა და შესახვევი, ქურდიანის ქუჩა შესახვევებით, მეუნარგიას ქუჩა, ვეშაპურის ქუჩა და შესახვევი, გურგენიძის ქუჩა და მისი მიმდებარე ქუჩები;

**7. პოზიცია (ლოტი)** - ტყეკულტურის ქუჩა და შესახვევები, მანგლისი ქუჩა, არგვეთის ქუჩა, სამშვილდის ქუჩა, წყაროს ქუჩა, მარუაშვილის ქუჩა, ზაზიშვილის III შესახ. ნაწილობრივ, აჭარის ქუჩა, აფხაზეთის ქუჩა და შესახ. აგარის ქუჩა, სარკინეთის ქუჩა, სამურზაყანოს ქუჩა და შესახვევები, ცხრა ძმის ქუჩა სასაფლაოდან ბოლომდე, ხონის ქუჩა, თეკლათის ქუჩა, ცაიშის ქუჩა, სალხინოს ქუჩა და შესახვ.. ლებარდეს ქუჩა, სენაკის ქუჩა, ტაშირის ქუჩა, ლანჩხუთის ქუჩა, აბაშიძის ქუჩა, ჭალადიდის ქუჩა, გივიშვილის ქუჩა, ასხინის ქუჩა, ქვალონის ქუჩა და მისი მიმდებარე ქუჩები;

**8. პოზიცია (ლოტი)** - გლდანის მასივი III-IIIა მ/რ და შემოვლითი გზა, კოსტავას I შესახვევი, ვარკეთილის III მ/რ 16-სართულიანებთან სკვერი და სტადიონი, ვარკეთილის II მ/რ მე-2 კორპუსთან სკვერი და სტადიონი, ვარკეთილის ზემო პლატო, პატიაშვილის სკვერი, მარცხენა სანაპირო თამარ მეფის ხიდიდან ცაბაძის ქუჩამდე, მაიაკოვსკის ქუჩა ცაბაძის ქუჩიდან ბათუმის ქუჩამდე, მიროტაძის ქუჩა სპორტის სასახლის მიმდებარედ, საქნავთის დასახლებაში სტადიონი და კალათბურთის მოედანი, აეროპორტის დასახლებაში სკვერი, საცხენის ქუჩაზე სკვერი;

**შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:**

სანათების (შემსყიდველის მიერ მიწოდებული სანათებით) და კაბელების შეცვლა, გარე განათების კარადების შეცვლა, დაზიანებული ბოძების აღდგენა და ახალი ბოძების დაყენება.

2. სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 თვე.

3. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 20 სექტემბრის 12 საათიდან 20 სექტემბრის 17.30 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4.პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

■ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

■ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

■ ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

■ ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

■ ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

■ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

■ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

■ ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

■ ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

■ ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 30 აგვისტოს 12 საათიდან 2006 წლის 19 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

9.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, 92-07-86 მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

ცხოვრებისეული ისტორიები

## ქართული ისტორია

ძალიან საინტერესო ისტორიაა, თუ როგორ შევხვდი "ომის პირველ დღეს".

მაშინ უკვე სტუდენტი ვიყავი. მე მივედი ჩემი ძმის თანაკურსელ გოგონასთან, რათა "პლაჟზე" ერთად წავსულიყავით. ზღვაზე მისასვლელად "თეთრ ხიდზე" უნდა გაგვევლო.

ხიდზე გადასვლისას მომეჩვენა, რომ მანქანები საერთოდ არ ჩანდნენ. მართლაც, არანაირი მოძრაობა არ იყო.

მაგრამ როდესაც ხიდის შუაგულს მივუახლოვდით, უცებ ჩვენ წინ მოულოდნელად "აღმოჩნდა" ტანკი. მის წინ კი მოჰქროდა ორი მანქანა, საიდანაც თავები ჰქონდათ გამოყოფილი ადამიანებს და რაღაცას ყვიროდნენ...

ჩემთვის გავიფიქრე: ნამდვილად ვიღაცა გოგო მოიტაცეს-მეთქი და ქორწილი აქვთ.

აბა, სხვა რა უნდა მეფიქრა?!

მაგრამ, როდესაც ამ ორი მანქანის უკან ისევ ტანკი დავინახე - ქორწილის ასოციაცია მაშინვე გამიქრა...

ჩვენ ხიდის შუაგულში ვიდექით და ირგვლივ სროლის ხმა გვესმოდა. მაშინ, ჩემდაუნებურად თვითგადარჩენის რეფლექსი "ჩამერთო": გოგონას ხელი ვტაცე და ორივე ხიდის ქვეშ ჩავხტით...

ყველა ნამდვილმა სოხუმელმა იცის ის მდინარე და ხიდის ქვეშ ადგილები და ყველა მიმიხვდება, თუ როგორ სასაცილო მდგომარეობაში ვიყავი: ახალ, ძალიან კარგ შარვალში გამოპრანჭული, ფეხზე - ბერძნული ესპადრელებში (რომლებიც წყალში უცებ სველდება), ირგვლივ ქვები და წყალი, მე კი ვზივარ გოგონასთან ერთად ხიდის ქვეშ მდინარეში და თავი კინოგმირი მგონია, გოგონას გადამრჩენელი...ზევით კი საშინელი რაღაცეები ხდება - ისვრიან, ყვირიან...

ასე საკმაოდ დიდ ხანს ვისხედით მდინარეში, სანამ მაღლა არ ჩაწყნარდა.

შემდეგ ძლივს გამოვფორთხდით ჩვენი სამალავიდან და ზევითკენ გავიქეცით, ჭანბას ქუჩისკენ, სადაც გოგონა ცხოვრობდა. მე ის სახლში დავტოვე.

ახლა მე თვითონ უნდა მიმეღწია სახლამდე.

ჭანბას ქუჩაზე, აბანოსთან, ძლივს გადავფორთხდი ღობეზე და გავიქეცი პატარა მდინარისკენ. სარკინიგზო ხიდზე სნაიპერი იჯდა. იგი ალბათ კარგ ხასიათზე იყო და ერთობოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემი მოკვლა მართლა რომ ნდომოდა, არ გაუჭირდებოდა.

ის მე უბრალოდ "მეხუმრებოდა": მე გავრბოდი, სნაიპერი კი ფეხებში მესროდა.. ასე სროლა-სროლაში მივირბინე იმ ადგილამდე, საიდანაც უკვე ჩემს ქუჩაზე შემეძლო გადასვლა, მაგრამ მდინარის ნაპირები ისეთი სიპი იყო, რომ ჩემი ესპადრელებით იქ ასვლა ძალიან გამიჭირდა - ფეხი მიცურავდა და უკან ვეშვებოდი. ბოლოს, რადენიმე ცდის მერე როგორც იქნა მოვახერხე გადაძრომა...

მივირბინე სახლში. აი, იქ კი ნამდვილად გავიაზრე, რა გადამხდა ამ ორი-სამი საათის მანძილზე.

მხოლოდ მაშინ აღვიქვი, რომ ომი დაიწყო!

## აფხაზური ისტორია

ჩვეულებისამებრ, სკოლიდან ძალიან დაღლილი დავბრუნდი, დასვენება მინდოდა და ამ დროს ჩემი ერთ-ერთი ქალიშვილი გამორბის (ოთხი ქალიშვილი მყავს) და მეუბნება: "დედა, ჩვენ ბებია გვყავს?!"

"ვინ ბებია?!" - გამიკვირდა მე და შევედი ოთახში. იქ კი რას ვხედავ?! - სკამზე იჯდა ძალიან საცოდავი, მოხუცი, გამხდარი, ჩემთვის სრულიად უცხო ქალი, რომელსაც დახეული ტანსაცმელი ეცვა და საბრალო სახით მიყურებდა.

მე გაკვირვებულმა ვკითხე შვილებს: "ეს ვინაა?!"

ჩემმა გოგონებმა კი მიპასუხეს: "იგი ვიღაც უცნობმა კაცებმა მოიყვანეს და დატოვეს. წასვლისას გვითხრეს, რომ "ის" ჩვენი ნათესავია"...

შემდგომ გავარკვიე, რომ ეს ბებია, რომელიც თითქმის ასი წლისაა, ჩემი დედამთილის შორეული ნათესავი ყოფილა. საკუთარი შვილები არ ჰყოლია. იგი წლების მანძილზე ემსახურებოდა ჩემი ქმრის ნათესავებს, მაგრამ ახლა უკვე დაუძლურებული და უმწეო მათთვის ზედმეტი გახდა და ჩვენთან ამიტომ მოიყვანეს - ჩამოსვეს ჩვენს ჭიშკართან, დაგვიტოვეს და თვითონ წავიდნენ.

ჩამოვჯექი და სასოწარკვეთილმა ტირილი დავიწყე. რა უნდა მექნა? საკუთარი პრობლემები არ მეყოფოდა?! ოთხი შვილი მყავს: სამი აქ არის, უფროსი - ნალჩიკში სწავლობს, სახლშიც პრობლემებს რა გამოლევს და ახლა ეს მოხუცი-ღა მაკლდა?!

მაგრამ შვილებმა მითხრეს: "დედიკო, ცოდოა, შეხედე როგორი ბებერია და უძლური"

მათ მაშინვე გააცხელეს წყალი და ბებია აბანავეს. ის საცოდავი კი ბანაობისას სულ ერთ რამეს გაიძახოდა: "რატომ აქამდე არ მოვკვდი?! ეტყობა, ღმერთმა დამივიწყა!"

ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა და ძალიან შემეცოდა...

დაბანვის შედეგ ყველაფერი სუფთა ჩავაცვით, დავუვარცხნეთ თმები და ჩავსვით სავარძელში. გოგონებმა მაშინვე მისთვის "რბილი" საჭმელიც მოიფიქრეს: ფაფა და სუფი. საცოდავმა უცებ შეჭამა ყველაფერი, შემდეგ ცოტა გონზე მოვიდა და ტირილიც შეწყვიტა.

ასე გადიოდა დღეები.. ერთხელ მომეჩვენა, რომ ჩვენი "ბებინაცვალი" თავს ძალიან ცუდად გრძნობდა. შემეშინდა, ღამე რამე არ მოსვლოდა და ამიტომ მისი საწოლი ჩვენს საძინებელში შევიტანე.

გავიდა ორი ღამე, რაც მას ჩვენთან ერთად ეძინა ერთ ოთახში და ეტყობა, ამით იგი ძალიან წუხდა. მესამე ღამეს გვითხრა მე და ჩემს ქმარს: "თქვენ ახალგაზრდები ხართ, მე ყურადღებას ნუ მომაქცევთ, მე არაფერი არ მესმის, მაშინვე ვიძინებ"...

ამის გაგონებაზე მე და ჩემს ქმარს ხარხარი აგვიტყდა. თურმე იგი განიცდიდა, ჩვენს საძინებელში რომ ეძინა.

ამ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ, გამოკეთებული, ჩვენ იგი პატარა ოთახში გადავიყვანეთ.

ერთხელაც, ტელევიზორს ვუყურებთ და მან უცებ წამოიწყო ძველებური აფხაზური სიმღერა. თურმე ჩვენს "ბებინაცვალს" ძალიან კარგი ხმა ჰქონია! არც თვალისჩინს უჩიოდა, არც მეხსიერებას. მოკლედ, ყველაფერი ადგილზე ჰქონდა. უბრალოდ, იგი ძალიან მოხუცი იყო და ფეხები ვეღარ ემორჩილებოდა ძველებურად.

ჩემი გოგონები მას ძალიან დაუახლოვდნენ და შეიყვარეს. ყოველ საღამოს შედიან მასთან და იგი მათ საინტერესო ისტორიებს უყვება.

ერთხელ დედაჩემთან წავედი და იქ დარჩენა მომიწია. და იქ მივხვდი, რომ გამუდმებით ჩვენს "ბებინაცვალზე" ვფიქრობდი - როგორ არის იგი უჩემოდ? რამდენჯერმე სახლშიც კი დავრეკე, რომ გამეგო მისი მდგომარეობა.

მაშინ მივხვდი, რომ იგი "ბებინაცვალი" კი არ იყო ჩვენთვის, არამედ ჩვენი ოჯახის ნამდვილი "ბებია" გახდა. ასე მგონია, იგი მუდამ ჩვენთან ცხოვრობდა და ჩვენს გვერდით იყო.

*რუბრიკას უძღვება ლელა მარგიანი.*
*პროექტი "ცხოვრებისეული ისტორიები" მიმდინარეობს ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მხარდაჭერით.*

გადარჩენილი ფოტოები



*სოხუმი, 1989 წელი. სოხუმელი ექიმები ერთ-ერთ წვეულებაზე: ნარგიზა ხარჩილავა (მარცხნიდან), გიგა კვარაცხელია, ლიალია ჭენია.*
*ფოტო მოგვაწოდა ნატო ფარულავამ*

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# სერგეი ბაგაფში: "საქართველო ომისთვის ემზადება!"

*საქართველოს პრეზიდენტისა და თავდაცვის მინისტრის მიერ ოფიციალურად არაერთი სამშვიდობო განცხადების გაკეთების მიუხედავად, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება აფხაზ ხალხს ძველებურად არწმუნებს, რომ საქართველო სრულმასშტაბიანი ომისთვის ემზადება. წელსაც, ომის დაწყების თარიღთან დაკავშირებით სერგეი ბაგაფშმა მსგავსი შინაარსის სიტყვით მიმართა აფხაზ ხალხს. ვფიქრობთ, ქართული საზოგადოებისთვის მისი გამოსვლა ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.*



**სერგეი ბაგაფში:** "14 წლის წინათ აფხაზი ხალხის წინააღმდეგ საომარი აგრესია დაიწყო. ყველა ჯურის დამნაშავენი, რომლებიც ციხეებიდან სპეციალურად გამოუშვეს, და ოფიციალური ძალისმიერი სტრუქტურები გაერთიანდნენ სახელმწიფო ჯარებში და ცეცხლით შემოვიდნენ ჩვენს მიწაზე. ქართული საოკუპაციო ჯარების მიერ ჩადენილი დანაშაულები, თავისი სისასტიკითა და ცინიზმით, კაცობრიობის წინაშე ჩადენილ უმძიმეს დანაშაულებს უსწორდება. სოფლებსა და ქალაქებს ბოლომდე ბომბავდნენ და წვავდნენ. აფხაზები, რუსები, სომხები, ბერძნები, უკრაინელები - მთელი არაქართული მოსახლეობა გახდა სახელმწიფო საბჭოს ჯარების სასტიკი ტერორის, წამებისა და ძალადობის მსხვერპლი. რეპრესიები მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმდინარეობდა მხოლოდ ეთნიკური ნიშნით.

მტერი ცდილობდა, ამოეძირკვა ჩვენი ისტორიული მეხსიერება და ანადგურებდა სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს, კულტურულ ცენტრებს, ისტორიულ არქივს. ქართული არმიის საქციელით მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება - მოეწყო აფხაზი ხალხის გენოციდი. პასუხად ჩვენ აგრესორის მიმართ ერთ მუშტად გავერთიანდით. ჩვენს გვერდით დადგნენ ჩვენი სისხლისმიერი ძმები ჩრდილო კავკასიიდან, საზღვარგარეთული დიასპორიდან, მოხალისეები რუსეთის ფედერაციიდან, სამხრეთ ოსეთიდან, დნესტრისპირეთიდან და მთიანი ყარაბაღიდან. გამანადგურებელი დარტყმა - და ჩვენ გავიმარჯვეთ. მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში თავი დადო ათასობით ჩვენმა თანამემამულემ და მოხალისემ. საქართველოს საოკუპაციო ჯარების მხეცური საქციელის მსხვერპლი გახდა ასობით ბავშვი, ქალი და მოხუცი. ჩვენი დედები დღემდე ელოდებიან თავიანთ უგზო-უკვლოდ დაკარგულ შვილებს. დიდება და სამარადისო ხსოვნა მამულის დამცველებს!

სამწუხაროდ, საქართველო ომის შემდეგაც არ ივიწყებს თავის იმპერიულ ამბიციებს. ის რეგულარულად ცდილობს, მოაწყოს ახალი აგრესია აფხაზი ხალხის წინააღმდეგ.

სწორედ ამ მიზნით იყო პროვოცირებული სამხედრო მოქმედება გალის რაიონში 1998 წელს და კოდორის ხეობაში 2001 წლის ოქტომბერში, როცა საერთაშორისო საზოგადოებამ ყური არ ათხოვა აფხაზეთის მოთხოვნას, ბოლო მოეღოს ქართული ტერორისტული ჯგუფების მოქმედებას. უფრო მეტიც, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ტერორისტებს აფინანსებდა იმ ევროპული ქვეყნების საერთაშორისო დახმარების საშუალებით, რომლებიც ანტიტერორისტულ კოალიციას წარმოადგენენ. ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ სისტემატურად გამოიყენება ტერორისტული ჯგუფები, დივერსანტები და მკვლელები.

აფხაზეთს ყველა რესურსი გააჩნია როგორც სამშვიდობო, ისე ადეკვატური, იმისათვის, რომ მოაგვაროს კოდორის ხეობის ზედა ზონის პრობლემა, მაგრამ აფხაზეთის მიერ მოლაპარაკებების პროცესის ჩარჩოებში აღებული ვალდებულება და პოლიტიკური დიალოგისაკენ სწრაფვა გვაიძულებს, თავი შევიკავოთ მწვავე ნაბიჯების გადადგმისაგან, რასაც პროვოცირებას უკეთებს საქართველო.

თბილისის დღევანდელი პოლიტიკა არაფრით განსხვავდება მისი პოლიტიკისაგან 90-იან წლებში - იგივე მეთოდები, იგივე საშუალებები. უფრო მეტიც: მიიღო რა ზოგიერთი დასავლური ქვეყნისგან კოლოსალური სამხედრო დახმარება და დიპლომატიური მხარდაჭერა, საქართველო ამზადებს ახლა სრულმასშტაბიან აგრესიას. ამის ცხადი დასტურია კოდორის ბოლოდროინდელი მოვლენები. ოფიციალური თბილისის განცხადება კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ მხოლოდ დიპლომატიური ხრიკებია. დღემდე საქართველო ხელს არ აწერს სამშვიდობო ხელშეკრულებას, არ თანხმდება კოდორის ხეობის საერთაშორისო ინსპექტირებას. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს ხდება ერთი მიზნით - ამ რეგიონში არსებული რეალური ვითარება და აფხაზეთის წინააღმდეგ საომარი განწყობა დაუმალონ არამარტო საქართველოს მოსახლეობას, არამედ მთელ საერთაშორისო საზოგადოებას.

ჩვენ მუდამ მოგვიწოდებენ მშვიდობისმყოფელთა ოპერაციის ფორმატის შეცვლისაკენ, სამოქალაქო პოლიციის კომპონენტის შემოყვანისა და გალის რაიონში გაეროს ოფისის გახსნისაკენ ადამიანის უფლებების დაცვისათვის. იმ პირობებში, როცა ეს რაიონი ყველა მსურველისათვის აბსოლუტურად ხელმისაწვდომია. თუმცა არავის იცის, რამდენად ირღვევა ადამიანის უფლებები საქართველოს ჯარების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე კოდორის ხეობაში და უსაფრთხოების ზონის ზუგდიდის სექტორში. იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლება იქ საერთაშორისო დამკვირვებლებს არ უშვებს. ჩვენ კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას: აფხაზეთი არ ეთანხმება არსებული სამშვიდობო ფორმატის შეცვლას, რომელიც მიმართულია პროცესიდან რუსეთის ფედერაციის გამოთიშვისაკენ. ჩვენ ვერ ვენდობით მას, ვინც აიარაღებს, წვრთნის და ღიად უჭერს მხარს საქართველოს - კონფლიქტის მხარეს. და ეს უნდობლობა იზრდება კოდორის ხეობის მოვლენების შეუფასებლობასთან ერთად.

აფხაზური მხარე მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რუსეთის ფედერაციას და გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფს: მოთხოვონ ქართულ მხარეს, მოსკოვის შეთანხმების საფუძველზე, დაუყოვნებლივ გაიყვანონ კოდორის ხეობიდან შეიარაღებული ფორმირებები; დსთ-ს კოლექტიურ ძალებს და გაეროს სამხედრო დამკვირვებლებს მიეცეთ თავისუფალი გადაადგილების საშუალება საპატრულო რაიონებში, როგორც ეს ქართულ-აფხაზურ შეთანხმებაშია ჩადებული, იმისათვის, რომ ჩატარდეს ობიექტური მონიტორინგი კოდორის ხეობაში; მოუწოდონ ქართულ მხარეს, ხელი მოაწეროს ორივე მხარესთან შეთანხმებულ დოკუმენტს საომარი მოქმედებების განუახლებლობისა და უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების თაობაზე; აღიარონ, რომ საქართველოს მხრიდან ამ დოკუმენტის ხელმოწერაზე უარის თქმა იქნება აფხაზეთის წინააღმდეგ აგრესიული ზრახვების გამოაშკარავება.

მყარი საერთაშორისო გარანტიების არარსებობის შემთხვევაში მშვიდობაზე საუბარი საკმაოდ ძნელია. აფხაზეთის რესპუბლიკის ხალხი ერთ რამეშია დარწმუნებული - საკუთარ მიწას ის ნებისმიერი მტრისაგან დაიცავს. ქვეყნის მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დაიცვას აფხაზეთის დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. თუ მორიგი შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღების საფრთხის შექმნა, საერთაშორისო შუამავლების მონაწილეობით შემდგარი შეთანხმებების დარღვევა საქართველოს საშინაო საქმეა, მაშინ აფხაზეთის კანონიერი იურისდიქციის აღდგენა მთელ მის ტერიტორიაზე აფხაზეთის რესპუბლიკის საშინაო საქმეა".

# ბორჯომელი დევნილების ჯანმრთელობისათვის

*ბორჯომში დევნილების სამედიცინო მომსახურების ფართო აქციის შესახებ გვესაუბრება აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე თენგიზ კვირტია*

- ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ბორჯომში განსახლებულია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 2000-მდე პირი, მათ შორის 18 წლამდე ასაკის 421 ბავშვი და მოზარდი.

პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვები საკმაოდ ეფექტური პრევენციული ღონისძიებაა, რომელიც მნიშვნელოვან წარმოდგენას გვაძლევს მოსახლეობის ამა თუ იმ ნაწილის ავადობაზე, შესაძლებელი ხდება გავუწიოთ საკონსულტაციო დახმარება, განვსაზღვროთ გამოვლენილ ავადმყოფთა შემდგომი გამოკვლევებისა და მკურნალობის ტაქტიკა. იმის გამო, რომ ბორჯომში აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არ გააჩნია თავისი სამედიცინო დაწესებულება, ნაკლები ინფორმაცია გვქონდა დევნილთა ამ ნაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მართალია, ადრე საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ და ჩვენ რამდენჯერმე ჩავატარეთ პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვები, მაგრამ მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა. ამდენად, მოცემულ ეტაპზე ამ აქციის ჩატარება აუცილებლობას წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ ჩვენ ასეთი ღონისძიებების დიდი გამოცდილება გვაქვს.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის მთავრობამ, პირადად ბატონმა მალხაზ აკიშბაიამ ყოველმხრივი მხარდაჭერა და თანადგომა აღგვითქვეს, რაც შეასრულეს კიდეც. აქციას კოორდინაციას უწევდა აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დალილა ხორავა.

მინისტრის ბრძანებით შექმნილმა საორგანიზაციო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება იძულებით გადაადგილებულთა მსხვილი კომპაქტური ჩასახლების 4 ობიექტში (სანატორიუმები "მთის ხეობა", "ლიკანი 2", "ბორჯომი", "პლატო") მრავალპროფილიანი საექიმო ბრიგადების ბაზირების თაობაზე. ოთხივე საექიმო ბრიგადა დაკომპლექტებულ იქნა კვალიფიციური, ანალოგიურ ღონისძიებაში მონაწილეობის დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტებით. ბრიგადები აღიჭურვა ულტრაბგერითი სკანერებით, ელექტროკარდიოგრაფებით, ლაბორატორიით, მედიკამენტებით.

ადგილზე ღონისძიების ჩატარებისთვის სათანადო ბაზის შექმნისა და ორგანიზაციული საკითხების დარეგულირებისათვის ბორჯომში წინასწარ იქნენ მივლინებულნი საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელები - ნ. უბილავა, ლ. დუნდუა, რომელთაც ამ აქციის მომზადებისათვის მართლაც რომ დიდი და ეფექტური მუშაობა გასწიეს. საერთოდ, ამ მნიშვნელოვანი აქციის მომზადებისა და რეალიზაციისთვის სამინისტროს ყველა რგოლმა შესაშური პროფესიონალიზმი და მონდომება გამოიჩინა.

ღონისძიების მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ცენტრალიზებული შესყიდვის წესით შეძენილ იქნა 5020 ლარის ღირებულების 48 დასახელების მედიკამენტი, აგრეთვე, 200 ლარის ლაბორატორიული დანიშნულების რეაქტივები, 100 ლარის ელექტროკარდიოგრაფიული ფირები.

ტრადიციულად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ აქტიურად დაუჭირა მხარი ჩვენს ღონისძიებას და დიდი დახმარებაც გაგვიწია. მისივე თხოვნის საფუძველზე შ.პ.ს. "პსპ-რიხტერმა" უსასყიდლოდ გადმოგვცა 3951 ლარის ღირებულების 50 დასახელების მედიკამენტი, რაც მართლაც დიდი დახმარება იყო ჩვენთვის. ღონისძიებისთვის მედიკამენტების გარკვეული რაოდენობა გამოჰყო, აგრეთვე, UMCOR-მა და ACTS-Georgia-მ, ასევე ფარმაცევტული ფირმა LEC-ის წარმომადგენლობამ საქართველოში. საბოლოო ჯამში, აქცია უზრუნველყოფილი იყო საკმარისი რაოდენობის 90-მდე დასახელების მედიკამენტით.

უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო მედიკამენტური ბაზის ქონის პირობებში პრევენციული სამედიცინო გასინჯვები არამარტო უფრო ეფექტური, არამედ გაცილებით აქტიურიც ხდება, რაც თვალნათლივ დასტურდება ჩვენი მრავალწლიანი დაკვირვებებითა და ანალიზით.

გულწრფელი მადლობა მინდა გამოვხატო იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობის" და მისი ხელმძღვანელის, ქალბატონ იულია ხარაშვილის მიმართ. ამ ორგანიზაციასთან ჩვენ მრავალწლიანი მჭიდრო ურთიერთობები გვაკავშირებს. "თანხმობა" თავისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით აქტიურად მონაწილეობს ჩვენს თითქმის ყველა მასშტაბურ ღონისძიებაში. გამონაკლისი არც ბორჯომის აქცია ყოფილა. ღონისძიების რეალიზაციაში მონაწილეობდა გალის რაიონის გამგეობის ჯანდაცვის სამსახური (ქ. კვარაცხელია), დევნილთა ზუგდიდის პოლიკლინიკა ( ზ. გამახარია), დევნილთა ქუთაისის პოლიკლინიკა (ნ. ქასრაშვილი), აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონული სამსახურები (ო. სიჭინავა, თ. ჯანაშია).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტმა აქცია უზრუნველყო სარეკლამო ბუკლეტებითა და პოსტერებით შიდსის პრევენციისა და ცხოვრების ჯანმრთელი წესის შესახებ. აქციას დიდი თანადგომა გაუწია "საქართველოს მედიკოსთა დაცვის ასოციაციის" პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ლევან მამალაძემ, რომელიც პირადად მონაწილეობდა ღონისძიებაში ოთხ პროფესორთან ერთად. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა კი შესანიშნავი ექიმ-ექოსკოპისტი ზაზა ზარნაძე მიავლინა აქციაზე.

ბორჯომში განსახლებულ დევნილ ბავშვებს შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა "კვირის პალიტრის" საგამომცემლო სახლმა (ბატონი ირაკლი თევდორაშვილი) ქართული ზღაპრების კრებულის სახით.

აქციას ესწრებოდა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე, ბატონი მალხაზ აკიშბაია მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად. მან დადებითად გადაწყვიტა მთელი რიგი პრობლემური საკითხები, მათ შორის, სანატორიუმ "მთის ხეობის" დაზიანებული წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსების საკითხი. ეს კი პრობლემას მოუხსნის ამ მაღლივ კორპუსში მცხოვრებ 400-მდე დევნილ ოჯახს და თავიდან აგვაცილებს ნაწლავური ინფექციების წარმოქმნა-გავრცელების საშიშროებას.

როგორც აქციის მომზადების, ისე მისი რეალიზაციის პროცესში აქტიურად იყო ჩართული აფხაზეთის მთავრობის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარე, ბატონი ბესიკ წერედიანი. სათანადო მხარდაჭერა გაგვიწიეს გალის, გაგრის და ოჩამჩირის გამგეობებმა, დევნილთა ადგილობრივი სამსახურის წარმომადგენლობამ.

აქცია ჩატარდა 6-7 ივლისს. მისი ძირითადი შედეგების პირველადი ანალიზის მონაცემები ასეთია:

მრავალპროფილიანი საექიმო ბრიგადების (60-მდე სპეციალისტი) მიერ მომსახურებულ იქნა 2278 ვიზიტი, მათ შორის 14 წლამდე ასაკის ბავშვების 337 ვიზიტი. ექოსკოპიურად გამოკვლეულ იქნა 268 პაციენტი, ელექტროკარდიოგრაფია ჩაუტარდა 273, ხოლო ლაბორატორიული დიაგნოსტიკა - 309 პაციენტს.

ბორჯომში გასინჯულ დევნილებში პრევალირებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები (35,7%), განსაკუთრებით - გულის იშემიური დაავადება, არტერიული ჰიპერტენზიები, კარდიოდისტროფია, შარდ-სასქესო სისტემის პათოლოგიები (25,6%), საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები (12,4%). საკმაოდ მაღალია ენდოკრინული და სისხლმბადი სისტემის დაავადებები, განსაკუთრებით კი - ანემიები ბავშვებში.

ბორჯომში განსახლებულმა დევნილმა მოსახლეობამ დიდი კმაყოფილებით აღიქვა ეს მასშტაბური ღონისძიება და იმედი გამოთქვა, რომ ანალოგიური აქცია მომავალშიც ჩატარდება.

აქ ერთ საინტერესო მომენტს მინდა მივაქციო ყურადღება - ღონისძიებამდე რამდენიმე დღით ადრე აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ქალბატონი დალილა ხორავა შეხვდა უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, ბატონ მიკოლა სპისს. ბატონ ელჩს ეთხოვა ბორჯომში მცხოვრები ორი, პრაქტიკულად უსინათლო ბავშვის - დები მუშკუდიანების ოდესაში, ფილატოვის სახელობის თვალის სნეულებათა კლინიკაში ოპერაციული მკურნალობის საკითხში დახმარება. სწორედ ღონისძიების დღეს ბატონი სპისი დაუკავშირდა მინისტრს და აცნობა, რომ საკითხი დადებითად გადაწყდა. ადვილი წარმოსადგენია ბავშვების მშობლების, თითოეული ჩვენგანის კმაყოფილება ამის გამო.

*მასალა მომზადებულია აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პრესცენტრის მიერ*

# ყველაფერი არის ძლიერ კარგად

დესი დაშკოვა

**ვინ დადის მუზეუმში?! ტურისტი თუ შევა ხოლმე, თორემ ლუვრსა და პრადოშიც კი ათასში ერთხელ თუ ნახავ როდენის მარადიულ გაზაფხულთან გაჩერებულ პარიზელს, ან გოიას შიშველ მახასთან გაჩერებულ მადრიდელ მაჩოს. "ქვეყანაში, სადაც აბრეშუმი არ არის, ყველაზე დიდი აბრეშუმის მუზეუმია" - ამას "ტურისტი" დინარა ჩოჩუნბაევა იტყვის, ყირგიზი ექსპერტი, რომელიც შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სამხრეთ კავკასიის სააგენტოს სახსრებით იყო მოწვეული. დინარა ჩოჩუნბაევასა და აბრეშუმის მუზეუმზე, მოგვიანებით, ახლა კი ქართული ტექსტილის ჯგუფზე მოგითხრობთ, რომელმაც სწორედ აბრეშუმის მუზეუმში მოაწყო ექსპერტთან მასმედიის შეხვედრა .**

ჯი-თი-ჯი, ქართული ტექსტილის ჯგუფი 1994 წელს დაფუძნდა პროფესიონალი მხატვრების, დიზაინერებისა და მკვლევარების შემადგენლობით. ჯი-თი-ჯი იკვლევს საქართველოს არტისტორიას, ეთნოგრაფიასა და ოსტატობას ტექსტილის სფეროში. ჯი-თი-ჯის 30 აქტიური წევრი და 70-მდე ასოციაციის წევრი ჰყავს. ჯი-თი-ჯი არის ი-ტ-ნ-ის (ევროპის ტექსტილის ქსელის) წევრი. სსრკ-ს დაშლის შემდეგ, ტრადიციული ქართული ტექსტილის გათავისუფლების დროც დადგა. ჯი-თი-ჯის მდიდარი გამოცდილება აქვს, როგორც კვლევის, ასევე სწავლების სფეროში. ჯი-თი-ჯი-ს მნიშვნელოვანი და მიმდინარე პროექტია "ქალთა ხალხური რეწვის ხელშეწყობა თუშეთსა და სამცხე-ჯავახეთში". რატომ ქალთა? ტექსტილი ხომ გამოქვაბულის დროიდან ქალთა საქმედ ითვლება! გაიხსენეთ პენელოპე! ჯი-თი-ჯი-ს მიზანია ხელი შეუწყოს რეგიონებში ქალთა დასაქმებას და ტრადიციული რეწვის აღდგენას, განვითარებას და ხალხური ოსტატებისთვის რეალური შემოსავლის წყაროდ გადაქცევას. ეს პროექტი ითვალისწინებს ტრადიციული ქსოვილების რეწვის ამჟამინდელი მდგომარეობის კვლევას, ოსტატი ქალებისა და საჭირო ნედლეულის წყაროების დადგენას, ტრადიციულ ნაწარმზე დაყრდნობით და დიზაინერების დახმარებით დასამზადებელი ნაწარმის ასორტიმენტის შემუშავებას და მის მომზადებას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე გასატანად.

თუშეთში ტრადიციული ოსტატობა მაღალია, მაგრამ ასევე მაღალია ქალთა მიგრაციაც! როდესაც პროექტით გათვალისწინებული ხუთი ბორბალი-ჩარხი აიტანეს, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთი ბორბალი დატრიალდებოდა. დანარჩენი ოსტატი ქალები "საზღვარგარეთ" მიდიოდნენ სამუშაოდ. წელიწადში ორმოციოდე წინდა თუ ეყიდება მქსოველს, ფასის ამპლიტუდაც იაფიდან ძვირამდე - პატარაა. სამცხე-ჯავახეთში კი ეთნიკურ პრობლემებსაც ვერ უარყოფ, ტრადიციული რეწვა ისეა მივიწყებული, რომ შინაურებისთვის წინდას თუ მოქსოვ, ესაა და ეს. ვისთვის ან რისთვის იმუშაონ?!

პროექტის ფარგლებში ტარდება ტრენინგები კვლევის შედეგად შერჩეული ქალებისათვის. პროექტის მიმდინარეობისას ოსტატი ქალების მიერ დამზადებული საუკეთესო ნიმუშები გაიგზავნება გამოფენა-გაყიდვაზე, განთავსდება ვებგვერდზე. განიხილება მენეჯმენტი და ფასწარმოებაც. პროექტის დასრულების შემდეგ ოსტატ ქალებს ექნებათ რეალური შესაძლებლობა ჩამოაყალიბონ და თვითონ მართონ საკუთარი ორგანიზაციები, ხოლო ჯი-თი-ჯი მათ დაეხმარება უცხოურ ორგანიზაციებში წარსადგენი საპროექტო განცხადების მომზადებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე დამოუკიდებლად გატანაში.

სწორედ ამ პროექტის ფორმატში მოიწვია ჯი-თი-ჯი-მ ჩოჩუნბაევა, რომელმაც წარმატებით გააერთიანა შუა აზიის ქვეყნების ხალხური შემოქმედებისა და რეწვის სფერო, აქვს დიდი მიღწევები რეწვის პროდუქციის შემუშავებასა და საერთაშორისო ბაზარზე გატანის თვალსაზრისით.

შუა აზიის ხელოსნობის მხარდამჭერმა ასოციაციამ შექმნა რეგიონში ხელობის და ხელოსნობის ბაზა, გააძლიერა სახელოსნო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ცენტრალური აზიის (მინუს თურქმენეთი და პლუს მონღოლეთი) ხელოსნობის ხარისხი და ასორტიმენტი გააუმჯობესა: მიაღწია ხელოსნობის შემოსავლის მყარი ზრდის ტენდენციებს, სოციალური სტატუსის ზრდას.

კარგია, მაგრამ ჩვენ?! "თქვენ ახლა იმ პლასტზე დგახართ, ჩვენ რომ ვიდექით ოთხმოცდაათიანებშიო" - განაცხადა დინარა ჩოჩინბაევამ.

## ჯუზეპე არმანის გამოფენა



ცნობილი მოქანდაკის ჯუზეპე არმანის ლამაზი, მაგრამ სრული და უბრალოდ, დიდი ქალების კოლექციის გამოფენა თელ-ავივში ხელოვნების გალერეაში Collection-ში გაიხსნა.

არმანი სახელოსნო Florence-ის მთავარი მხატვარია, რომელიც 1973 წელს დაარსდა და განლაგებულია იტალიის პატარა პროვინცია ტოსკანაში, სიენას და ფლორენციას შორის.

ტოსკანაში დიდი ხელოვანების მოღვაწეობა ისტორიულად ტრადიციულია, რადგან სწორედ აქ ცხოვრობდნენ ისეთი დიდი ოსტატები, როგორებიც იყვნენ ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო ბუონოროტი და სხვა მხატვრები, რომლებმაც მსოფლიოს შედევრები აჩუქეს. ჯუზეპე არმანიც დღესდღეობით დიდი წინაპრების გზას აგრძელებს, იგი ქმნის ხელოვნების ნიმუშებს ფაიფურისგან.

ჯუზეპე არმანის სახელოსნო მსოფლიოში აღიარებულია. მისი ნამუშევრები ავსებს ცნობილი კოლექციონერების შედევრებს და ალამაზებს ყველაზე დიდ მალაზიებს. თითოეული ნამუშევარი, რომელიც თელ-ავივშია წარმოდგენილი, ინდივიდუალურია; თითოეულ მათგანს აქვს ფირმის ნიშანი, პირადი ნომერი და ჯუზეპე არმანის ავტოგრაფი.

## ბიჭი "მეექვსე გრძნობიდან"



ახალგაზრდა ამერიკელ მსახიობს ჰეილი ჯოელ ოსმენტს ციხე ემუქრება. 18 წლის მსახიობი ცნობილია ისეთი ფილმებიდან, როგორებიცაა: "მეექვსე გრძნობა," და "ხელოვნური ინტელექტი".

თუკი მას სასამართლო დამნაშავედ ცნობს, ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. დანაშაული ურთიერთკავშირშია ავარიასთან, რომელიც ამა წლის 20 ივლისს მოხდა ლოს ანჯელესის მახლობლად. მსახიობი ღამის საათებში მარტო მიდიოდა სახლში საკუთარი ავტომობილით Saturn-ით, რომელიც 1995 წელს არის გამოშვებული, იგი დაეჯახა საფოსტო ყუთს და გადაბრუნდა. ავარიის შედეგად მსახიობი სერიოზულად დაშავდა და გარკვეული პერიოდი საავადმყოფოშიც იმყოფებოდა. ოსმენტი დადანაშაულებულია აგრეთვე მარიხუანას მოხმარებისთვის და ალკოჰოლის გადაჭარბებით მიღებისთვის. იგი სასამართლოს წინაშე 19 სექტემბერს უნდა წარდგეს. მსახიობმა წარმატება მოიპოვა 1999 წელს ფილმ "მეექვსე გრძნობით", სადაც იგი თამაშობს ბიჭის როლს, რომელიც ხედავს მკვდრებს. ფილმის შემოსავალმა მთელს მსოფლიოში 673 მილიონი დოლარი შეადგინა. ამ როლით მან მოიპოვა "ოსკარი" ნომინაციაში მეორეხარისხოვანი საუკეთესო მსახიობისთვის.

## სვეტოზარ რუსაკოვი



მოსკოვში 84 წლის ასაკში ცნობილი მულტფილმების ავტორი სვეტოზარ რუსაკოვი გარდაიცვალა. იგი ერთ-ერთი შემქნელია მულტფილმისა "ნუ, პაგადი!" სულ მისი მონაწილეობით გადაღებულ იქნა დაახლოებით 50 ანიმაციური ფილმი. მათ შორის: "ზღაპარი ემელიუს შესახებ", "ბურატინოს თავგადასავალი", "ყალბი ნოტა", "შაიბუ, შაიბუ", და ა.შ. 1986 წელს რუსაკოვი გახდა რუსეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

სვეტოზარ რუსაკოვი დაიბადა 1923 წლის 3 აპრილს. დაამთავრა სამხატვრო ფაკულტეტი. დაჯილდოებულია ომის დროის I და III ხარისხის ორდენებით. აგრეთვე მედლებით "საბრძოლო დამსახურებისთვის", "კენიგსბერგის აღებისთვის", "პრაღის გათავისუფლებისთვის" და სხვებით. 1956 წელს იყო კინოსტუდია "სოიუზმულტფილმის" მხატვარ-დამდგმელი.

## მოკლედ

### ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეა

დავით კაკაბაძის სახელობის ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეის შენობა სარემონტო სამუშაოებს საჭიროებს. გალერეაში დაზიანებულია კედლები და ამორტიზირებულია განათების სისტემა, რის გამოც დარბაზში მუდმივი ექსპოზიციის გამოფენა ფერხდება.

გალერეის დირექტორმა ელისო ჩოგოვაძემ განაცხადა, რომ დამთვალიერებლისთვის გალერეის ფონდსაცავებში დაცული ყველაზე ძვირფასი ექსპონატების წარმოდგენაც ვერ ხერხდება. დარბაზში არსებული პირობების გამო ექსპოზიციებში ვერ თავსდება ისეთი უნიკალური ტილოები, როგორიცაა ნიკო ფიროსმანის "ქალი თარით", "გამასპინძლების დუქანთან" და "ქართველი ქალი ბავშვებით", ლადო გუდიაშვილის "შემოდგომის დღესასწაული", "ვაშლის კრეფა", "ფრესკების ხატვა" და "სიმღერა სამშობლოზე". ფონდსაცავებში რჩება გიგო გაბაშვილის, დავით კაკაბაძის, ელენე ახვლედიანის, ფელიქს ვარლამიშვილის, ვალერიან მიზანდარისა და სხვათა ნამუშევრები.

ჩოგოვაძის განცხადებით, გალერეის დამთვალიერებელთა შორის არიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ტურისტები.

ამჟამად გალერეაში სულ 3 საგამოფენო დარბაზი მოქმედებს და ძირითადად, თანამედროვე ხელოვნების ამსახველ, მიმდინარე მოკლევადიან გამოფენებს მასპინძლობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ჩიკ კორეა და გარი ბარტონი საქართველოში

საქართველოს შემოდგომაზე მსოფლიო დონის ჯაზ-შემსრულებლები ეწვევიან.

კომპანია "ისთერნ ფრომოუშენის" მოწვევით, 26 სექტემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ჩიკ კორეას და გარი ბარტონის კონცერტები გაიმართება.

ჩიკ კორეა 12 გრემის მფლობელია და მეოცე საუკუნის მუსიკოსებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. გარი ბარტონი კი ვიბროფონზე შემსრულებელთა შორის, ერთ-ერთ საუკეთესოდაა აღიარებული.

სავარაუდოდ, კონცერტებზე დასწრება 50-დან 200 ლარამდე ეღირება. **ინტერპრესნიუსი**

### ნუნისის მონასტერი ამოქმედდა

საქართველოში კიდევ ერთი მართლმადიდებლური ტაძარი ამოქმედდა.

მარგვეთისა და უბისის მთავარეპისკოპოს ვახტანგის (ახვლედიანი) კურთხევით, ტაბაკინის მონასტრის ბერი პავლე (მაჩიტაძე) ნუნისის მონასტერში დამკვიდრდა.

ნუნისის სამნავიანი ბაზილიკა IX-X საუკუნით თარიღდება. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ნუნისში იყო მონასტერი, რომელსაც არქიმანდრიტი განაგებდა. ეს ტაძარი აბაშიძეთა საძვალედ ითვლებოდა.

XIX საუკუნის მიწურულს განახლებული ტაძარი წმინდა გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსმა აკურთხა. საბჭოთა პერიოდში ტაძარი უმოქმედო იყო, რამაც მას სერიოზული ზიანი მიაყენა.

1970-იან წლებში ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა ტაძარს რესტავრაცია ჩაუტარა და მთლიანად გადახურა. მიუხედავად ამისა, მთავარეპისკოპოსის განცხადებით, ტაძარი არასახარბიელო მდგომარეობაშია და პატრონობა ესაჭიროება. მეუფე ვახტანგის კურთხევით, მამა პავლე მონასტრისა და მისი შემოგარენის მოწესრიგებას შეუდგა. მისი ძალისხმევით გასუფთავდა ეზო და გაიწმინდა ტაძარი.

მთავარეპისკოპოსი იმედოვნებს, რომ კეთილმორწმუნე ადამიანების შეწევნით ტაძარი აღდგება და წირვა-ლოცვა კვლავ განახლდება. **ინტერპრესნიუსი**

### უნიკალური ხატი

ახალციხის რაიონის სოფელ აწყურში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მეცნიერებმა ღვთისმშობლის უნიკალური ხატი აღმოაჩინეს. ექსპედიციის ხელმძღვანელ ვახტანგ ლიჩელის განცხადებით, ოქროს ხატი, რომელიც ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ეზოშია ნაპოვნი, ტიხრულ მინანქარშია შესრულებული და ანალოგი არ მოეპოვება. მეცნიერის თქმით, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა და მსგავსი შესრულების ხატი საქართველოში არასდროს ყოფილა აღმოჩენილი.

ოქროს ხატთან ერთად ნაპოვნია სამარხებიც, რომელიც მე-12-მე-13 საუკუნეებით თარიღდება და იმდროინდელ დიდგვაროვნებს ეკუთვნის. არქეოლოგიურ ექსპედიციაში საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტის ორმოცამდე სტუდენტი მონაწილეობს. გათხრებს ქართველებთან ერთად უცხოელი ექსპერტებიც ადევნებენ თვალს. სამუშაოებს კულტურისა, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აფინანსებს.

არქეოლოგიური გათხრების პარალელურად, იგეგმება VI-VII სს-ის ტაძრის რესტავრაცია. ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი ანდრია პირველწოდებულმა პირველად სწორედ სოფელ აწყურში დაასვენა. ამ ადგილზე, მოგვიანებით საკათედრო ტაძარი იქნა აგებული.

ადგილობრივი მოსახლეობა იმედოვნებს, რომ რესტავრაციის შემდეგ ეკლესია პირვანდელ სახეს დაიბრუნებს. **ინტერპრესნიუსი**

### ბადენ-ვიურტემბერგის ახალგაზრდა გიტარისტთა ორკესტრი

31 აგვისტოდან თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ორგანიზებით ბადენ-ვიურტემბერგის ახალგაზრდა გიტარისტთა ორკესტრი საქართველოში ტურნეს იწყებს.

სოლისტები ნიკა და დავით კვარაცხელიები კონცერტებს ორკესტრთან ერთად ბათუმში, კვარიათსა და თბილისში გამართავენ. ორკესტრის საგასტროლო ტურნე მიუნხენის გოეთეს ინსტიტუტის ხელშეწყობით განხორციელდება.

ბათუმში აჭარის კულტურის სამინისტროში მოწყობილი მიღებისა და ქართველ გიტარისტებთან ვორკშოფის შემდეგ ორკესტრი პირველ სექტემბერს პირველ კონცერტს ბათუმის თეატრში გამართავს. შემდეგი კონცერტი 3 სექტემბერს კვარიათის დამსვენებლებისთვის, 4 სექტემბერს კი ქუთაისელი მსმენელისთვის იგეგმება. 10 ოქტომბერს კი ორკესტრი ევანგელურ-ლუთერანულ ეკლესიაში ეპისკოპოს შტიოკელისადმი მიძღვნილ კონცერტს გამართავს. ტურნეს ფარგლებში ხსვა ღონისძიებებიც არის დაგეგმილი.

ახალგაზრდა გიტარისტთა ორკესტრი ბადენ-ვიურტემბერგის მხარის ახალგაზრდების მუსიკალური განათლების პროექტია. ორკესტრი 1991 წელს დირიჟორის არნოლდ ზესტერჰაიმის მიერ დაარსდა. იგი 25-30 ნიჭიერ ახალგაზრდას აერთიანებს, რომლებიც წელიწადში რამდენჯერმე იკრიბებიან და დირიჟორ ჰელმუტ ოსტერრაიხთან ერთად რეპეტიციებზე მუშაობენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ლერმონტოვის .N10, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სექტორის სუბსიდირებისთვის განკუთვნილი ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ტენდერს სს "თბილსრესზე" განსახორციელებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე სამ ლოტად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**I ლოტი - სს "თბილსრესის" N3 და N4 ენერგობლოკების მთავარი კორპუსის მე-9 ნიშნულზე გადახურვის, მთავარი კორპუსის სამანქანო დარბაზის, მართვის ფარის, ქიმიური საამქროს შენობა-ნაგებობებისა და სტაციონალური საკომპრესორო შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაზე;**

**II ლოტი - სს "თბილსრესის" N3 N4 და N8 ენერგობლოკების, ძალოვანი ტრანსფორმატორების 3ტ და 4ტ, N3 და N4 ენერგობლოკების რეგენერაციული ჰაერშემთბობების ხანძარქრობის სისტემის რეაბილიტაცია. N3 და N4 ენერგობლოკების ხანძარქრობის სისტემის ავტომატიკის, მართვის, სიგნალიზაციის მოწყობილობების და საკაბელო კავშირების რემონტი და გადატანა ცენტრალური მართვის ფარიდან N3 და N4 ბლოკების N2 მართვის ფარზე;**

**III ლოტი - სს "თბილსრესის" N4 ენერგობლოკის ტგმ-94 ტიპის ქვაბაგრეკატის და ტურბინის დამხმარე მოწყობილობების, N3 და N4 ენერგობლოკების აირსავლების თბოიზოლაციის, N1 მაზუთის მეურნეობიდან N3 და N4 ბლოკებზე მაზუთის მიღების წინ ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე;**

1. ტენდერში შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, ლოტების მიხედვით. სატენდერო კომისიაში პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენა ხდება დახურულ კონვერტში. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება და შეფასებისთვის არ დაიშვება.

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3. სამუშაო უნდა განხორციელდეს არსებული ტექნიკური დავალების შესაბამისად, მისი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს. სამუშაო უნდა განხორციელდეს წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, ტექნიკურ დავალებაში მითითებულ ობიექტზე. სამუშაოს შესრულების ვადა I და II ლოტებზე არ უნდა აღემატებოდეს 2006 წლის 15 დეკემბერს, ხოლო III ლოტზე - 2006 წლის 25 ნოემბერს.

4. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი და სათანადო წესით დალუქული სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 19 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა. N10. მე-4 სართული, სამინისტროს კანცელარია.

შესყიდვებში მონაწილის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტაცია და ბეჭდვითი ლიტერატურა შეიძლება შედგენილი იყოს ასევე, უცხოურ ენაზე, ოღონდ იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება შესაბამისი განყოფილებების ნოტარიულად დამოწმებული ზუსტი თარგმანი ქართულ ენაზე, მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. **იურიდიული პირებისათვის**:

ა) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას, რომ არ ხორციელდება კომპანიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;

გ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

5.2 **ფიზიკური პირებისათვის:**

ა) უფლებამოსილი დაწესებულებიდან ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

5.3. **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ ბოლო სამი წლის განმავლობაში;

ბ) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

გ) გ) საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა ევალებათ აგრეთვე სუბ-კონტრაქტორებს, თუ ისინი ჩართულნი იქნებიან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

6. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შესაბამისობა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

7. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს განცხადების მე-5 და მე-8 პუნქტში, სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

8. წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი შეფასების კრიტერიუმებისა და პრიორიტეტულობის კოეფიციენტების მიხედვით:

| № | შეფასების კრიტერიუმები | პრიორიტეტულობის კოეფიციენტები |
|---|---|---|
| 1. | სატენდერო წინადადების ფასი | 0,35 |
| 2. | სამუშაოს შესრულების ვადა | 0,25 |
| 3. | ორგანიზაციის გამოცდილება ანალოგიური სანუშაოების შეახებ | 0,15 |
| 4. | სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზა | 0,10 |
| 5. | შემდგომი საგარანტიო მომსახურების პირობები და ვადები | 0,10 |
| 6. | ანგარიშსწორების პირობები | 0,05 |
| | | სულ: 1.0 |

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 30 აგვისტოდან 19 სექტემბრის 14 საათამდე, შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებულ შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ. მისამართზე: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა N10, მე-4 სართულზე, სატენდერო კომისიის აპარატი, ქეთი მშვიდობაძე.

10. სატენდერო წინადადებები გახსნება 19 სექტემბერს 17 საათზე საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში IV სართულზე სხდომათა დარბაზში.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა. N10, ქეთი მშვიდობაძე ტელ: 99-53-10

12. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაიხადოს შემდეგ ანგარიშზე საქართველოს ეროვნული ბანკი ბანკის კოდი 220101107 ა/ა 200122900 სახაზინო კოდი: 302003000, საიდენტიფიკაციო კოდი 203840442 (ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის მოსაკრებელი).

*საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისია*

# ტოპმიოლერის რეცეპტი

2 სექტემბერს განახლებულეროვნულ სტადიონზე საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს უმასპინძლებს. ცხადია საქართველოში ამ მატჩისადმი დიდი ინტერესია, ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, ყოველთვის ხომ არ გვაქვს შანსი ანრის და მისი დონის ვარსკვლავები ვიხილოთ.

აღასნიშნავია, რომ ქართულ ფრანგულმა დაპირისპირებამ უცხოური მედიის დიდი ინტერესიც გამოიწვია. ამის მიზეზი, ალბათ ხვდებით, პირველ რიგში საფრანგეთის ნაკრები და საქართველოს ნაკრების გერმანელი მწვრნელი კლაუს ტოპმიოლერია.

თუ გასულ შესარჩევ ციკლს გავიხსენებთ, უცხოურ მედიაში ჩვენს ნაკრებზე თითქმის არაფერი იწერებოდა. ახლა კი, მატჩამდე თითქმის ერთი კვირით ადრე, საქართველოსა და საფრანგეთის ნაკრების თამაშზე რამდენიმე საინტერესო მასალაც კი გამოქვეყნდა. ერთ-ერთი მათგანი გუშინ სააგენტო AFP-ის ჟურნალისტს ეკუთვნის. ალსანიშნავია, რომ შემდეგ ეს მასალა Yahoo.com-ის საფეხბურთო გვერდზეც დაიბეჭდა. ალბათ ეს სტატია ჩვენი მკითხველისთვისაც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული, ამიტომაც გთავაზობთ მის თარგმანს.

"ფეხბურთზე გადარეული საქართველო იმედოვნებს, რომ ეროვნული ნაკრების ახალი მწვრთნელის ტეფტონური დისციპლინა და ადგილობრივი ტალანტების საფეხბურთო ოსტატობის შერწყმა, ნაკრებს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისკენ მიმავალ გზაზე მწვანე შუქს აუნთებს.

ევრო-2008-ის ფინალური ეტაპი 55 წლის გერმანელი სპეციალისტის პრიორიტეტად იქცა მას შემდეგ, რაც მან გასული წლის თებერვალში ჩაიბარა საქართველოს ნაკრები.

თუმაც მისია თითქმის შეუსრულებელია, საქართველოს ნაკრები საოცრად რთულ ჯგუფში მოხვდა, მსოფლიოს ჩემპიონი და ვიცე ჩემპიონი, ამას დაუმატეთ უკრაინა, რომელმაც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა.

"ჩვენი შესარჩევი ჯგუფი ძალიან ძლიერია და ამ ჯგუფიდან გასვლა ძალიან რთული იქნება", - ამბობს ტოპმიოლერი.

საქართველოს მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე არასდროს უთამაშია, საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ალან ჟირესმა მხოლოდ 16 თვე დაჰყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე და წასვლა მოუწია.

ლევერკუზენის "ბაიერის" ყოფილმა თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა კი უარყო ისეთი კლუბების შემოთავაზებები, როგორებიც არიან "არსენალი", "ლივერპული", "მანჩესტერ იუნაიტედი" და საქართველოს ნაკრებში ამჯობინა მუშაობა.

"ქართველები ყოველთვის განთქმულნი იყვნენ თავიანთი ტექნიკური მონაცემებით, მაგრამ მათ მინდორზე დისციპლინა აკლდათ, - ამბობს ტოპმიოლერი, - ჩემი მთავარი ამოცანაა აღმოვფხვრა საქართველოს ნაკრების სუსტი წერტილები და მისგან ნამდვილი გუნდი ჩამოვაყალიბო."

საქართველოს ნაკრებმა შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში რეკორდული ანგარიშით დაამარცხა ფარერების კუნძულების გუნდი და ახლა ქართველებს ფრანგების დამარცხების იმედიც აქვთ. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტოპმიოლერის გუნდს "მილანის" მცველი კახა კალაძე ვერ დაეხმარება.

"ჩვენ გვაქვს წარმატების შანსი, თუ ფეხბურთელები ზედმიწევნით შეასრულებენ ჩემს დავალებებს და მთელი შეხვედრის განმავლობაში კონცენტრირებული იქნებიან, ფრანგებთან დადებითი შედეგის მიღწევა შესაძლებელია, აგრეთვე დიდი იმედი მაქვს გულშემატკივრობის", - აცხადებს ტოპმიოლერი.

განახლებული ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონი კი 60 ათას გულშემატკივარს იტევს და ალბათ 2 სექტემბერს ამ სტადიონზე თავისუფალი ადგილები არ იქნება".

ასე აფასებენ უცხოელი ჟურნალისტები საქართველოს ნაკრებს.

ჩვენ კი იმ ფეხბურთელების სიას გაგაცნობთ, რომლებიც ტოპმიოლერმა საფრანგეთის ნაკრებთან სათამაშოდ გამოიძახა:

**მეკარეები:**
1.გიორგი ლომაია ("ლუჩ-ენერგია", რუსეთი; 08.08.1979, ნაკრებში 22 მატჩი)
29.ნუკრი რევიშვილი ("რუბინი", რუსეთი; 02.03.1987, 5)
34.გრიგოლ ჭანტურია ("ზესტაფონი"; 25.09.1973, 3)

**მცველები:**
5.დავით კვირკველია (ზაპოროჟიეს "მეტალურგი", უკრაინა; 27.06.1980, 18)
6.კახა ალადაშვილი ("დნიპრო", უკრაინა; 11.08.1983, 4)
13.ზურაბ ხიზანიშვილი ("ბლექბერნ როვერსი", ინგლისი; 06.10.1981, 30)
16.მალხაზ ასათიანი ("ლოკომოტივი", რუსეთი; 04.08.1981, 22 - 4)
35.ილია კანდელაკი ("ჩერნომორეცი", უკრაინა; 26.12.1981, 6)
36.დავით იმედაშვილი ("დინამო", უკრაინა; 15.12.1984, დებიუტანტი)
37. გიორგი შაშიაშვილი ("ჩერნომორეცი", უკრაინა; 01.09.1979, 12)

**ნახევარმცველები:**
10.ლევან კობიაშვილი ("შალკე 04", გერმანია; 10.07.1977, 63 - 5)
14.გოგიტა გოგუა (ნალჩიკის "სპარტაკი", რუსეთი; 04.10.1983, 11 - 1)
18.ზურაბ მენთეშაშვილი ("შინიკი", რუსეთი; 30.01.1980, 16 - 1)
20.დავით მუჯირი ("კრილია სოვეტოვი", რუსეთი; 02.01.1978, 16 - 1)
22.ჯაბა კანკავა ("არსენალი", რუსეთი; 18.03.1986, 11 - 1)
27.გიორგი ქინქლაძე ("რუბინი", რუსეთი; 06.07.1973, 54 - 8)

**თავდამსხმელები:**
9.ალექსანდრე იაშვილი ("ფრაიბურგი", გერმანია; 23.10.1977, 30 - 10)
11.შოთა არველაძე ("ალკმაარი", ჰოლანდია; 22.02.1973, 58 - 24)
15.ლაშა ჯაკობია ("არსენალი", უკრაინა; 20.08.1980, 6 - 1)
21.ოთარ მარცვალაძე ("დინამო", უკრაინა; 14.07.1984, 3 - 1)
24.ზურაბ იონანიძე ("ზესტაფონი"; 02.12.1971, 4 - 1)
30.გიორგი დემეტრაძე (დონეცკის "მეტალურგი", უკრაინა; 26.09.1976, 46 - 11)
31.მიხეილ აშვეთია ("რუბინი", რუსეთი; 10.11.1977, 20 - 5)



დავით კოვზირიძის სვეტი

# მოტივაცია, ზიდანი, ფიქრები იტალიაზე...

ამ ერთი თვის განმავლობაში თბილისი მსოფლიო ფეხბურთის ეპიცენტრში იქნება - ჯერ ვიცე-ჩემპიონს ვეთამაშებით და მერე ჩემპიონს. ორივე მოქმედია. მოქმედი კი არა, ბერლინის ფინალი სულ რაღაც ორი თვის წინ გაგორდა. ასეთ მოკლე პერიოდში ორი ასეთი სოლიდური სტუმარი, მგონი, არც ერთ ქალაქს არ ღირსებია არასდროს.

იტალიაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მანამდე ფრანგულის და უკრაინულის გამოცდები გვაქვს ჩასაბარებელი აქ და კიევში. ჩათვლა ხოშიანად გავიარეთ ანტარქტიდის მახლობლად, რაც მშვენიერი განწყობის საბაბს გვაძლევს ისტორიული შერკინებების წინ.

ჯერ კიდევ ზამთარში, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის შვიდი ფავორიტის ყოველთვიური მიმოხილვა წამოვიწყეთ, ვწერდი, რომ საფრანგეთის ნაკრები შორს წავა და შეიძლება პირველიც მივიდეს ფინიშთან. მაშინ ბევრმა შემომხედა ეჭვის თვალით და არც უირონიობა იყო, მაგრამ ეგ არაფერი.

ჩემი პროგნოზის მთავარი საყრდენი იყო ამ გუნდის შემადგენლობა, განვლილი გზა და ასაკი. ფრანგების ბირთვს წლევანდელ ზაფხულამდე ყველა ჯილდო გასინჯული ჰქონდა სანაკრებო და საკლუბო ამბავში. ამ დროს მოტივაცია თითქოს აორთქლებულია, მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი შემთხვევა. ვგულისხმობ ამ ბირთვის საპენსიო ასაკს, რომელსაც ფრანგთა ეს თაობა იძულებით რეჟიმში გადაჰყავდა - ან ეხლა, ან აღარასდროს. გერმანია იყო ბოლო კუნძული, რომელზეც ინახებოდა ზიდანის საფრანგეთისთვის ხელმისაწვდომი განძი. ის აზიაშიც იდო 2002 წელს და პორტუგალიაშიც შარშანწინ, თუმცა მაშინ ზიდანი და მისი სამეგობრო ჯერ კიდევ დანაყრებული გახლდათ დიადი წარმატებებით. 2006 წელს კი ფრანგები მშივრები შეხვდნენ. უფრო იმიტომ, რომ იცოდნენ - ეს ბოლო გემრიელი სადილია.

სადილი მართლაც გემრიელი გამოუვიდათ, მაგრამ ბოლოწამს ლეგენდარული თამადა დათვრა და განძიც სულ სხვაგან აღმოჩნდა. ზოგადად ფეხბურთისთვის ზიდანთან გამომშვიდობება ძალიან საწყენია, მაგრამ ჩვენთვის ამაზე კარგი არაფერია წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობით. გახსოვთ უზიდანო საფრანგეთი? არც აგებდა და ვერც იგებდა, კინაღამ შესარჩევ ჯგუფში გაიჭედა და მაესტროს დაბრუნებამ სულზე მიუსწრო.

თუ ფრანგული ფეხბურთის ბოლო რამდენიმე დეკადას დავაკვირდებით, ერთ საინტერესო ტენდენციას აღმოვაჩენთ - ნაკრები დიდებულად თამაშობს და შედეგს აღწევს მაშინ, როცა ათნომრიანი მაისური გენიოსებს აცვიათ, როცა ბურთს დანარჩენებზე გაცილებით მაგარი ბიჭი ანაწილებს.

და როცა ეს ბიჭები მიდიან, გუნდი ირევა. ასე იყო პლატინის დროს და ზუსტად იგივე მოხდა, როცა ზიდანი რამდენიმე თვით წავიდა. მიუხედავად რიბერის გამოჩენისა, ძალიან მეეჭვება, ეს ტრადიცია ამჯერად დაირღვეს.

გარდა ამისა, ახლა უკვე გადაჭრით შეიძლება ფრანგების უმოტივაციობაზე ლაპარაკი. ძველი გვარდიის თავმოყვარეობა და სინდისი სუფთაა, რამდენიმე ვეტერანს ხვეწნაც კი დასჭირდა ნაკრებში დასაბრუნებლად და ფაქტია, რომ მათი ჟინი და შემართება გაცილებით ნაკლებია ივლისთან შედარებით.

დიდ გუნდებს დიდ ტურნირებზე წარმატებით გამოსვლის შემდეგ ყოველთვის აქვთ ჩავარდნა და მთლიან შესარჩევ ციკლს თუ არა, მის საწყის ეტაპს მოუმზადებლები ხვდებიან, რაც კიდევ ერთი პლუსია ჩვენს სასარგებლოდ. კარგია ისიც, რომ ანრი ფორმაში ვერაა, რის გამოც "არსენალი" თამაშს ველარ იგებს და აშკარაა, მისი კრიზისი ფრანგთა თავდასხმასაც დაეტყობა.

და კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი კოზირი ჩვენს ხელში: 6 სექტემბერს საფრანგეთის ნაკრები იტალიას მასპინძლობს! რაც არ უნდა ვილაპარაკოთ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთა პროფესიონალიზმზე და იმაზე, რომ ისინი კონკრეტული მატჩის წინ სწორედ ამ კონკრეტულ შეხვედრაზე ფიქრობენ და სხვა არაფერზე, ფაქტია - თითოეული ფრანგის გონება საქართველოს გავლით იტალიისკენ მიცოცავს. წმინდა ფსიქოლოგიური დეტალია - ფეხბურთელებისთვის და გულშემატკივრებისთვის მთავარია დომენეკის გუნდმა სწორედ ჩემპიონს, 9 ივლისის მეტოქეს აჯობოს, შური იძიოს მარცხზე და შეურაცხყოფაზე, რომელიც მატერაციმ ბელადის ოჯახს მიაყენა. ეს იქნება მთელი საკვალიფიკაციო ციკლის ცენტრალური ომი და მასში წარუმატებლობას ფრანგებს საკუთარი ქომაგი არ აპატიებს.

ამ პატარ-პატარა ისტორიულ, ფსიქოლოგიურ, ადამიანურ და საფეხბურთო შენაკადებს იქამდე მივყავართ, რომ 2 სექტემბერს ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თუ დავითვლით ჩვენს და ფრანგების დღევანდელ პლუს-მინუსებს, გამოვა, რომ მსოფლიოს მეორე გუნდის დამარცხების შანსი სწორედ ახლაა ყველაზე დიდი.

*მომავალ შეხვედრამდე*

# "საქართველოში ბედაური ცხენი..."

ნოდარ ებრალიძე

ეს სიტყვები ქართული ცხენის კარაბადინის უაღრესად ოპტიმისტური ფრაზის დასაწყისია.მართალია ფილოლოგ სპეციალისტებს ერთი კომპილაციურ-თარგმნილი რედაქციიდან მომდინარედ მიაჩნიათ ამ წიგნის ქართული ხელნაწერების უმრავლესობა, მაგრამ ერთ-ერთი მათგანის (Q-281:3) შესავალში ვახტანგის მოხსენიება ("ქართულად გამოცხადნა და შეკრიბნა ერთად ღმრთივ დიდებულმან ძემან მეფეთამან. თვით გამგებელმან, ბატონის შვილმან ვახტანგ") და ისიც, რომ ამ ტექსტში ჭარბობს წმინდა ცხენოსნური, მხედრულ-მეომრულისწავლა, სხვა, უფრო ბეითლურ-სამკურნალო დარიგებათა შემცველი ნუსხებისგან განსხვავებით, მწერლური თავისებურებები გვავარაუდებინებს, რომ მისი ავტორი (ანუ მთარგმნელი დდა შემდგენელი შეიძლება მწიგნობარი და მხედარი მეფე - ვახტანგ VI იყოს.

გვირგვინოსანი მხედრის განსჯა კი ნამდვილად იმედიანია: "საქართველოში ბედაური ცხენი ბევრი არის და იქნების!" მე ამიტომაც მოვერიდე გამეორებას. დღეს ცოტა ძნელი უნდა იყოს ასე დარწმუნებით ამის განცხადება, თუმცა არც იმედის გადაწურვამდეა მისული საქმე. ჩვენი ინფორმაცია ამ პრობლემის მხოლოდ ერთ, უაღრესად მნიშვნელოვან მხარეს გაგაცნობთ - ესაა ყულარის ცხენსაშენის ბედაურების თავგადასავალი შორეული ვოლგისპირეთში, ქალაქ სამარაში, რომლის იპოდრომის სადოღე და სარბოლი ტრადიციები გუშინდელი არაა, ხოლო ადგილობრივი ცხენოსნური სინამდვილე თვით დიდი ცხენენჯის, ლევ ტოლსტოის შემოქმედებაშიც აისახა...

შარშან სამარაში ყულარის ცხენსაშენის საჭენებელი განყოფილების უფროსმა ვიქტორ გოგლიძემ 4 ულაყი ჩაიყვანა; სამი წლის "ალვანი" შარშან სპრინტერულ დოღში და "ანილინის" პრიზზე მესამე იყო, ხოლო სამარის დერბიში (2400 მ.) - მეოთხე (დერბიში ეს საპრიზო ადგილია). "ავდარი" და "გაგრულა" დნეპროპეტროვსკიდან ჩამოყვანილი აჯილღის "ველბოტის" შვილები არიან (პირველის დედა ყულარის მკვიდრი "ამპარტავანია", მეორის - ასევე აქაური "განგაში"). "ავდარმა" შარშანსამარის პრიზი მოიგო (1400 მ.) და ქალაქის იპოდრომის რეკორდიც დაამყარა. წელს ოთხ დოღში გამოვიდა და ყველგან საპრიზო ადგილები მოიპოვა. მისი კბილა "გაგრულა" შარშან პირველი იყო დიდ საზაფხულო პრიზზე, მეორე - კრიტერიუმისა და საშემოდგომო დოლებში; წელს უკვე ყაზანში, სადაც ცხენოსნობის ნამდვილი ბუმია, დიდ საზაფხულო პრიზზე მეორე იყო, მეოთხე - დიდ სპრინტერულ დოლში, ხოლო სამარის დერბიში, რომელშიც პოსტსაბჭოთა სივრცის 8 უზლიერესი ცხენი მონაწილეობდა, ატალახებულ წრეზე 2 წამით ჩამორჩა გამარჯვებულ კრასნოდარის მხარის ცნობილი მეურნეობის ბედაურს (IV ადგილი). "გაგრულას" სეზონი ჯერ არ დაუმთავრებია - გასულ შაბათს სენტლეჯერის პრიზზე იჭენა (2800 მ, მეორე ადგილი). 18 სექტემბერს კი "სამარის მარგალიტის" დოღში გამოვა. რაც შეეხება მეოთხე ულაყს, იგი ორი წლის წინათ აშშ-დან ჩამოიყვანეს სანაშენოდ ("ჩეიზ მი ფასტერი" ჰქვია); შარშანწინ დელისის იპოდრომზე გამოვიდა თბილისის თასზე (1400 მ.) და ყულარის ცხენსაშენის პირველი ჟოკეის ნარიმან ემინოვის მხედრობით მოიგო კიდეც (1.24 წთ.). მისი სანაშენო მონაცემები დიდად ფასობს და სამარაში დროებით იმყოფება.

"სამარის იპოდრომი გაისისთვის 9 სადოღე ცხენის გამოყვანას გვთხოვს; რა თქმა უნდა შეგვიძლია და ორივე მხარისათვის ხელსაყრელი იქნება მათი წინადადების შესრულება. გაისად ჩვენ გამოსაცდელად ორი წლის 23 ბედაური გვეყოლება, სამი წლისანი კი ათნი იქნებიან, - გვითხრა ვოლგისპირეთიდან ორი დღის წინათ ჩამობრუნებულმა ვიქტორმა - მართალია, დელისის იპოდრომი არ მოქმედებს, მაგრამ თვითონ ყულარში ვცდით ახალ ბედაურებს, სადედე განყოფილებისთვის გამწესებულ ფაშატებს. ბაქოს იპოდრომი, ალბათ, მალე საერთაშორისო მნიშვნელობის გახდება და ჩვენთვისაც ეს დიდი ნუგეშია"... ისე კი, რა თქმა უნდა, საკუთარს ვერაფერი შეცვლის! - ეს უკვე ბრჭყალებგარეთ ჩვენი ნათქვამია და მისი პასუხი სცილდება ამ საინფორმაციო თემას.



*"ავდარი" და მისი აღმზრდელი ვიქტორ გოგლიძე სარეკორდო მიღწევის შემდეგ სამარის იპოდრომის ტრიბუნების წინ.*





# "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)

- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)

+ ლიპოსაქცია

- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 24 აგვისტოს N01-01/184 ბრძანება

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის, ამავე კანონის 34-ე მუხლის, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473-ე ბრძანებულების მე-2 პუნქტის "ღ" და "შ" ქვეპუნქტებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულების 2006 წლის 24 აგვისტოს წარდგინების საუძველზე

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ჩასატარებელი კონკურსის წესი (დანართი 1).
2. ბრძანება აღსრულედეს დაუყოვნებლივ.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს პრესით და განთავსდეს ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.

**გიორგი ხუბუა**
**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი**
**პროფესორი**

**დანართი N1**
**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დაკავების წესი**

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება უნდა მოხდეს ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსი ცხადდება საბაზისო სწავლების, სპეციალიზაციისა და სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული საგნების წაკითხვაზე. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს: ავტობიოგრაფიული მონაცემები, შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც, კანდიდატის აზრით, საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევის უნარს და სილაბუსი. სილაბუსში მითითებულ უნდა იქნეს:
- საგნის სახელწოდება;
- სწავლების მიზანი;
- კურსის მოცულობა;
- მეთოდი;
- კრედიტების მინიჭების პირობა;
- ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა;
- საგნის გეგმა თითოეულ ლექციაზე წასაკითხი მასალების მითითებით.

3. სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება და დისციპლინის სწავლების კონცეფციის წარმოდგენა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად არ არის აუცილებელი სილაბუსის წარმოდგენა.

4. კონკურსი ცხადდება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემდეგი მიმართულების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:
- ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით - არაუმეტეს 10 საშტატო ერთეულისა;

5. საკონკურსო კომისია ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლს წარუდგენს რეკომენდაციას აკადემიურ თანამდებობასთან კონკურსანტის შესაბამისობის თაობაზე. რეკომენდაციების შემუშავებისას საკონკურსო კომისია ითვალისწინებს:
- ■ აკადემიურ ხარისხს;
- ■ პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილებას;
- ■ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომებს, მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებს;
- ■ სამეცნიერო საბჭოს წევრობას;
- ■ სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრობას;
- ■ სამეცნიერო, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობას, კონსულტანტობას, ოპონირებას;
- ■ წიგნის (კრებულის) რედაქტორობას;
- ■ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას.

6. სრული პროფესორის ანაზღაურებაა არანაკლებ 700, ასოცირებული პროფესორის - 560 და ასისტენტ-პროფესორის - 420 ლარისა.

7. სრული პროფესორი და ასოცირებული პროფესორი აირჩევა 3 წლის ვადით, ასისტენტ-პროფესორი 2 წლის ვადით.

8. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში კანდიდატმა უნდა განაცხადოს წერილობითი თანხმობა, რომ უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადში ის იქნება დაფიქსირებული, როგორც ამ უნივერსიტეტის პროფესორი.

9. კონკურსი ცხადდება 2006 წლის 24 აგვისტოს, დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 24 სექტემბერი. საბუთების მიღება იწარმოებს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანატში: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2; ტელ 30 00 32

10. კონკურსის შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2006 წლის 24 ოქტომბრისა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 24 აგვისტოს N01-01/185 ბრძანება

ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის, ამავე კანონის 34-ე მუხლის, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473-ე ბრძანებულების მე-2 პუნქტის "ღ" და "შ" ქვეპუნქტებისა და ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულების 2006 წლის 23 აგვისტოს წარდგინების საუძველზე

ვბრძანებ:
1. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ჩასატარებელი კონკურსის წესი (დანართი 1).
2. ბრძანება აღსრულედეს დაუყოვნებლივ.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს პრესით და განთავსდეს ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.

**გიორგი ხუბუა**
**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,**
**პროფესორი**

**დანართი N1**

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება უნდა მოხდეს ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსი ცხადდება საბაზისო სწავლების, სპეციალიზაციისა და სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული საგნების წაკითხვაზე. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს: ავტობიოგრაფიული მონაცემები, შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც, კანდიდატის აზრით, საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევის უნარს და ორი სილაბუსი. სილაბუსში მითითებულ უნდა იქნეს:
- საგნის სახელწოდება;
- სწავლების მიზანი;
- კურსის მოცულობა;
- მეთოდი;
- კრედიტების მინიჭების პირობა;
- ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა;
- საგნის გეგმა თითოეულ ლექციაზე წასაკითხი მასალების მითითებით.

3. სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება და დისციპლინის სწავლების კონცეფციის წარმოდგენა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად არ არის აუცილებელი სილაბუსის წარმოდგენა.

4. კონკურსი ცხადდება ჰუმანიტარული ფაკულტეტის შემდეგი მიმართულების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:
- ფილოსოფიის მიმართულებით - არაუმეტეს 4 საშტატო ერთეულისა;
- ისტორიის მიმართულებით - არაუმეტეს 1 საშტატო ერთეულისა;
- ფილოლოგიის მიმართულებით - არაუმეტეს 6 საშტატო ერთეულისა;
- დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის მიმართულებით - არაუმეტეს 1 საშტატო ერთეულისა;

5. საკონკურსო კომისია აკადემიურ თანამდებობასთან კონკურსანტის შესაბამისობის თაობაზე ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლისათვის რეკომენდაციების შემუშავებისას ითვალისწინებს:
- ■ აკადემიურ ხარისხს;
- ■ პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილებას;
- ■ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომებს, მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებს;
- ■ სამეცნიერო საბჭოს წევრობას;
- ■ სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრობას;
- ■ სამეცნიერო, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობას, კონსულტანტობას, ოპონირებას;
- ■ წიგნის (კრებულის) რედაქტორობას;
- ■ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას.

6. სრული პროფესორის ანაზღაურებაა არანაკლებ 700, ასოცირებული პროფესორის არანაკლებ 560, ხოლო ასისტენტ-პროფესორის არანაკლებ 420 ლარისა.
7. სრული პროფესორი და ასოცირებული პროფესორი ინიშნება 3 წლის ვადით, ხოლო ასისტენტ-პროფესორი - 2 წლის ვადით.
8. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში კანდიდატმა უნდა განაცხადოს წერილობითი თანხმობა, რომ უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადში ის იქნება დაფიქსირებული, როგორც ამ უნივერსიტეტის პროფესორი.
8. კონკურსი ცხადდება 2006 წლის 24 აგვისტოს, დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 24 სექტემბერი, საბუთების მიღება იწარმოებს ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანატში - ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N1 ტელ. 22 21 08

9. კონკურსის შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2006 წლის 24 ოქტომბრისა.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**ქ. ქუთაისის ადგილობრივმა თვითმმართველობამ მ/ წლის 1-2 აგვისტოს გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებულად გამოავლინა შემდეგი ფირმები:**

**I. წყალმომარაგების ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა**

**n შპს "ინჟმშენი 96"** (კიბულის ქუჩის წყლის "ახალი ამტანის" მილის მონაკვეთის შეცვლა, წერეთლის ქუჩის ბოლო მონაკვეთზე წყლის მილის შეცვლა)

**II. გაზმომარაგების ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა**

**n ს.ს. "ქუთაისგაზი"** (თაბუკაშვილის ქუჩის ბოლო მონაკვეთისა და ავტოქარხნის სამხრეთ დასახლების გაზმომარაგების ქსელი)

**III. ღვარსადენების ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა**

**-შპს "ნიაღვარი 2005"- I ლოტი** (შანიძის ქუჩის და მისი გაგრძელება თამარ მეფის ქუჩაზე არსებული დახურული ღვარსადენები)
**- შპს "აღმდგენი" - II ლოტი** (ჯავახიშვილის ქუჩის ჩრდილოეთით არსებული ღია არხის კალაპოტის გაწმენდა და ბარნოვის ქუჩიდან ღია არხში ჩართული ნიაღვარსადენის შეკეთება-აღდგენითი სამუშაოები)
**- შპს "საბინაო საექსპლოატაციო სარემონტო საწარმო" - III ლოტი** (მდ. ოღასკურას კალაპოტის ნაწილობრივი გაწმენდა ჯავახიშვილის ქუჩიდან ავტოქარხნის I შესახვევამდე ორი საყრდენი კედლის მშენებლობითი სამუშაოები)

**IV. გზის საფარისა და საკანალიზაციო სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა**

**n შპს "გზამშენი XXI" - I ლოტი** (გაპონოვის ქუჩის გზის საფარის, წყალსადენის, ღვარსადენის, საკანალიზაციო სისტემებისა და კლდიაშვილის ქუჩის გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები)
**n შპს "ტრანსვესტინჟინერინგი 12"- II ლოტი** (როძევიჩის ქუჩის გზის საფარისა და წყალსადენის ქსელის, ირ.აბაშიძის ქუჩის გზის საფარისა და საკანალიზაციო სისტემის, სოლომონ I ქუჩის გზის საფარისა და ღვარსადენის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები)
**n შპს "გზამგები" - III ლოტი** (ნიკეას ქუჩის გზის საფარის, მჭედლიძის ქუჩის გზის საფარისა და წყალსადენის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები)
**n შპს "სპექტრი 7" - IV ლოტი** (შანიძის ქუჩის, განათლების ქუჩის I შესახვევის, ტყიბულის ქუჩის, ბაგრატის ქუჩის საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები)
**n შპს "მეოხი" - V ლოტი** (ჯანელიძისა და ბარნოვის ქუჩების საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები)

**V. ფასადების კაპიტალურ შეკეთებითი სამუშაოების შესყიდვა**

**- ს.ს. "იბერია 21" - I და II ლოტი** (ახალგაზრდობის გამზ. N44, 66, 68, 74, 80, 84 კორპუსებისა და ავტომშენებლის ქ. N3, 5, 7, 9, 11, 13, 15, 17, 19, 21, 23 კორპუსების ფასადების კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოები)
**- შპს "ანდო და კომპანია" - III ლოტი** (ავტომშენებლის ქ. N6, 8, 10, 14, 16, 25, 27, 29, 31, 31ა კორპუსების ფასადების კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოები)
**- შპს "თბილისი 2005" - IV ლოტი** (ავტომშენებლის ქ. N18, 20, 22, 24, 26, 28, 30, 32, 34, 36 კორპუსების ფასადების კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოები)

**VI. ავარიულსახურავიანი სახლების გადახურვის სამუშაოების შესყიდვა**

**შპს "კოლიზეუმი" - I, II, III, IV ლოტები** (ბრტყელი გადახურვის მქონე ავარიულსახურავიანი სახლების გადახურვითი სამუშაოები)
**n შპს. "პირამიდა 2005" - V ლოტი** (შიფერის შესყიდვა)

**გამარჯვებულ პირებთან დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები 2006 წლის 30 აგვისტოს.**

**სატენდერო კომისია**

# განცხადება

## სსიპ საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების 3 წლის ვადით დასაკავებლად: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული; მინერალური და ენერგეტიკული რესურსების და მათი გამოყენების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული; ამავე განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული; მიწის, წყლისა და ტყის რესურსების და მათი გამოყენების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული; ამავე განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული; ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებისა და ეკოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული; ამავე განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული.

2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი; უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული (მეცნიერებათა კანდიდატის) ხარისხი, ან იგი არის დოქტორანტი, ასპირანტი ან მაძიებელი; მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

03. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV); გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი; დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი; ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს; ვ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია); ზ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია); თ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

4. საბუთებისა და დამატებითი ინფორმაციის მიღება იწარმოებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. 87, III სართული, ტელეფონი: 22 32 16, ფაქსი: 22 20 46, e-mail: KEPS@dw.acnet.ge.
5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა წინამდებარე განცხადების პრესაში გამოქვეყნების დღიდან ერთი თვე.
6. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 5 ოქტომბერს.

პასუხისმგებელი პირი თ. გედევანიშვილი

### ქ. რუსთავი 26 აგვისტო 2006 წელი განცხადება ტენდერში გამარჯვებულის შესახებ

ქალაქ რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006 წლის 29 ივლისს გამოცხადებულ ღია ტენდერში ქალაქ რუსთავში 5 ქუჩის (ვახუშტის ქუჩის, ვაჟა-ფშაველას ქუჩის, 9 ძმა ხერხეულიძის ქუჩის, თოდრიას I ჩიხის და ბათუმის ქუჩის) გზის საფარის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესრულების შესახებ გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს.. "გზატკეცილი +". ხელშეკრულება გაფორმდა **1 592 464 (ერთი მილიონ ხუთას ოთხმოცდათორმეტი ათას ოთხას სამოცდაოთხი)** ლარზე. **სატენდერო კომისია**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 29 აგვისტოს განჩინებით, შპს "მშენსერვისის" მიმართ კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრება გაიმართება 2006 წლის 06 სექტემბერს 11.00 საათზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მესამე სართულის სხდომათა დარბაზში. მის.ამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N 5.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 29 აგვისტოს განჩინებით, სს "ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის" მიმართ კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრება გაიმართება 2006 წლის 06 სექტემბერს 12.00 საათზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მესამე სართულის სხდომათა დარბაზში. მის.ამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N 5.

## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი - ერთჯერადი ლითონის ლუქი 40 000 ცალი**
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ 2006 წლის 18 სექტემბრის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის 70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში

ანგ. 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300043133

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ერთჯერადი ლუქი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საქონლის მიწოდება ქ. თბილისში 2006 წლის ბოლომდე, ეტაპობრივად, დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად.

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 19 სექტემბრის 14 საათამდე, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები.

**იურიდიულ პირთა:**
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

**ფიზიკურ პირთათვის:**
- ცნობას, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის (ცნობა სასამართლოდან);

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**
- პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს მდგრადი ფინანსური მდგომარეობა (წარმოდგენილი უნდა დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა).
- სატენდერო წინადადებების გახსნის თარილისათვის პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს შესრულებული მისი რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო ვალდებულებები. (უნდა იყოს წარმოდგენილი მისი რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტები).
- ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

***შენიშვნა:*** *არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.*

*ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს საქონლის მიწოდების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.*

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებას და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 22-69-07, 23-18-57

*სატენდერო კომისია*

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

დუშეთის რაიონის გამგეობა (რეკვიზიტები: 1800, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27, ს/ნომერი 229273844, მომსახურე ბანკი - სახალხო ბანკის დუშეთის ფილიალი, ს/ნომერი 220101403, ა/ა № 33030020) აცხადებს ტენდერს ე.წ. "სანახშირეს" წყალმომარაგების სათავე ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და გიწვევთ მასში მონაწილეობის მისაღებად.

სამუშაოს შესრულების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 50 დღე.

ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადაა 2006 წლის 25 სექტემბრის 10-დან 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27, დუშეთის რაიონის გამგეობა.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

I. იურიდიული პირებისათვის:

1. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან ყადაღის არარსებობის შესახებ;
2. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;
3. ბოლო 1 წლის განმავლობაში განხორციელებული ასეთი ტიპის მიწოდებების ჩამონათვალი შესრულებული სამუშაოს, მოცულობისა და შემსყიდველის (საკონტაქტო რეკვიზიტებით) მითითებით;
4. სუბ-კონტრაქტორების გამოყენების შემთხვევაში მათი ჩამონათვალი (რეკვიზიტების მითითებით).

II. ფიზიკური პირებისათვის დამატებით:

1. ცნობა მისი ქმედუნარიანობის შესახებ.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია 2006 წლის 4 სექტემბრის 18 საათამდე სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, რომელიც შეადგენს 200 (ორას) ლარს.

სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. არ მიიღება ალტერნატიული წინადადებები.

სატენდერო კომისიის მიერ სატენდერო კონვერტების გახსნა მოხდება 2006 წლის 25 სექტემბერს 18 საათზე მისამართზე: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27, დუშეთის რაიონის გამგეობა.

ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ლია როინიშვილი, ტ.: 899 582 781, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27, დუშეთის რაიონის გამგეობა.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

დუშეთის რაიონის გამგეობა (რეკვიზიტები: 1800, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27, ს/ნომერი 229273844, მომსახურე ბანკი - სახალხო ბანკის დუშეთის ფილიალი, ს/ნომერი 220101403, ა/ა № 33030020) აცხადებს ტენდერს ქ. დუშეთში სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და გიწვევთ მასში მონაწილეობის მისაღებად.

სამუშაოს შესრულების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 დღე.

ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადაა 2006 წლის 24 სექტემბრის 10-დან 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27, დუშეთის რაიონის გამგეობა.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

I. იურიდიული პირებისათვის:

1. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან ყადაღის არარსებობის შესახებ;
2. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;
3. ბოლო 1 წლის განმავლობაში განხორციელებული ასეთი ტიპის მიწოდებების ჩამონათვალი შესრულებული სამუშაოს, მოცულობისა და შემსყიდველის (საკონტაქტო რეკვიზიტებით) მითითებით;
4. სუბ-კონტრაქტორების გამოყენების შემთხვევაში მათი ჩამონათვალი (რეკვიზიტების მითითებით).

II. ფიზიკური პირებისათვის დამატებით:

1. ცნობა მისი ქმედუნარიანობის შესახებ.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია 2006 წლის 4 სექტემბრის 18 საათამდე სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, რომელიც შეადგენს 200 (ორას) ლარს.

სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. არ მიიღება ალტერნატიული წინადადებები.

სატენდერო კომისიის მიერ სატენდერო კონვერტების გახსნა მოხდება 2006 წლის 24 სექტემბერს 18 საათზე მისამართზე: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27, დუშეთის რაიონის გამგეობა.

ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ლია როინიშვილი, ტ.: 899 582 781, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27, დუშეთის რაიონის გამგეობა.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს დედოფლისწყაროს რაიონში, სოფ. საბათლოსთან, მდ. ალაზნის კალაპოტის ნაპირსამაგრი სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000, სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის), 2006 წლის 31 აგვისტოდან მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

**4.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 20 სექტემბრის 9.00 საათიდან 18.00 საათამდე და 2006 წლის 21 სექტემბრის 9.00 საათიდან 12.00 საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული და ფიზიკური სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1** ცნობები:

**5.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ბ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**გ)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**5.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**5.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს, ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაშია მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| № | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

**ბ.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში, ან სარგებლობაში, ან საკუთრებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის ბალანსზე, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი აუდიტორული დასკვნა; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარი აყავს იჯარით, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარის შეძენა ხდება ქვეყნის გარედან, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი(ები) და ცნობა, თუ როდის იქნება ეს მანქანა-მექანიზმი და დანადგარი საქართველოში, და ა. შ.). ასევე აუცილებლად მითითებული უნდა იქნას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების და დანადგარების ადგილმდებარეობა, და იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს გამარჯვების შემთხვევაში რა დრო დასჭირდება მათი სამუშაოს შესრულების ადგელზე მობილიზაციისათვის.

**--** ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალიტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური სამუშაოები.

**გ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის თითოეულ სპეციალისტს (ინჟინერ-ტექნიკური) შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები (წლების ჩვენებით).

**დ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: ქვე-კონტრაქტორის თითოეული სპეციალისტის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით.

**ე.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

**--** ცნობას, იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენით (ხელშეკრულებების ასლები)

ტენდერში მონაწილე იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, ერთ-ერთ წელს მაინც, შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათისა და შინაარსის სამუშაოები საერთო ღირებულებით 2 მლნ. ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**--** ცნობას ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეთ ანალოგიური სამუშაოების შესრულების 3 წლიანი გამოცდილება.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

**გ.** ბიოგრაფიულ მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით დეტალურად.

**--** ცნობას 2006 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

**6.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**7.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**8.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**9.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**10.** დაინტერესებული იურიდიული ან/და ფიზიკური პირის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

**11.** სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

12. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

**13.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მდებარე ქ. თბილისი, 0179, კოსტავას ქ. N41, აცხადებს ღია ტენდერს *4 ცალი, ჯიპის ტიპის მაღალი გამავლობის ავტომობილის* შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

2. საქონელი მოწოდებული უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მიმწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 სამუშაო დღის ვადაში.

3. შემოთავაზებული ავტომობილების ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
- ძარა - ხუთკარიანი უნივერსალი;
- ძრავის მოცულობა - არანაკლებ 2500 სმ3;
- სიმძლავრე - არანაკლებ 165 ცხენის ძალა;
- ავტომატური სიჩქარეთა კოლოფი;
- ორხიდიანი;
- საჭის ჰიდროგამაძლიერებელი;
- უსაფრთხოების სისტემები - ABS; Friction control
- ცენტრალური საკეტი;
- უსაფრთხოების ბალიში - არანაკლებ 2 ცალი;
- ელექტროპაკეტი;
- კლიმატკონტროლი;
- ექსპლოატაციაში არმყოფი;
- ფერი - 3 ცალი მუქი, 1 ვერცხლისფერი.

4. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (დალუქული კონვერტებით, შესაბამისი აღნიშვნებით) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 25 სექტემბრის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 და 414.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, (იურიდიული პირის შემთხვევაში);;

ბ) ტენდერში მონაწილე პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ორგანოდან რომ არ ხორციელდება ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, (იურიდიული პირის შემთხვევაში);

დ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

ე) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ვ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

6. სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლების სახით. ფაქსის სახით წარმოდგენილი დოკუმენტები არ განიხილება.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ ყველა შესაბამის დოკუმენტსა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნული პუნქტითაA და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

8. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლებათ 31 აგვისტოდან 22 სექტემბრის 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა) შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 და 414.

9. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ს/კ 203843010, ან.N200122900, სახაზინო კოდი 302003000

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 და 414. ტელ: (995 32) 99-92-40

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატენდერო კომისია**

# განცხადება

## შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს ტენდერს საოფისე ავეჯის შესყიდვის მიზნით

**დაფინანსების წყარო:** საწარმოს სახსრები.
**შესყიდვის ობიექტი.**

| № | საქონლის დასახელება | რაოდენობა, ცალი | საქონლის დახასიათება |
|---|---|---|---|
| 1 | კუთხის საოფისე მაგიდა (140X140X66X66) | 4 | მდფ ლამინატი, კაბელი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით |
| 2 | გამყოფი ტიხრები (110X120) | 4 | მართკუთხა, ტიხრის 1/3 მოპირკეთებული ნაჭრით |
| 3 | ტუმბო (44X59X52) | 32 | მდფ ლამინატი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით |
| 4 | საოფისე გორგოლაჭიანი სავარძელი | 31 | ნაჭრის |
| 5 | სკამი | 42 | ფოლადის, ნაჭრის |
| 6 | საოფისე ე.წ. ტალღოვანი მაგიდა (140X80) (მარცხენა) | 2 | მდფ ლამინატი, კაბელი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით |
| 7 | საოფისე ე.წ. ტალღოვანი მაგიდა (140X80) (მარჯვენა) | 2 | მდფ ლამინატი, კაბელი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით, წინა პანელით |
| 8 | საოფისე ე.წ. ორმაგტალღოვანი მაგიდა (160X100) | 2 | მდფ ლამინატი, კაბელი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით, წინა პანელით |
| 9 | მრგვალი მაგიდა 100 | 1 | მდფ ლამინატი, კაბელი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით |
| 10 | ღია თარო (80X43X76) | 2 | მდფ ლამინატი |
| 11 | ღია თარო (120X43X76) | 1 | მდფ ლამინატი |
| 12 | კარადა (100X80X45) | 2 | ორი თაროთი, მოსრიალე კარით |
| 13 | კარადა (170X80) | 7 | ნახევარი საკიდისთვის, ნახევარი ბაინდერებისთვის |
| 14 | კარადა (170X80) | 8 | კარები მდფ ლამინატი, ფოლადის კარკასით, სამი თაროთი |
| 15 | კუთხის მაგიდა (120X120X66X80) | 3 | მდფ ლამინატი, კაბელი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით |
| 16 | კუთხის მაგიდა (120X120X80X66) | 4 | მდფ ლამინატი, კაბელი, რუხი ფერის, ფოლადის კარკასით |
| 17 | ორმაგტალღოვანი მისადგმელი (130) | 2 | მდფ ლამინატი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით |
| 18 | კარადა (110X80) | 1 | მდფ ლამინატი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით, უნივერსალური სამი განყოფილებით |
| 19 | კარადა (110X80) | 1 | მდფ ლამინატი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით, ღია სამი თაროთი |
| 20 | ტიხარი (110X120) | 2 | მართკუთხა, ტიხრის 1/3 მოპირკეთებული ნაჭრით |
| 21 | სწორი მაგიდა (140X80X) | 1 | მდფ ლამინატი, კაბელი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით |
| 22 | მაგიდის მისადგმელი (80X80) | 1 | მდფ ლამინატი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით, წინა პანელით |
| 23 | საოფისე ე.წ. ტალღოვანი მაგიდა (120X80) (მარცხენა) | 3 | მდფ ლამინატი, კაბელი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით |
| 24 | საოფისე ე.წ. ტალღოვანი მაგიდა (120X80) (მარჯვენა) | 3 | მდფ ლამინატი, კაბელი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით, წინა პანელით |
| 25 | მაგიდის წინა პანელი | 2 | მდფ ლამინატი |
| 26 | ტიხარი (110X100) | 2 | მართკუთხა, ტიხრის 1/3 მოპირკეთებული ნაჭრით |
| 27 | ტიხარი (110X80) | 1 | მართკუთხა, ტიხრის 1/3 მოპირკეთებული ნაჭრით |
| 28 | საკონფერენციო მაგიდა (320X120) | 1 | მასიური ხის, მუქი ყავისფერი, ფოლადის კარკასით |
| 29 | კომუნიკატორი | 1 | სიმაღლეში რეგულირებადი, გორგოლაჭებით |
| 30 | მენეჯერის მაგიდა (190X120) | 1 | მასიური ხის, ფოლადის კარკასით და პანელით, ოვალური ტყავის სამუშაო აქსესუარით |
| 31 | მისადგმელი მაგიდა ტუმბოთი (135X79,5) | 1 | მასიური ხის, ფოლადის კარკასით |
| 32 | კარადა (60X43X149) (მარცხენა) | 1 | მასიური ხის |
| 33 | კარადა (60X43X149) (მარჯვენა) | 1 | მასიური ხის |
| 34 | თარო (80) | 3 | მასიური ხის |
| 35 | მენეჯერის სავარძელი | 1 | ნაჭრის, გორგოლაჭებით, სიმაღლის და საზურგის რეგულირებით |
| 36 | მაგიდა (160X80) | 1 | მართკუთხა, მდფ ლამინატი, კაბელი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით, წინა პანელით |
| 37 | კუთხე (80X80) | 1 | 90 გრადუსიანი, წინა პანელით |
| 38 | მაგიდა (80X80) | 1 | მართკუთხა, მდფ ლამინატი, კაბელი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით, წინა პანელით |
| 39 | კუთხის მაგიდა (120X120X80X66) | 2 | მდფ ლამინატი, კაბელი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით, წინა პანელით |
| 40 | მისადგმელი მაგიდა (80X66) (მარჯვენა) | 2 | მდფ ლამინატი, კაბელი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით, წინა პანელით |
| 41 | მაგიდა (120X60) | 2 | მდფ ლამინატი, კაბელი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით, წინა პანელით |
| 42 | კუთხე (60X60) | 1 | 90 გრადუსიანი, წინა პანელით |
| 43 | ჭურჭლის კარადა (75X106) | 3 | გორგოლაჭებით, საკეტით |
| 44 | მაღალი მისაღები მაგიდით (100X60X115) | 1 | ფოლადის და მდფ ლამინატის, კაბელი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით, წინა პანელით |
| 45 | მაგიდა (160X80) | 2 | მდფ ლამინატის, კაბელი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით |
| 46 | მაგიდის მისადგმელი (160X60) | 1 | მდფ ლამინატის, კაბელი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით |
| 47 | მაგიდის მისადგმელი (80X66) | 2 | მდფ ლამინატის, კაბელი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით |
| 48 | მაგიდის მისადგმელი (66X80) | 1 | მდფ ლამინატის, კაბელი, რუხი ფერის ფოლადის კარკასით |
| 49 | ქსეროქსის ტუმბო (67X91) | 1 | მდფ ლამინატის, გორგოლაჭებით |
| 50 | რბილი სავარძელი ჰოლისთვის | 4 | ნაჭრის |
| 51 | ჟურნალის მაგიდა (40X80X56) | 2 | შუშის, ფოლადის კარკასით |

შესასყიდი საქონელი მოწოდებული უნდა იქნეს ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადებიდან 45 დღის განმავლობაში.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

სამუშაოთა ღირებულება უნდა შეიცავდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

35

სატენდერო დოკუმენტაცია **ქართულ ენაზე** პრეტენდენტებს გადაეცემათ მოთხოვნისთანავე, მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის შემდგომ, მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. N12. შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა", II სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, 15 სექტემბრის 18 საათამდე.

**სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტები:**

ს.ს. ბანკი "რესპუბლიკის" ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი 220101757, ა/ა N3408022974, საიდენტიფიკაციო კოდი 205037574. ბანკის შემოსავლის ორდერში აუცილებლად უნდა მიეთითოს შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის" სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი).

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთად ერთ დალუქულ პაკეტში ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. N12, შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" II სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები მიიღება 16 სექტემბრიდან 21 სექტემბრის 16.00 საათამდე:

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პრეტენდენტის შესახებ, ანგარიშსწორების ანგარიშს, საკონტაქტო ტელეფონებს.

პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 21 სექტემბრის 16.30 საათზე. პრეტენდენტებს უფლება აქვთ დაესწრონ გახსნის პროცესს.

**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
4. სატენდერო დოკუმენტაციის წარმომდგენი უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი.

**ფიზიკური პირებისათვის**:

1. ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
3. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა. (ცნობა საგადასახადოდან რეგისტრაციის შესახებ);
4. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა;

მონაწილეობის ყველა მსურველმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია Bბაზარზე მუშაობის გამოცდილების შესახებ.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დალუქული კონვერტით. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**დამატებითი ინფორმაცია**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებით.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, მისამართზე ქ.Dთბილისი, ჭანტურიას ქ. N12, შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" II სართული.

საკონტაქტო პირი გიორგი შარკოვი. ტელ: 899 35-55-

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, უზედამხედველო, მაწანწალა ცხოველების დაჭერა-იზოლაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 6 ლოტად (პოზიციად):

1.ლოტი (პოზიცია) - მთაწმინდა - კრწანისი რაიონი, წყნეთის რაიონი;

2.ლოტი (პოზიცია) - ისანი - სამგორის რაიონი;

3.ლოტი (პოზიცია) - ვაკის რაიონი;

4.ლოტი (პოზიცია) - საბურთალოს რაიონი;

5.ლოტი (პოზიცია) - გლდანი - ნაძალადევის რაიონი;

6.ლოტი (პოზიცია) - დიდუბე - ჩუღურეთის რაიონი.

გასაწევი მომსახურების მოკლე დახასიათება:

1. ქ. თბილისში, 4545 (ოთხი ათას ხუთას ორმოცდახუთი) უზედამხედველო, მაწანწალა ცხოველების (ძაღლი,კატა) დაჭერა-იზოლაცია;

2. ე. წ. "ბეკერის" ორმოში მათი ტრანსპორტირება;

***2***. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

***3***. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 20 სექტემბრის 12 საათიდან 20 სექტემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ. თბილისის მერისს კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

***4***. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**.

■ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

■ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისრაციის შესახებ;

■ ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

■ ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

■ ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

■ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

■ ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

■ ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

■ ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

■ ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

***5***. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებამდე დადებამდე.

***6.*** სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 30 აგვისტოს 12 საათიდან 19 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

***7.*** ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

***8.*** ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5% ოდენობით.

***9.*** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ზაქარია ჩოთირიძე - საკონტაქტო ტელეფონი 99-54-20, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ზუგდიდის ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობა აცხადებს ტენდერს ქალაქ ზუგდიდის ქუჩების ასფალტო-ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ლოტი 1. მარცხენა სანაპიროს ქუჩა (სავაჭრო ცენტრი “ალიანსი"- ს მიმდებარე ტერიტორია) და დადვანის ქუჩა;
ლოტი 2. კოსტავას ქუჩისა და თაბუკაშვილის ქუჩის მონაკვეთი;
ლოტი 3. თამარ მეფის ქუჩისა და ქუთაისის ქუჩის მონაკვეთი;
ლოტი 4. კ. გამსახურდიას ქუჩა.

2. გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. სამუშაოების შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ნოემბრის ბოლომდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, დახურულ კონვერტში სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 20 სექტემბერს 12.00 საათიდან 2006 წლის 20 სექტემბრის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, 2100, ზ. გამსახურდიას გამზირი N45, მე-5 სართული.

5. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

5.1. იურიდიულ პირთათვის:
ა) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან).

ბ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილობის მსურველი პირის ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან).
გ) ცნობა, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან).
5.2. ფიზიკურ პირთათვის:
ა) ცნობა, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო ცენტრიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.
ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან).

5.3. როგოც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობა, საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირი ან ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს შსს-ს ინფორმატიზაციის სამმართველოდან).
ბ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები).
გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.
დ) ცნობა, შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ.
ე) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების განხორციელების გამოცდილების შესახებ (სამუშაოს მითითებით, რომელიც შესრულებულ იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ).
ვ) ინფორმაცია შესაბამისი მანქანა-მექანიზმების შესახებ.
ზ) ინფორმაცია ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

6. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი
აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს სატენდერო
კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ
ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადებამდე.

7. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდეგ (ანგ. N33030129, საინდ. კოდი 220019575, ს.ს “სახალხო ბანკი"-ს ზუგდიდის ფილიალი, ბანკის კოდი
220101464) სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2006 წლის 11 სექტემბრის 12.00 საათიდან 2006 წლის 19 სექტემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, 2100, ზ. გამსახურდიას გამზირი N45, მე-5 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

8. სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება გარანტირების მექანიზმი სატენდერო წინადადების ღირებულების 1 %-ის ოდენობით.

9. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნვეყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები გაიხსნება 2006 წლის 20 სექტემბრის 17 საათზე, პრეტენდენტთა თანდასწრებით.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - აკაკი სარალიძე. საკონტაქტო ტელეფონი: 8(99) 15 55 26, 8 (215) 5 01 04. მისამართი: ქ. ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას გამზირი N45, მე-5 სართული.

სატენდერო კომისია

# განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

**1. გამოცხადდეს ღია კონკურსი სსიპ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:**
**ექსპერიმენტული პათოლოგიის დეპარტამენტი:**
**ციტოლოგიის ლაბორატორიის**
- უფროსი მეცნიერი თანამშრომელი /ერთი საშტატო ერთეული/
- მეცნიერი თანამშრომელი /სამი საშტატო ერთეული/

**მოლეკულური ბიოლოგიისა და გენეტიკის ლაბორატორიის**
- უფროსი მეცნიერი თანამშრომელი /ერთი საშტატო ერთეული/
- მეცნიერი თანამშრომელი /ორი საშტატო ერთეული/

**კლინიკური პათოლოგიის დეპარტამენტი:**
**პათოლოგიური ანატომიისა და სასამართლო მედიცინის ლაბორატორიის**
- მთავარი მეცნიერი თანამშრომელი /ორი საშტატო ერთეული/
- უფროსი მეცნიერი თანამშრომელი /სამი საშტატო ერთეული/
- მეცნიერი თანამშრომელი /ორი საშტატო ერთეული/

**კლინიკური ანატომიის ლაბორატორიის**
- მთავარი მეცნიერი თანამშრომელი /ორი საშტატო ერთეული/
- უფროსი მეცნიერი თანამშრომელი /ორი საშტატო ერთეული/
- მეცნიერი თანამშრომელი /ორი საშტატო ერთეული/

**გერონტოლოგიისა და პალიატიური მედიცინის დეპარტამენტი:**
**ანდროლოგიის ლაბორატორიის**
- მთავარი მეცნიერი თანამშრომელი /ერთი საშტატო ერთეული/
- უფროსი მეცნიერი თანამშრომელი /ერთი საშტატო ერთეული/
- მეცნიერი თანამშრომელი /ორი საშტატო ერთეული/

**სოციალური გერონტოლოგიისა და პალიატიური მზრუნველობის ლაბორატორიის**
n მთავარი მეცნიერი თანამშრომელი /ერთი საშტატო ერთეული/
n უფროსი მეცნიერი თანამშრომელი /ორი საშტატო ერთეული/
n მეცნიერი თანამშრომელი /ორი საშტატო ერთეული/

**2. კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.**
**3. სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობზე კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს ინსტიტუტის საკონკურსო კომისია, რომელიც იქმნება კანონმდებლობით დადგენილი წესით, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.**
**4. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დროებითი წესდებით.**
**5. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი; უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი (ასპირანტი) ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი; მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.**
**6. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:**
a) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
b) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
გ) დასაკავებელი თანამდებობების შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი, ხოლო დოქტორანტებისათვის (ასპირანტებისათვის) - ცნობა შესაბამისი საგანმანათლებლო (სამეცნიერო) დაწესებულებიდან;
დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
ე) 1 სამეცნიერო ნაშრომი/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
ვ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);
ზ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);
თ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და
სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).
**7. საბუთები აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი აგრეთვე ელექტრონული ფორმით "კომპაქტ დისკზე".**
**8. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.**
**9. საბუთების მიღება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ჭიაურელის ქ. N2. სსიპ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი.**
**10. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 28 სექტემბერი.**
**11. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის "30 სექტემბერსს".**
**12. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ მისამართზე: თბილისი, ჭიაურელის ქ. N2. სსიპ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი. ტელ: 51-79-54 (პასუხისმგებელი პირი): ვაჟა ლობჯანიძე.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი, ანგარიშის N000134601, კოდი 220501102) აცხადებს **ღია ტენდერს ორ ლოტად აჭარის ა.რ. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ხულოს რაიონებში დაზიანებულ მონაკვეთებზე დამცავი გაბიონების მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, კერძოდ:**

**ლოტი N1: ქობულეთის რაიონში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების: ხუცუბანი-სამება-სოფ. ქობულეთი, ალამბარი-ზენითი და ხელვაჩაურის რაიონში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების: კირნათი-ზედა ჩხუტუნეთი, ერგე-ზედა ჯოჭო, ბარცხანა-ორთაბათუმი-ყოროლისთავის დაზიანებულ მონაკვეთებზე დამცავი გაბიონების მოწყობის სამუშაოებზე.**

**ლოტი N2: ხულოს რაიონში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების: დიდაჭარა-საციხური-გელაური და ზამლეთი-ხიხაძირის დაზიანებულ მონაკვეთებზე დამცავი გაბიონების მოწყობის სამუშაოებზე.**

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სასურველი ვადაა 2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.
3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, ორეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის
20 სექტემბრიდან 2006 წლის 21 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ ბათუმი რუსთაველის ქ. N6.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:
4.1 იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით):
ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებომის შესახებ.

4.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა :
ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).
4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
ა) შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის, ფაქსის, საბანკო რეკვიზიტები):
ბ) ცნობა იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი):
გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ:
დ) ინფორმაცია ანალოგიური სახის სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ, (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ):
ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
ვ) ცნობა ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.
ზ) ცნობა სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი სამუშაოს შესახებ.
5. ა) ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.
ბ) მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.
6. ქართულ ენაზე შედგენილ განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად უნდა ახლდეს განმცხადებელის მიერ ხელმოწერილი წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა.
7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
8. სატენდერო დოკმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 2006 წლის 30 აგვისტოდან 2006 წლის
20 სექტემბრის 17 საათამდე, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (დეპარტამენტის სპეც. ანგარიშზე საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი:
ანგარიში N 000142101, ბანკის კოდი 220501102, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ,შეეძლებათ მისამართზე; ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, პირველი სართული ოთახი N16.
9. დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემებს და სატენდერო წინადადებას კომისია არ განიხილავს.
10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.
11. ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.
12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის წევრი: კობა ხინიკაძე ტ. 7-20-87; ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ. N6.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური"-ის მიერ 2006 წლის 11 აგვისტოს გამოცხადებულ ღია ტენდერში შეტანილი ცვლილებების თაობაზე**

| ქალაქები და რაიონები | სულ ასაცრელი და გამოსაკვლევი სულადობის რაოდენობა | მათ შორის | | | ტუბერკულინიზაცია | ბრუცელოზზე გამოსაკვლევად სისხლის აღება |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჯილეხი | თურქული | ცოფი | | |
| 1.თიანეთი | 10651 | 8651 | - | 2000 | - | - |
| 2.ყაზბეგი | 29727 | 29327 | - | 400 | - | - |
| 3.ამბროლაური | 13395 | 11395 | - | 2000 | - | - |
| 4.ონი | 7737 | 13074 | - | 1200 | - | - |
| 5.ცაგერი | 17111 | 15111 | - | 2000 | - | - |
| 6.ლენტეხი | 12031 | 11631 | - | 400 | - | - |
| 7.სენაკი | 31626 | 28226 | - | 3400 | - | - |
| 8.მესტია | 23149 | 22549 | - | 600 | - | - |
| 9.ქ.ფოთი | 5539 | 2539 | - | 3000 | - | - |

## ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო" აცხადებს კონკურსს ჟურნალისტებისათვის!

**სამი საუკეთესო სიუჟეტი ან პუბლიკაცია/სტატია საბიუჯეტო თემატიკაზე დაჯილდოვდება ფულადი პრემიით: I ადგილი $1000, II ადგილი:$700, III ადგილი $500**.
განაცხადები მიიღება 2006 წლის 1 სექტემბრიდან 23 ოქტომბრის 17:00 საათამდე. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა სასურველია მონაწილეობა მიიღონ **11-12 სექტემბრის საერთაშორისო კონფერენციაში**.
დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: ჭოველიძის ქ. N10. ტელ: 25-04-63, 25-05-92, საკონტაქტო პირი: ირინა ლაშხი. ელ. ფოსტა irina@osgf.ge ან იხილეთ ვებ გვერდი http://osgf.ge/?show=competitions&action=show&id=237

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "ს.ა.დ."-ი აცხადებს ტენდერს ლითონის მასალების შესყიდვაზე:
კუთხოვანა - 40
კვადრატული მილი - 20X20, 25X25
ფურცლოვანი ფოლადი - 1,5-2,5 მმ
ასევე სხვადასხვა მეორადი სამშენებლო მასალებისა და ჯართის რეალიზაციაზე.
დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 4 სექტემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ხანცთელის ქ. №1. ტელ.: 899 605-865.